

სამეცნიერო-პედაგოგიური ჭ სალიტერ. ჟურნალი

თბილისი
1912

განათლება

(წელიწადი მესამე)

V

მ ა ი ს ი

1912 წ.



შინაარსი: 1) თვით-დაცვის ძალა ადამიანის სსეულში ექ. ბადრიძისა. 2) მოკლე საუბარი ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან ექ. ვვგ. ლოსაბერიძისა. 3) ჰიგიენა, ილ. ალხაზიშვილისა. 4) ვასტანგ ორბელიანი და მისი შოკეზია (დასასრული) ილ. ფერაძისა. 5) შრამა და მისი შინაშენელობა ლ. ბოცვაძისა. 6) ოჯახის ზნეობრივი მხარე ივ. გომართელისა. 7) ნამუშეა ჩვენი დაავადებულებისა იპ. ვართავასი. 8) ალექსანდრე ივანის ძე ჰერცენი, კახაბერისა. 9) ობლად შთენილი დ. თურდოსპირელისა. 10) სააკაძის გოდება, ს. აბულაძისა. 11) დღის ტაძარი, გელასი. 12) ბუღბუღი და ვარდი, კატო ბაქ—ძისა. 13) ყვავილების ბასისი, ი. ვედოშვილისა. 14) ატმები, ბიკენტი ს. თაბუკაშვილისა. 15) შინაური მიმოხილვა. 16) სეკბას დარგვის დესესწაული, ლ. ბ—ძისა. 17) რუსეთი. სახალხო სკოლის მასწავლებელთა სპენსიო კასსა. 18) სია სარეცენზიოდ გამოგზავნილი წიგნებისა. 19) განცხადებანი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

„ს ა ხ ა ლ ხ ო ბ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

კახეთის ფასი დამატებასათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიათ ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი. აღრესის გამოსაცვლელო ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს ვ., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ პრემიად მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრკბ. შირველი ტომი „გრდემლი“, კრკბ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურავდება იანვარშივე. რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო კახეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-დაწინ 4 მანეთის შესრულებამდი.

აღრესი: Батумь „Батумись Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. მ. ჭელიძე.



განათლება

(წელიწადი მეხუთე)

V	მ ა ი ს ი	1912 წ.
<p>ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით . . . 2 მან.</p> <p>სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.</p>	<p>ცალკე ნომრის ფასი</p> <p>35 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება თფილისში წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.</p>

თვით-დასვის კალა აღაპიანის სხეულოი *)

უდიდესი წარმომადგენელი ბუნებისა არის სულიერ არსებათა სამეფო, რომელიც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ როგორც ერთი განუწყვეტელი ჯაჭვი მრავალ სხვა და სხვა გვარ და სახოვან არსებათაგან. ბიოლოგიამ დაგვიმტკიცა, რომ ყველა სულიერი არსებანი, რაც კი დედა-მიწაზეა, ერთი საერთო შთამომავლისაა, ხოლო დასაბამი ყველა სულიერ არსებათა იყო ის უპირველესი და უმცირესი

რესი არსება, რომელიც განცალკევდა დანარჩენ ბუნებისაგან და პირველად მიიღო სულიერ არსების **ზოგიერთი** თვისებანი.

განუზომელ დროთა განმავლობაში ეს პირველი არსება, ბუნების კანონების ძალით, თანდათან იცვლიდა სახეს, იძენდა სხვა და სხვა ახალ თვისებებს. ამ გვარად თანდათან წარმოსდგებოდნენ ხოლმე ახალ-ახალი სახოვანი არსებანი. მეცნიერებმა რომ შეისწავლეს სხვა და სხვა გვარ და სახოვან არსებათა აგებულება აღმოაჩინეს

*) სჯარა ლექცია წაკითხული ქუთ. სახალხო უნივერსიტეტში.



ქართული ენის ენციკლოპედია

სრული მზგავსება მათ შორის და ერთობა შთამომავლობაში.

სულიერ არსებათა მთელი სამეფო ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი განუწყვეტელი კიბე, რომლის საფეხურებს შეადგენენ სხვა და სხვა სულიერი არსებანი.

პირველს უმცირესს საფეხურს ამ კიბისას წარმოადგენს ის „პირველი“ არსება, რომელიც თავდაპირველად განცალკევდა ბუნებისაგან, რომ მიეღო ზოგიერთი სულიერი თვისებანი; ხოლო რამდენად უფრო განვითარებულია თავისი თვისებებით სულიერი არსება, იმდენად უფრო მაღლა შეგვიძლიან დავაყენოთ ამ კიბეზე; ხოლო ამ კიბის უმაღლეს საფეხურზე სდგას გვირგვინი ბუნების შემომქმედი ძალისა—ადამიანი.

მეცნიერებამ გამოიკვლია ის ბუნების კანონები, რომლის ძალით მოხდა ამ გვარი საუცხოვო არსებათა განვითარება; ჩვენ, სხვათა შორის, დავასახელებთ მემკვიდრეობას და ბრძოლას არსებობისათვის.

ამ მრავალ არსებათა შორის, რომლებითაც ბუნება სავსეა, მუდმივი ბრძოლაა არსებობისათვის; მიზეზი ამ გვარი განუწყვეტელ და უღმობელ ბრძოლისა ის არის, რომ ყოველი არსება ცდილობს მოიპოვოს საზრდო ცხოვრებისა და აი ამიტომ ყოველი მათგანი არის მტაცებელი ერთი მეორისა; თვით ადამიანიც ერთი ანდაზისა არ იყოს, ცელია თავისის მოძმისათვის. სააქაო მეჯლისი, როგორც ამას მალტური ამბობს, ყველასთვის როდი არის მომზადებული, ხოლო ყველა კი მიისწრაფვის იმისკენ.

ბუნება რომ ისე იყოს მოწყობილი, რომ ყველას შეეძლოს მოიპოვოს ის, რაც მას დააკმაყოფილებს, მაშინ ხომ არც ამდენი

ტანჯვა და გამგელება იქნებოდა ქვეყნად, მაშასადამე არც ბრძოლა არსებობისათვის განდებოდა, როგორც საყოველთაო ბუნებრივი კანონი.

მაშინ რას წარმოადგენდა ბუნება?

იმას რომ მთელი ქვეყანა დამშვიდებული იქნებოდა და ის საკვირველი არსებათა ცვლილება, რომელიც ზემოდ მოგახსენეთ სრულებით შეჩერდებოდა, რადგან ბრძოლა არსებობისათვის არის სხვათა შორის ის ძალა, რომელმაც გამოიწვია ამ გვარი წინმსვლელობა სულიერის არსებისა.

ამ ბრძოლაში სუსტები და უვარგისნი იხოცებიან და ვერ უძლებენ ბრძოლას, ხოლო გამარჯვება კი რჩებათ ძლიერ არსებათ, იმათ ვინც გადურჩნენ ბრძოლას, გადასცეს თავისი მძლავრი აგებულება მემკვიდრეობით შთამომავლობას.

ისინი, ვინც სუსტი აგებულებისა იყვნენ, სულ ერთიანად გაწყდებოდნენ ქვეყნად, რომ ბუნებას მათვის დახმარება არ აღმოეჩინა; ისე რომ ყოფილიყო ბუნებისაგან განაწილებული, რომ ერთნი ყოფილიყვნენ ძლიერ მაგარი აგებულებისა და მძლავრნი, ხოლო მეორენი კი სუსტნი და ნაზი, მაშინ არავითარი ბრძოლა არსებობისათვის არ იქნებოდა, რადგან პირველნი მეორეს გაანადგურებდნენ და საქმე ამით დამთავრდებოდა.

მაგრამ რამდენად სხვა და სხვა გვარია სულიერი არსებანი, იმდენად სხვა და სხვა გვარია მათი თვისებანი:

ერთს არსებას რომ მეტი ღონე აქვს, მეორეს უფრო მეტი სიმარდე, მესამეს უფრო განვითარებული აქვს სიფხიზლე, მეოთხეს გონების გამჭრიახობა და სხვა.

არის ისეთი ადგილები, სადაც ღონს

და ირემს ერთმანეთის მახლობლათ ნახავთ მცხოვრებთ.

ეს როგორ მოხდა? ნუ თუ ისეთი სუსტი არსება როგორიც ირემია სრულებით არ გაჰქრა იმ ადგილას, სადაც პირუტყვთა მეფე—ლომი—სცხოვრობს!! როგორ შესძლო ირემმა ბრძოლა ლომთან, რომ იმ ადგილებში სცხოვრობს, სადაც ლომია?

ეს იმიტომ, რომ ბუნებამ ლომს ძალღონე მისცა, არც ირემი დასტოვა უნუგემოთ, სამაგიეროდ მას მარდად მოსიარულე ფეხები მისცა, რის წყალობით ირემს შეუძლიან თავი დაახწიოს ლომის კლანჭებისაგან.

ავიღოთ თუნდ ზღარბი: რა საბრალო მდგომარეობაში იქნებოდა ეს ჩვენთვის უვნებელი არსება სხვა და სხვა მძლავრი პირუტყვისაგან, რომ მისთვის ბუნებას არ მიეცა საკვირველი ეკლიანი ტყავი, რომელსაც ვერაფერს ვერა დააკლებს.

როგორც ხედავთ თუმცა ბუნებაში სასტიკი ბრძოლაა ატეხილი სულიერ არსებათა შორის, მაგრამ ბუნება როდი ყოფილა ამ გვარივე სასტიკი: იგი ყველასათვის ცდილა რაიმე იმისთანა თვისება მიენიჭებინა, რომ გამარჯვებული თუ არა, ბრძოლის გაძლოლა მაინც შესძლებოდა, თორემ სხვაფრივ ბუნებაში არსებობა შეუძლებელი გახდებოდა.

ზემო მოხსენებულს აზრს სჭირია ცოტაოდენი განმარტება: ბუნებამ მზა-მზარეულად კი არ დაურიგა სხვა და სხვა გვარი თვისებანი ამა თუ იმ სულიერ არსებას: ერთს ძალ-ღონე, მეორეს სიმარდე და სხვა არა! ბუნებაში უცბად და შეკვეთით არა ხდება რა!

საჭირო იყო ხანგრძლივი დრო, რომელსამე ბრძოლაში გამოსადეგ თვისების

განვითარებისათვის; გადარჩებოდნენ თუ არა თუოდ ის ირემები, რომლებიც პირველ შეტაკების დროს ლომებთან შემთხვევით უფრო მარდნი იყვნენ, მარდი მოსიარულე ფეხები ჰქონდათ და შემდეგ კი მემკვიდრეობით გადასცეს ეს „პირველში“ შემთხვევით და შემდეგ კი ძლიერ საჭირო თვისება შთამომავლობას. რამდენიც უფრო მეტი ხანი გადიოდა, იმდენად სხვა და სხვა ცუდი გარემოებათა მატულობდნენ, მაშასადამე ბრძოლაც არსებობისათვის მწვევადებოდა, გაჭირვებამ მეტი გაჰქრიახობა გამოაწვევინა არსებათ და შესძინა მრავალი სხვა და სხვა გვარი თვისება.

ხალხი ისინი, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს ამ გვარი ბუნებრივი უნარი, ე. ი. ვერ მოიპოვეს ახალი საბრძოლველი თვისება, ამოწყდნენ და გაჰქრნენ დედა-მისწის ზურგზე. ეს არის ბუნების შეურყეველი მუდმივი კანონი, რომელსაც ემორჩილება ყოველი სულიერი არსება.

ადამიანის აგებულობის შესწავლამაც გვიჩვენა მისი საუცხოვო მოწყობილება. ჩვენი სხეულის ყოველი ასო—სახსარს აქვს თავისი დანიშნულება და ეს არის სიცოცხლის აყვავება და შერჩენა.

განა შესაძლებელია ადამიანმა უარ ჰყოს, რომ თვალის დანიშნულება მზე-რაა! თვალი რომ ხედავს, ეს უბრალო შემთხვევა კი არ არის, არამედ ეს იმისი ანატომიური აგებულობის შედეგია. ამ გვარი დასკვნა ცხადია, როდესაც შეისწავლით მის რთულსა და ფრიად საინტერესო ანატომიას.

რითი აიხსნება ის მოვლენა, რომ როდესაც ადამიანს თვალში ჩაუვარდება რაიმე უცხო ნივთიერება, თვალი მაშინვე ცრემლებით აფესება, რომლითაც თვალის კაკალი თავისუფლდება ამ ნივთი-



რებისაგან და იწმინდება. როდესაც ადამიანი ჰსუნთქავს უსუფთაო ჰაერს, მაშინვე ხველა აუვარდება ხოლმე, ამით ფილტვები ეწმინდება და ამოაქვს იქილგან მავნე და უვარგისი ნივთიერებანი. ამ გვარივე დანიშნულება აქვს ცხვირის დაცემინებას. პირ-საქმებით კუჭი ცდილობს განთავისუფლდეს მაწყინარ და მომწამლავ საქმლისაგან.

ადამიანის სხეულში არ არის არც ერთი ასო — სახსარი, რომ თავისი დანიშნულება არ ჰქონდეს და სარგებლობის მომტანი არ იყოს, მაშასადამე ადამიანის აგებულება საუცხოვოდ ყოფილა მოწყობილ-მომართული და შემთხვევით არა მისცემია რა, ყოველ მის ნაწილს ემჩნევა აზრი და საგანი, მისწრაფება სიცოცხლისა და გაძლოლა არსებობის ბრძოლისა.

ამ გვარივე აზრი გამოუნახეს ზოოლოგებმა მდაბალ სულიერ არსებათა აგებულებასაც. მეცნიერებმა თან და თან ისეთი თვისებანი აღმოაჩინეს დაბალ სულიერ არსებაშიაც, რომლის წყალობით მას უადვილდება არსებობის ბრძოლის გაძლოლა.

ავილოთ თუნდ მიბაძვის თვისება: არის ერთგვარი მწერი რომელიც ფერით გამხმარ ფოთოლის ფერს ემზავსება. ფერით ამ გვარი მიბაძვა იმას გამოუწვევია, რომ უფრო რიგიანად თავი დაიმალონ ფოთლებსა და ბალახში და ამით ასცდნენ მტრის თვალს; არის ერთგვარი არსება, რომელიც მტრის მოახლოვების დროს, ტანიდან გამოაქვს შავი სითხე, რომელშიაც ისე იმალება, რომ მტერი ვეღარას აკლებს. ამითივე აიხსნება მოქმედება ერთგვარის კიისა, რომელიც გაჭირვების დროს ფრიად უსიამოვნო სუნს გამო-

ცემს და სცდილობს დაბნიდოს თავისი მტერი.

მეცნიერებმა ისიც აღნიშნეს, რომ ზოგიერთი არსებანი თავს იმითი ინარჩუნებენ განადგურებისაგან, რომ ძლიერ უგემური გემოსი არიან საქმელათ; ეს თვისება იმდენად სასარგებლოა, რომ ზოგიერთმა არსებამ მიჰბაძა მათ ფერიოთა და გარეგან აგებულებით რომ ამით მოატყუოს მტრის თვალი.

არსებობის ბრძოლაში დიდი სასარგებლო მნიშვნელობა აქვს ისეთ გრძნობას, როგორიც არის შიში; თუმცა საზოგადოდ ეს გრძნობა სათაკილოთ და სამარცხვინოთ მიგვაჩნია. შეშინებული არსება გაურბის განსაცდელს და ამით იფარავს თავს მტრისაგან. განა დარჩებოდა და ქვეყნად ერთი კურდღელი მაინც, რომ ისე საარაკო მხდალი არ იყოს?! თუ რომ ლოკოკინა მტრის მოახლოვებისთანავე თავის მაგარ ბუდეში იმალება, ეს იმიტომ როს შიში მოქმედობს.

ყველა დასთანხმდება, რომ ის რაც ადამიანს ეზიზღება, საზოგადოთ მაწყინარი და მავნე უნდა იყოს იმისთვის.

უგუნურება არ იქნებოდა, რომ ადამიანს სძულდეს ხორცი და ძროხას ბალახი; განა ბავშვი გაიზრდებოდა, დედის რძე რომ სძულდეს! სამაგიეროდ სხვა და სხვა საწამლავე და მავნე ნივთიერება ჩვენში ზიზღსა და შიშს იწვევს. მაშასადამე შიში და ზიზღი ძლიერ გამოსადეგი თვისებანი ყოფილან. აგრეთვე გამოსადეგი თვისებაა ტკივილის გრძნობა; ჩვენ ტკივილს ვიგულისხმებთ როგორც გრძნობიერებას; მაგალითათ საკმარისია გადაჭრა იმ ნერვისა, რომელიც აკავშირებს ჩვენს თვალს ტვინთან, რომ მაშინვე ჩვენს თვალს მოესპოს ტკივილის გრძნობა. მაშინ რაც უნდა ნივთიერება ჩავვი-

ვარდეს თვალში ველარას ვიგრძნობთ, ცოტა ხნის შემდეგ თვალს ანთება გაუჩნდება და სრულებით დაიღუპება.

ჩვენი კანის გრძობიერება დამოკიდებულია ნერვებზე, რომლითაც იგი დაქსელილია. ყოველ გარეგან მავნე ცვლილებას, გარდამეტებულ სიცხეს, სიცივეს, კბენას, ერთი სიტყვით, რაც ჩვენი სხეულისათვის მავნებელია, ჩვენი კანის გრძობიერება ნერვების წყალობით გვატყობინებს და გვაფრთხილებს. (ხოლო კერძოდ ადამიანს რაც შეეხება, უნდა ვსთქვათ, რომ იგიც განუწყვეტელ და უფრო კიდევ სასტიკ ბრძოლაშია არსებობისათვის და მხოლოდ სიკვდილი უღებს ბოლოს ამ ბრძოლას).

მაგრამ ახლა თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ ბრძოლას, იმ სასტიკს და განუწყვეტელს ბრძოლას, რომელიც მოქმედობს ადამიანის სხეულსა და შხამიან მიკრობთა შორის, დავინახავთ ნათლათ თუ რა საუცხოვოთ ყოფილა მოწყობილი ადამიანის სხეული და რა ძლიერი ყოფილა მასში თვით დაცვის თვისება.

დაიბადება თუ არა ადამიანი, პირველად შეისუნთქავს ჰაერს და ჩაყლაპავს ჰორველ ნერწყვს. მის სასუნთქავ და საჭმლის მოსანელებელ ორგანოებს მყისვე შეესევა აუარებელი რიცხვი სხვა და სხვა მიკრობებისა. ადამიანის კანზე, პირში, კუჭში, ნაწლავებში და სასუნთქ ორგანოში შეგვიძლიან მრავლის მრავალი მიკრობები აღმოვაჩინოთ; წინაღ მედიცინაში იმ აზრისა იყვნენ საღ ადამიანის სხეულში მხოლოდ უვნებელი მიკრობებია და ვითომ სრულებით შეუძლებელი უნდა ყოფილიყო შხამიანი მიკრობების იქ ყოფნა.

ასე რომ ამ აზრით, როცა ადამიანი

გახდებოდა ავად რომელიმე გადამდები სენით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ადამიანის სხეულის ჩვეულებრივ უვნებელ მიკრობებს შხამიანებიც მიემატა, ესე იგი ისეთი, რომელიც გამოიწვევს ამა თუ იმ გადამდებ სენს.

მაგრამ შემდეგ დაკვირვებიდან აღმონდა, რომ ყოველ საღ ადამიანის სხეულშიაც შეგვიძლიან ვიპოვოთ ყოველ გვარი შხამიანი მიკრობიც. ასე მაგალითად ყოველ საღ ადამიანის პირში შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვა უვნებელ მიკრობებთან ერთად ხუნავის, ქლექის, ხოლერის, სახადის და სხვა ამგვარ სენის შხამიანი მიკრობებიც.

ერთი სიტყვით ადამიანი ვერ ასცდება მიკრობებს რადგან მთელი ქვეყნიერება: ჰაერი, წყალი, მიწის ნიადაგი და თვით სულიერი არსების სხეულიც კი სავსეა მიკრობებით, და ამით უფრო საშინელია ეს ბრძოლა, რომ თვალთ ვერ ხედავთ ამ საშიშ მტერს, რომელიც გარს გვახვევია და რაც კი თავი მოვარილოთ, მაინც ვერ ავსცდებით მათ.

გამრავლა რა ასე გასაოცრად ეს ჩვენი პაწაწკინა მტრები — მიკრობები, რასაკვირველია, არც ჩვენ დაგვივიწყა ბუნება, ჩვენც მოგვცა იარაღი ბრძოლისა, რომლითაც ცოცხალი ადამიანის სხეული იგებს მათ.

ცოცხალს ადამიანს რომ მართლა ბუნებრივი ძალა აქვს ბრძოლისა მიკრობების წინააღმდეგ, ეს სხვათა შორის იქიდგანაც სჩანს, რომ როგორც კი ადამიანი კვდება, სხეული ჰკარგავს ამ ბუნებრივ ძალას, სხეული მაშინვე ხდება უღონო და მასთან საუკეთესო ნიადაგი მიკრობებისთვის; უსულო გვამში მიკრობები მსწრაფლ მრავლდებიან, გვამი მათის



მოქმედებით იხრწნება და ბოლოს სრულეებით ჰქრება.

სხეულის კანზე უთვალავი რიცხვია სხა და სხვა მიკრობებისა, მრავალია შხამიანებიც.

ფეხის თითების შუა ერთმა მეცნიერმა 25 სხვა და სხვა გვარი მიკრობი აღმოაჩინა. ხელის თითების ფრჩხილების ქვეშ მრავალი შხამიანი მიკრობებია. ამიტომ, რომ ქირურგი სანამ ოპერაციას დაიწყებდეს, სცდილობს გასწმინდოს კანის ის ადგილი, სადაც გაჭრას აპირობს. მაგრამ მიკრობები ადამიანს ვერას აკლებენ თუ რომ კანის მთლიანობა დაურღვეველია, შეუძლებელია, რომ მიკრობებმა მასში გააღწიონ და გადავიდნენ სისხლში. მაგრამ თუ კი სადმე მცირე იარაა კანზე და ამ იარას მიკრობის შხამი მოხვდა ადამიანი მოიწამლება, ვინ მოსთვლის თუ რამდენი ექიმი მოწამლულა გახრწნილი გვამის გაჭრის დროს, მიზეზი ამ გვარი მოწამვლისა ყოფილა ხოლმე სრულეებით უმნიშვნელო თითის გაფხაჭვნა ამ დროს; აქედან შხამს შესძლება სისხლში გადასვლა და მთელის სხეულის მოწამვლა. აგრეთვე ადვილად შეიძლება მოიწამლოს ადამიანის სხეული სულ მცირე იარიდან წითელი ქარის, შავი ქირის, ქლექის ბაცილებსაგან.

ამიტომ რომ თვით ბუნება ცდილობს რაც შეიძლება მალე მოუკრას პირი იმ კანის ადგილს, სადაც მისი მთლიანობა დარღვეულია. მხოლოდ მოხუცის სხეულშია შესუსტებული ამ გვარი აღდგენის პროცესი უჯრედებისა.

ჩვენ თავშივე მოგახსენეთ, რომ ადამიანს პირში მუდმივ მრავალი მიკრობებია და მათ შორის შხამიანებიცაა. მაგრამ იმას ნუ კი იფიქრებთ, რომ ეს მიკრობები პირში თავის თავს თავისუფლად

გრძნობდნენ, ჰქონდეთ სრული თავისუფლება გამრავლებისა და სხეულის მოშხამვისა. ჯერ ეს ერთი რომ ის ლორწიანი გარსი, რომელიც პირს აკრავს, ნებას არ აძლევს მიკრობებს გააღწიონ მასში და გადავიდნენ სისხლში, თუ რომ, რასაკვირველია, ლორწიანის გარსის მთლიანობა დაურღვეველია.

მეორეც ისა, რომ ნერწყვი ნებას არ აძლევს მიკრობებს დიდ ხანს დაჰყონ პირში, რადგან ნერწყვს მუდამ ჩააქვს ისინი პირიდგან კუჭში.

მეცნიერთა გამოკვლევებიდან სჩანს, რომ დილას უზმოზედ ყველაზედ უფრო მეტი რიცხვია მიკრობებისა, ხოლო საუზმის ან სადილის შემდეგ კი მიკრობების რიცხვი ძლიერ კლებულობს, რადგან საჭმელს თან ჩააქვს კუჭში; ამასთან რამდენად საჭმელი უფრო მაგარია და უფრო ძნელი დასაღეჭია, იმდენად უფრო რიგიანად იწმინდება პირი მიკრობებისაგან.

კუჭში მიკრობებს ძლიერ ანადგურებს კუჭის წვენი; ძლიერ იშვიათია, რომ კუჭის წვენის სიმჟავეს მიკრობები ვადაურჩნენ, ამიტომ, რომ მიკრობების რიცხვი კუჭში ფრიად მცირეა, მაგრამ სამწუხაროდ ისეთი მიკრობებიცაა, რომლებსაც კუჭის წვენი ვერას აკლებს, აი ამიტომ, რომ კუჭშიაც შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ მიკრობები, თუმცა ვიმეორებთ შედარებით აქ მათი რიცხვი ძლიერ მცირეა.

კუჭში მიკრობების გამრავლებას ხელს უწყობს სისხლის ნაკლებობა, ციებ-ცხელება, ცუდი და მძიმე საჭმელი, რადგან ყველა ეს გარემოება კუჭს ასუსტებს და მის მიერ გამოწარმოებულ წვენს აკლებს სიმცხარე.

რამდენად კუჭი უვარგისია მიკრობების გამრავლებისათვის კუჭის წვენი სიმუხვის გამო, იმდენად უფრო მეტი თავისუფლება აქვთ მიკრობებს ნაწლევებში; ნაწლავის მლაშე წვენი ისე ვერ ანადგურებს მიკრობებს, როგორც კუჭის წვენი, ამიტომ ის მიკრობები, რომლებიც კუჭის წვენს თავს დაახწვენ და საჭმელთან ერთად ნაწლევებში გადავლენ, შესაფერ ნიადაგს და საზრდოს იპოვიან აქ.

მართლაც ადამიანის ნაწლევებში მრავალი სხვა და სხვა გვარი მიკრობებია, ამათში არის ისეთი, რომელიც შემთხვევით ჩაჰყოლია საჭმელს, იქ არიან ისეთებიც, რომლებიც სამუდამოდ დაბინავებულია ნაწლევებში.

საზოგადოდ ნაწლევებში სამივე უმთავრესი გვარის მიკრობებია: **მიკროკოკები**—პაწაწკინა ბურთის მზგავსი მიკრობები, **ბაცილები**, რომლებიც თავის მოყვანილობით პაწაწკინა ჩხირს წაგვანან და **სპირილები** ბურღის მზგავსი მოყვანილობისა. რასაკვირველია თქვენ გესმით მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეიძლება მიკრობების დანახვა და მათი მოყვანილობის გაშინჯვა.

შეიძლება ორი რომელიმე მიკრობი ერთგვარი მოყვანილობისა იყვეს, მაგრამ სულ სხვა და სხვა თვისებისა: ერთი რომ სრულებით უვნებელია, მეორე ფრიად უხამიანი.

ამიტომაც ნაწლევებში სხვა და სხვა თვისების მიკრობებია: თხელ ნაწლევებში მუდმივ იქ მყოფ მიკრობთა შორის უნდა აღვნიშნათ: *bacillus liquefaciens ilei*, *bacterium lactifium streptococcus liquifaciens ilei*, *bacillus aerogenes* და სხვები.

ამგვარი მიკრობები მუდმივ იმყოფებიან და ზოგიერთა აზრით, არამც თუ რაიმე ვნება არ მოაქვთ ადამიანისთვის,

არამედ თავისი იქ ყოფნით სარგებლობაც მოაქვთ: ისინი შევლიან ნაწლევებს საჭმლის მონელებაში.

სქელ ნაწლევებში კი მუდმივ მიკრობებს ეკუთვნის *bacillus coli commune*: რაც უნდა დაცარიელდეს სქელი ნაწლევები, მაინც ამათი რიცხვი არ კლებულობს. ყველაზე მეტი რიცხვი მიკრობებისა ყოველთვის სქელ ნაწლევებშია. ამიტომ ისედაც ადამიანისათვის უსარგებლო სქელი ნაწლევები ამ მრავალ მიკრობების გამო ფრიად საშიშ ორგანოდ ხდება. მართლაც სქელი ნაწლევები შედარებით თხელ ნაწლევებთან ძლიერ მცირე და სუსტია, ამიტომ აქ საჭმელი დიდხანს ჩერდება და აქ მყოფ მიკრობების გავლენით იხრწება და ხშირად ისეთი მავნე უხამიან ნივთიერება ჩნდება მათი წყალობით, რომ ადამიანის სხეული იწამლება ამ უხამით.

გამოჩენილმა მეცნიერმა მეჩნიკოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ადამიანი კიდევ უფრო დიდ ხანს იცოცხლებდა, რომ ეს სქელი ნაწლევები არა ჰქონოდაო.

შესაძლოა რომ იყოსო, ამბობს იგი, ამოეჭრას ადამიანს ეს სქელი ნაწლევები (ამის მაგალითი უკვე გვაქვს) და ამითი სხეული განთავისუფლდეს იმ მავნე ნივთიერებისაგან, რომელიც იქ ჩნდება, ადამიანი ასს წლამდინ მაინც იცოცხლებოდაო თუ არა მეტი.

თუმცა ადამიანს ასეთი განსაცდელი მოელის ამდენ აუარებელ რიცხვ მიკრობებისაგან, რომლებსაც ჩვენი ნაწლევები თავის ბუდეთ გაუხდით, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ ლორწიანი გარსი ნაწლევებისა ნებას არ აძლევს მიკრობებს გააღწიონ ნაწლევებიდან სისხლში; გარდა ამისა ნაღველა, რომელიც ღვიძლიდან ნაწლევებში ჩადის, ძლიერ ასუსტებს მიკ-



რობებს და ანელებს მათ მიერ გამოხატვას. ეს ორი ბუნებრივი ძალა სრულებით საკმარისია სხეულისათვის, რომ თავი დაიფაროს მიკრობებისაგან და მათ შხამისაგან, მაგრამ საკმარისია ამასთანავე დაირღვეს ლორწოვანი გარსის მთლიანობა, რომ მაშინვე მოიწამლოს სხეული.

პასტერი აცლაპინებდა ზოგიერთ ცხოველებს ციმბირის ჭირის ბაცილებს, რომლებიც აურია დანაყილ ჭიქასთან, ქვიშასთან და ეკლიან ბაღახთან; ამით რასაკვირველია ლორწოვანი გარსი ნაწლავებისა ცხოველებს დაეკაწრათ, რამაც ნება მისცა მიკრობებს გადასულიყვნენ სისხლში და მოეწამლათ ცხოველი.

ნაწლავებში, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი სხვა და სხვა მიკრობებია, ეს გარემოება ხელს უწყობს ბრძოლას ურთიერთ შორის, აძლიერებს მათ შორის ცილობას და ამით მიკრობები ერთმანეთს თვითონვე ასუსტებენ, ერთმევათ ღონე და ძალა, მაშასადამე აკლდებათ შხამიც.

ხშირად შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ საღ ადამიანის ნაწლავებში ისეთი საშიში მიკრობებიც, როგორც არის მიკრობი ხოლერისა, სახადისა და სხვა ამ გვარი სენისა; თუ რომ ადამიანი არ იწამლება იმათი შხამით, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა იქ მყოფი აუარებელი რიცხვი მიკრობებისა მათ ნებას არ აძლევს გამრავლებისას, ვერ უძლებენ ბრძოლას არსებობისათვის.

მეჩნიკოვმა და ზოგიერთმა სხვებმაც გადაცლაპეს ხოლერის ბაცილები, მაგრამ უფნებელნი დარჩნენ.

უფრო საუკეთესო და ადვილი შესავალი მიკრობებისათვის ჩვენი სასუნთქავი ორგანოებია:

ყოველ შესუნთქვის დროს ჰაერთან ერთად ჩვენ ვისუნთქავთ მრავალ სხ. და სხ. მიკრობებს, რომლებთა შორის შეიძლება შხამიანებიც იყვნენ; აქაც კიდევ ლორწოვანი გარსის წყალობით მოწაპვლა იშვიათია, ამავე ლორწოვან გარსს ასხია ნაზი თმის მეზავისი თათები, რომლის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი უცხო და მავნე ნივთიერება, რომელსაც ჰაერთან ერთად ვსუნთქავთ, ზემოდ უკანვე ამოაგდოს.

ყველამ იცის, თუ რა ხველა აუვარდება ადამიანს, როდესაც უსუფთაო ჰაერს ჩაყლაპავს; ხოლო ყოველ უსუფთაო ჰაერში მიკრობი ბევრია.

ამ გვარად ხველა ის ბუნებრივი საშუალებაა, რომლითაც სასუნთქავი ორგანო თავისუფლდება მავნე ნივთიერებისაგან. გარდა ამისა სასუნთქავ ორგანოების ლორწოვანი გარსს გამოაქვს ერთგვარი წებოვანი სითხე, რომელიც აბრკილებს მიკრობების მოძრაობას ქვემოდ ფილტვებისკენ; ამიტომაც, რომ საღ ფილტვებში მიკრობები ვერ მიაღწევენ ხოლმე.

ცხვირსაც დიდი მნიშვნელობა აქვს; ცხვირი ფილტვებისთვის ფილტრია; ყოველი მავნე და გარეშე ნივთიერება ჰაერისა ცხვირში რჩება და ამ გვარად გაწმენდილი ჰაერი სასულეში და აქედგან კი ფილტვებში. ცხვირშივე ჰაერს ეძლევა შესაფერი სითბო, ხოლო ცივი ჰაერი აღიზიანებს ფილტვებს და შესაძლოცაა, რომ ავადმყოფობა გამოიწვიოს.

გასაკვირველიც არ არის, რომ ადამიანის ცხვირში მრავალი მიკრობია.

ცხვირსაც აკრავს მიკრობებისაგან დამხსნელი ლორწოვანი გარსი. როდესაც ცხვირში მოგროვდება მავნე გამაღიზიანებელი ნივთიერება, ადამიანს აუვარდება

ცხვირის ცემინება, რომლის საშუალებით ცხვირი იწმინდება. ჩვენ ქართველებს ტყუილად კი არა გვაქვს ჩვეულებად ყოველ ცხვირის დაცემინების დროს „ხეირის“ თქმა; შეიძლება ჩვენი ხალხი ინსტიქტიურად გრძნობს ცხვირის დაცემინების სარგებლობას სხეულის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ ყველას ურჩევთ მიეჩვიოს ცხვირით სუნთქვას ნამეტურ ცივ და უსუფთაო ჰაერში ყოფნის დროს.

თვლების ბუდესაც აკრავს ლორწოვანი გარსი, რომელსაც ისეთივე ბუნებრივი თვისება აქვს, როგორც ზემო აღნიშნულ ორგანოებში. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ცრემლებს, რომლებიც რეცხავენ თვალებს და მიაქვთ რაიმე ჩივარდნილი მავნე ნივთიერება ან მიკრობი თვალიდან ცხვირში, ცხვირიდან გარედ.

რა გვარად ავნებენ მიკრობები ადამიანის სხეულს, რა საშუალება აქვს ისეთი, რომლითაც ისინი ებრძვიან ადამიანის სხეულს?

მიკრობები, როგორც ცოცხალი არსებანი, საჭიროებენ საზრდოს და ამიტომ, როდესაც ისინი ადამიანის სხეულში არიან, ართმევენ სხეულს მისთვის საჭირო მასაზრდოვებელ ნივთიერებას და მყავბადს, ურომლისოდ ცოცხალი არსება ვერა სძლებს და ვერა სცოცხლობს.

მაგრამ უმთავრესად კი მიკრობები სწამლავენ სხეულს თავისი შხამით. სისხლს მიაქვს ეს შხამი სხეულის ყველა ნაწილებსკენ და ამ გვარად იწამლება მთელი სხეული. ამას ერთი თვისებაც კიდევ ხელს უწყობს: მიკრობები გასაოცრად ჩქარა მრავლდებიან: ერთი მიკრობი რამდენსამე საათის განმავლობაში გადიქცევა რამდენსამე მილიონად, და აი ამიტომ

თუმცა მიკრობები ფრიალ ჰაწაწკინებენ სებანი არიან, მაგრამ ამ საოცარ გამრავლების თვისებისა და შხამის წყალობით ასე საშიშარნი არიან.

ვსთქვათ სხეულმა მაინც ვერ შესძლო და ვერ დაიფარა თავი მიკრობებისაგან, მაინც შეაღწიეს სისხლში მიკრობებმა და დაუარეს ძარღვებში მთელს სხეულს, მაინც ჯერ არ შეიძლება იმის თქმა რომ მიკრობები გამარჯვებულნი იყვნენ, რადგან სხეულს კიდევ აქვს საბრძოლველი იარაღი, ეს იარაღი ბრძოლისა მიკრობების წინააღმდეგ არის სისხლის თეთრი ბურთულები—ლეიკოციტები.

პირველად 1775 წელში ინგლისელმა მეცნიერმა Huxson-მა აღმოაჩინა, რომ ადამიანის სისხლში წითელ ბურთულების გარდა დატრიალებს ერთგვარი უფერო მოძრავი სხეულები, რომლებსაც სახელად „თეთრი ბურთულები“ დაერქვა. იმ დროს თეთრი ბურთულების მნიშვნელობა კარგად არ ესმოდათ. საზოგადო არც მათი თვისებანი ჰქონდათ შესწავლილი. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ეს თეთრი ბურთულები ანუ ლეიკოციტები სისხლის წითელ ბურთულებისაგან როგორც ფერით ისე მცირე რაოდენობით: ყოველ 300 წითელ ბურთულაზე მხოლოდ ერთი ლეიკოციტი მოდის. ლეიკოციტი ანუ თეთრი ბურთულა მოძრავი სხეულია და ეს არის მისი უმთავრესი და ფრიალ დიდ-მნიშვნელოვანი თვისება.

ლეიკოციტები იმყოფებიან არა მარტო სისხლში, არამედ ყოველ ორგანოს უჯრედებთა შორისაც; ლეიკოციტის სხეული თონთლო ნივთიერებაა—პროტოპლაზმა—რომელსაც გარშემო აბკა არა აქვს, ლეიკოციტი სხვა და სხვა გარემოების გავლენით სხვა და სხვა მოყვანილებას იღებს. ლეიკოციტი მოძრაობს ამ გვა-



რად; ჯერ წასწევს წინ თავისი სხეულის ერთს ნაწილს—პაწაწკინა თათის მზგავსს, რომელსაც ნელ-ნელა გარშემო ერთკმის დანარჩენი ნაწილიც სხეულისა, შემდეგ კიდევ წარსდგამს თათს და მის გარშემო კვლავ მოგროვდება სხეულის დანარჩენი ნაწილი.

აი ამგვარად მოძრაობს ლეიკოციტი და მიემართება იქითკენ, სადაც საჭიროა იქნება მისი ყოფნა. რამდენსამე საათის განმავლობაში ლეიკოციტი გაივლის რამდენსამე მილიმეტრს.

ლეიკოციტის მოძრაობას ველარაფერი ვერ დააბრკოლებს რა, ლეიკოციტი თავისუფლად გაახწევს ძარღვების სხეულშიაც კი. საკმარისია მხოლოდ როგორმე გააძვრინოს ლეიკოციტი უჯრედების შუა წინ გაწეული ძაფის მზგავსი თათი და მერმე დანარჩენ ნაწილის გაძვრენას ადვილად მოახერხებს. ლეიკოციტი გამოდის ძარღვებიდგან და მიემართება იქით, სადაც ყოფნა და შველა საჭიროა, ასე რომ ლეიკოციტს რაღაც განსაკუთრებული აღლო უნდა მივაწეროთ.

ვიდრე ადამიანი ჩვეულებრივ გარემოებებშია, ლეიკოციტებიც თავიანთ ადგილას არიან. მაგრამ თუ სადმე სხეულის რომელსამე ადგილას გარედგან შეახწია მხამიანმა მიკრობმა და მოწამლა ის ადგილი, მაშინვე ლეიკოციტები დაიძვრიან ადგილიდგან და გაეშურებიან მომხამულ ადგილისკენ.

მიახლოვდება თუ არა ლეიკოციტი მიკრობს, სისხლში იქნება იგი თუ სხეულის სხვა ნაწილში, გამოუშვებს მრავალ თათებს, რომლებითაც ეხვევა მიკრობს და თან და თან იხვევს, თითქო ჰნაჭავს; მიკრობი ნელ-ნელა იღვევა და ბოლოს სრულებით იხსნება, წყალდება ლეიკოციტის თონთლო სხეულში.

მიკროსკოპის საშუალებით შეგვიძლიან დავინახოთ, რომ ერთი და იგივე ლეიკოციტი თუ საჭიროება მოითხოვს ყლავს და ჰნთქავს ერთს, ორს, სამს და კიდევ მეტსაც მიკრობს, სანამ თვითონ არ გასკდება.

ამ ბრძოლის დროს არც მიკრობი ჰნება დება უბრძოლველად ლეიკოციტს: მათ შორის სასტიკი ბრძოლაა: ან ერთი დარჩება გამარჯვებული და ან მეორე.

მიკრობი როგორ და ებრძვის? ჯერ იმითი, რომ ფრიად სწრაფად მრავლდება სისხლში, მერმე იმით, რომ სცდილობს თავისის მხამით მოსწამლოს ლეიკოციტი.

ის, რასაც ჩვენ ავთ-მყოფობას ვეძახით, არის მხოლოდ სურათი და გამომხატველი ამ ბრძოლისა! თუ მიკრობებმა აჯობეს და მომხამეს ლეიკოციტები, მაშინ ცხადია ლეიკოციტები ვერა შესლებენ მათ განადგურებას, და ავთ-მყოფი კვდება.

როდესაც ადამიანის სხეული იწამლება მიკრობების მიერ გამოშვებულ მხამით, ისევ ლეიკოციტები სცდილობენ მოსპონეს საწამლავი და გაანთავისუფლონ სხეული, შეგვიძლიან მივიღოთ რაიმე მონაწილეობა ლეიკოციტების და მიკრობთა შორის ბრძოლაში თუ არა?

რომ ამ გვარი მონაწილეობის მიღება ყოვლად შესაძლოა, ამას ხუნავის ასაკრელი შრატის გამოგონება ჰმოწმობს. ამ შრატის გავლენით ვაძლიერებთ ლეიკოციტებს და ვაძლევთ მეტს ძალ-ღონეს მიკრობების დასამარცხებლათ. ყველამ იცის რა საოცარი შედეგი მოსდევს ამ შრატით წამლობას.

მეცნიერმა პასტერმა გამოაქვეყნა პირველად, რომ ერთი და იგივე მიკრობი ყოველთვის ერთგვარის ძალის როდი

არის. შეიძლება ძლიერ მომწამლავი იყოს, მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ეს თვისება მოაკლდეს, ამ გვარი დაუძლეურებული მიკრობი სხეულს ვერას აკლებს, სხეული უვნებელი რჩება.

ეს რა მოვლენაა?

სახელ-განთქმულმა მეჩნიკოვმა დაამტკიცა თავის გამოკვლევით, რომ ამ გვარი სუსტი მიკრობები იმიტომ ვერას აკლებენ სხეულს, რომ ვერ უძლებენ ლეიკოციტების ბრძოლას; როგორც კი გაჩნდებიან სისხლში ამ გვარი მიკრობები, ლეიკოციტები მაშინვე თავს დაესხმიან და ჰნთქავენ. ამიტომ ადამიანი ან სულ არ გახდება ავად ან და თუ გახდა, ძლიერ მსუბუქად. ლეიკოციტებს ერთი ფრიად ძვირფასი თვისება აქვთ! თუ ერთხელ სძლიეს რომელსამე გვარის შხამიანს მიკრობს, მეორედ კიდევ უფრო გაუადვილებათ მათი დამარცხება, რადგან ამ მიკრობებს და მათის შხამის მონელებას ეჩვევიან და შემდეგ უფრო დახელოვნებული შეიქნებიან ხოლმე.

აი, სწორედ ლეიკოციტების ამ ძვირფასს თვისებაზედ არის დამყარებული სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენის აცრა.

ავიღოთ, მაგალითათ, და ცხვარს ერთი ყურის კანში შევეუშხაპუნოთ დასუსტებული მიკრობები, ხოლო მეორე ყურში იგივე მიკრობები თავისი ჩვეულებრივი შხამისა: პირველი ყური მალე მოაურჩება, რადგან ამ დასუსტებულ მიკრობებს ლეიკოციტები მალე და ადვილად ჩაჰნთქავენ, ხოლო მეორე ყურის კანში კი შხამიანი მიკრობები გამრავლდებიან, რადგან ლეიკოციტებს დასძლევენ და ცხვარი მალე გასჭიმავს ფეხს.

ავიღოთ ორი ცხვარი, ვსთქვათ, ერთს აუცერით და აიტანა ამ გვარი აცრა,

მეორეს კი არა. შევაპკუროთ ორივეს კან ქვეშ ამ გვარი შხამიანი მიკრობები; პირველი მალე მოაჩება, მეორე კი არა.

ლეიკოციტებს მეცნიერებაში სახელათ დაერქვათ „ფაგოციტები“, ეს სახელი კარგად ახასიათებს მათ მტაცებლობის თვისებას. ძლიერ საინტერესოა თვალი ადევნოს ადამიანმა იმ ბრძოლას, რომელიც მოხდება ხოლმე ამ ლეიკოციტის, ფაგოციტის და ობერმეიერის სპირილას შორის; სპირილა იმიტომ ჰქვიათ ამ მიკრობს, რომ სწრაფი მოძრაობა აქვს, რომლის დროს სულ ერთიანად იკლავება. შეხვდება თუ არა ლეიკოციტი ამ სპირილას, მაშინვე გამოუშვებს თათებს და მტაცებს სპირილას; ეს კი რაც შეიძლება სცდილობს თავი დაახწიოს, სულ მთლად იკლავება, მაგრამ ამაოდ; ლეიკოციტი თან და თან უფრო მაგრა ეხვევა და ბოლოს სპირილას სრულებით ჰნთქავს, მოხდება ხოლმე, თუმცა იშვიათად კი, რომ სპირილა გაინთავისუფლებს თავს და გაექცევა ლეიკოციტს.

როგორც ხედავთ ეს ლეიკოციტები ფრიად სასარგებლონი ყოფილან ჩვენთვის, მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მათ ჩვენთვის თურმე ზიანიც მოაქვთ. აღმოჩნდა, რომ ჩვენი სიბერის მიზეზი სხვათა შორის ეს ლეიკოციტებიც ყოფილან!

როგორც ქვეყნად სულიერ არსებათა შორის შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისთვის, ესეთივე ბრძოლაა ყოველ სხეულის უჯრედებთა შორისაც. ვიდრე სულიერი არსება ახალგაზრდაა, უჯრედებთა შორის ბუნებრივი თანაბრობაა, ერთნი მეორეს არა სჩაგრავენ, ხოლო როდესაც ცხოველი ბერდება, ეს თანასწორობა



ირღვევა ერთი ჯგუფი უჯრედებისა სძლევს მეორე ჯგუფს.

დაძლეულნი რჩებიან ის უჯრედები, რომლებიც უფრო ნაზის აგებულებისა არიან, უფრო მაღალ დანიშნულებას ასრულებენ სხეულში, როგორც მაგალითად უჯრედები ნერვებისა და ტვინისა.

ამ გვარ ნაზ და „კეთილშობილ“ უჯრედების განადგურებაში უმთავრესს მონაწილეობას იღებენ ლეიკოციტები. როცა სიბერის დროს უჯრედები უძლურებაში შედიან, ლეიკოციტები თავს ესხმიან და იწყობენ ამ ნაზ უჯრედების განადგურებას. წინადა, როცა მეტი ბუნებრივი ძალა ჰქონდათ უჯრედებს შეეძლოთ ამითი მოგერება; იმ დროს მეჩნიკოვის აზრით ლეიკოციტების მოსაგერებლათ უშვებდნენ ერთ გვარს სითხეს; ეს სითხე იცავდა უჯრედებს ლეიკოციტებისაგან; სიბერის დროს კი უჯრედებს ეს თვისება აკლდებათ.

მეჩნიკოვი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შეიძლება მერმისში ისეთი სითხის მომზადება, რომელიც, შევავსებებთ რა მას მოხუცს სხეულში, ისე დააუძლურებს ლეიკოციტებს, რომ მათ ბევრი არა დააკლონ რა ნაზ უჯრედებს. მაშინო, ამბობს, მეჩნიკოვი აღამიანი უფრო ხანგრძლივი იქნებოდა, ასს წლამდინ მაინც მიაღწევდა და ისეთი შიშიც აღარ ექნებოდა სიკვდილის, როგორიც დღესა აქვსო.

მეტს არ გამოუდგებიო სხვა მრავალ ამ გვარ თვისებების აღწერას, გვინდოდა მხოლოდ გვეჩვენებინა როგორც ამას მეცნიერი Charle Bichet ამტკიცებს, რომ სულიერი არსებანი გაჩენილნი არიან ქვეყნად სიცოცხლისთვის, ბუნება წარმოადგენს ცოცხალს მატერიას, რომელიც ყოველ ღონისძიებას ჰღონობს, რომ რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს.

დაბალ არსებათა შორის გასაოცარიო სიმრავლე ნაყოფიერებისა; უმაღლეს არსებათა სიცოცხლე კი იმ გვარად არის შეიარაღებული, რომ თუმცა იმათ გარშემო მუდმივ არსებობისათვის ბრძოლაში არიან, მაინც გამარჯვებულნი რჩებიან და მათი რიცხვი დღით-დღე მრავლდება. სულიერი არსება რომ ქვეყნად ჩნდება, თითქოს ნაბძანები აქვს—რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს ქვეყნად და გამარჯვებული იყოს არსებობისათვის ბრძოლაში; თვით ეს ბრძოლა არსებობისათვის ამაგრებს, აძლევს დღეგრძელობას და ამრავლებს სულიერ არსებათა სხვა და სხვა გვარ სასარგებლო თვისებებს; მაშასადამე არსებობის ბრძოლაში გამოისახება პროგრესი ანუ წინ მსვლელობა სულიერ არსებათა მთელი სამეფოსი.

ერთი სიტყვით თუმცა განუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის, მაგრამ ამასთანავე ყოველ არსებაში ბუნებით თანდაყოლილია ძლიერი, თვით დაცვის ძალა.

ექიმი ბადრიძე.



მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

V.

გულ-ძონძდის სიდრუეეში დაგვრჩა კიდევ ერთი მეტად დიდმნიშვნელყოფანი ასო რამელ-ზედაც მინდა ახლა გესაუბრო. ეს ასო არის გული. თუ რა მოყვანილობისაა გული, მე გეცხნა ამაზედ ბევრი ღაზარაკი არ უნდა დაგვტყირდეს, რადგან დარწმუნებული ვარ, თვითეულ თქვენგანს უსათუოდ უნახავს ღორის, ხარის და გინდა ქათმის გული მაინც. აღმიანის გულსაც სწორეთ ასეთივე მოყვანილობა აქვს. იგი მოთავსებულია გულ-ძონძდის მარცხენა სიდრუეეში, მარცხენა ძუძუს ქვეშ და თავის მარჯვენა კედლებით გულის-ფიცარს ედება და წვერით კი მეოთხე ან მეხუთე წიბოს. იგი გარდიგარდმო ზოლზოლი კუთები-საგან შექსოვილი ასოა და შუა კედლით თავიდან ძირმდის ორ თანასწორ ნაწილათ განიყოფება: მარჯვენა და მარცხენა ნაწილათ. ეს ნაწილებიც თავის თავად თვითეული ორი განყოფილებისაგან შესდგება: ზევითა განყოფილებებს წინა გულები ეწოდება და ქვევითას კი კოჭობები, რადგან ეს უკანასკნელნი თავის მოყვანილობით ზატარა ქათმის, კოჭობს მოგვაგონებენ. გულის ეგვლა ეს განყოფილება ერთმანეთს ნახვრეტებით უერთდება. ამ ნახვრეტებში ხორცის თხელი ენება მოთავსებული. მარჯვნივ სავი და მარცხნივ ორი. იგინი ხუფის მსგავსათ ფარავენ ამ ნახვრეტებს და ძლიერ ეხმარებიან გულს სისხლის მოძრაობის დროს. მეტის სიმაგრისათვის ისინი გულის კედლებს გულის სიმებით ან ხორცის ძაფებით არიან მიმზუნნი.


გული სულ მუდმივ, განუწყვეტელ მოძრა-

ბაშია. მისი თვითეული ნაწილი რიგ-რიგობით ხან შეიკუმშება და ხან გაიშლება. შეკუმშვის დროს მასში მომწვედუელ სისხლს სისხლის სადენ მილებში მიერეკება და გაფართობის დროს კი ახალი სისხლით ივსება. ეს ამნაირად ხდება: გულის მარჯვენა წინა გულში შემოდის და თავდება ეგრეთ წოდებული ძირა დრუ ვენა, რომელსაც მთელ სხეულში მოვლილი სისხლი მოაქვს აქა. როგორც კი მოსული სისხლით ეს წინ გული გაივსება, მისი კედლები თავისთავად შეკუმშას იწეებს; მის და კოჭობს შუა მოთავსებული სამენოფანი ხუფები იხსნებიან და სისხლი იქიდან მარჯვენა კოჭობში გადადის, გაივსება თუ არა სისხლით ეს კოჭობი, ხუფები ატივტივლებიან, გაიშლებიან და ისევ მჭიდროთ ჰქეტავენ წინა გულში გასავალს. ახლა მარჯვენა კოჭობის კედლები იწეებენ შეკუმშვას და მასში მოგროვილ სისხლს ფილტვების არტერიებში მიერეკებიან. მათ შესავალშია ცხუფები არიან მოთავსებულნი, ისინიც ჯერ იხსნებიან, კოჭობიდან მიმავალ სისხლს გზას აძლევენ, მერმე კი ისევ იხურებიან და არტერიებში გადასულს სისხლს ძირიდან ეფარეფიან. ამ ნაირათ ეს ხორცის ენები—ხუფები ეხმარებიან გულის მუშაობაში, უშლიან რა სისხლს უკან დაბრუნებას. სავაგიეროთ მათი დავადყოფების შემდეგ გულში ზედმეტი სისხლი გროვდება, მას ამ სისხლის დასაღლეად ზედმეტი მუშაობა სჭირდება, რის გამოც იწეება გულის ვადყოფობა—მისი სიგანავრე და ფრიალი. ფილტვების არტერიებში გადასული სისხლი, დიდი, სავალად და



ბეწვეული მიღებით, მოიფლის მთელ ფილტვებს, ჭკარგავს ნახშირის სიმყავეს, შავის მაგივრათ მყავბადით გაყდენთისა გამო წითელ ფერს დებულაბს და განახლებულ კანს-ლისებული ისევე გულს უბრუნდება. იგი ზე-

ვითა ღრუ ვენით გულის მარცხენა წინ გულში ჩადის. ამ გზას, რომელსაც სისხლი გულის მარჯვენა კოჭობიდან, ფილტვებში მოფლილი, გულის მარცხენა წინგულამდე აკეთებს სისხლის მიმოქცევის მოკლე შა-



სისხლის მიმოქცევის გრძელი შარა.

რა უწოდებს. მარცხენა წინა გულში ჩასული სისხლი წინ გულის შეკუმშვის გამო გულის მარცხენა კოჭობში გადადის, — აქედან კი აორტაში. ბორტა, გულის შერმე, სის-

ხლის სადენ მიღებში ეგვლასზე უდრო დიდ და ფართოა. იგი გულ-ძონძის სიდრუვეშივე ჯერ რკალს აკეთებს, მერმე რამდენიმე ტოტათ იყოფა, ზოგით თავისა და ზედა ნაწი-

რების—ხელებისაკენ მიიმართება, უმთავრესათ
 კი ხერხემალზე დაკრული სტომაქის სიდრუ-
 ვის დაუყვება; უგზავნის ტოტებს კუჭს, ღვიძლს,
 ტერძს, თირკმლებს, ნაწლავებს, საშარდე
 ბუშტს, საშვილთსონს, მთლად ფარფურებს
 (ბადექონს) და დაბოლოს ძირა ნაწევრებს—
 ფეხებს. ეს ტოტები ზოგი დიდა და ზო-
 გიერ ზატარა, ბეწვეული, ამიტომ არც ერთი
 ასო, არც ერთი უჯრედი არ რჩება სხეულში
 ისე, რომ სისხლის სადენი მიღი არ უგლი-
 დეს, და მისის საშუალებით სისხლი და საზრ-
 დო არ მიუდიოდეს. ბეწვეული არტერიები
 თან და თან შეუმჩნევლად ასეთსავე ბეწვეულ
 ვენებში გადადიან. ამ ორი ბეწვეული მილე-
 ბის შუა მოთავსებულა ეგრედ წოდებული
 „კაპილარები“, რომლის წყალბითაც სის-
 ხლი უტოვებს სხეულის ქსოვილებს, უჯრე-
 დებს, მყავბადს და სხვა მასზრდობულ ნი-
 თიერებად ღებულბებს ნახშირის სიმუჯავს და
 სხვა უვარგისს ნივთიერებათ. ვენების დანი-
 შნულება სხეულს მფულილი, ნახშირის სიმ-
 უავით და სხვა და სხვა უვარგისი ნივთიერე-
 ბით გაჟღერთილი სისხლი უკან, გულისაკენ
 მკაბრუნს, რომ აქედგან ფილტვებისკენ გა-
 რეკოს და იქ ისევ გადასაღისოს. ამიტომ
 ბეწვეული ვენები, რაც გულს უახლოვდებიან
 თან და თან ერთდებიან, მსხვილდებიან და

ღვიძლთან ერთ დიდ ვენათ იქცევიან, რომელ-
 საც კარიბჭის ვენა ეწოდება. იგი შედის
 ღვიძლში, აქ სისხლი იწმინდება სხვა და სხვა
 მანვე ნივთიერებისგან და შემდეგ ძირა დრუ
 ვენით, რომელიც ღვიძლიდან გულის მარ-
 ჯვენა წინ-გულში ჩადის, გულისკენ მიემარ-
 თება.

ამ გზას, რომელსაც სისხლი აკეთებს გუ-
 ლის მარცხენა კოჭობიდან, მთელის სხეულის
 შემოვლით, გულის მარჯვენა წინგულამდე
**სისხლის მიმოქცევის გრძელი შარა
 დაარქვეს.** და რადგან, გულის მარცხენა ნა-
 წილს, მის კოჭობს უფრო მეტი სამუშაო
 აქვს, სისხლი გრძელ შარაში უნდა გარეკოს
 და მთელი სხეული მარცხენის, ამიტომ მი-
 სი კედლები უფრო მსხვილია, ვიდრე გულის
 მარჯვენა ნაწილისა, რომელსაც შედარებით
 ნაკლები სქმე აქვს ბუნებისგან დაკისრებუ-
 ლი.

ამ ნაირად გულის შეუჩერებელი მუშაობი-
 სა გამო ჩვენი სხეული, მასში გაფანტული
 სისხლის სადენი მიღების საშუალებით, ღე-
 ბულბებს სისხლს, რომლითაც ხარობს და ი-
 ვებება.

ექიმი ევ. გ. ლოსაბერიძე.

(შემდეგი იქნება)

კ ი ზ ი ე ნ ა

(წერილი პირველი)

XII

ს ი ნ ო ტ ი ე.

ატმოსფეროს ჰაერი ყოველთვის და
 ყველგან შეიცავს სინოტიეს, რომელსაც
 აჩენს აორთქლილი წყალი: ზღვიდან,
 ტბიდან, მდინარიდან და ზეადავიდან.

ჰაერის სინოტიე ყველა ქვეყნებში ერთ
 თანაბარად არ არის ვანაწილებული.
 ჩრდილო ქვეყნებში ჰაერი უფრო ნოტიო
 არის ვიდრე სამხრეთის და აღმოსავლეთის
 ცხელ ქვეყნებში. მაგალითად, აღ-
 ყირის ჰაერში სინოტიე აღმოჩნდა 50%,
 ნიცაში 58%, ბერლინში 78%, პეტერ-

ბურგში 82⁰/₁₀₀, ქუთაისში ჰაერი უფრო ნოტიოა ვიდრე თბილისში და სხვ.

ინგლის-ირლანდიაში უღრუბლო დღე მეტად ძვირი სახანავია, — სულ ნისლსა და ბურუსშია ქვეყანა გახვეული. იქაურ ხალხს აკი ამიტომაც გაცინებულს ძვირად ნახავთ. პეტერბურგიდან წამოსული, რამდენათაც ჩვენს ქვეყანას უახლოვდებით, იმდენად ცა უფრო და უფრო მხიარულია, მოწმენდილია. ჩვენ როდესაც ვაქვართ ცის მშვენიერ სურათებით ვხარობთ, ჩრდილოეთ ქვეყნებში არაკათ თუ გაუგონიათ, მხოლოდ ოცნებობენ და შურით გვიცქერიან, შემოგვნატრიან. იმ დროს, როდესაც ჩვენ საქართველოს მზის სხივებით წელიწადი თორმეტი თვე უხვად გულს ვითბობთ, პეტერბურგს წელიწადში 168 წვიმიანი დღე უთენდება.

ერთსა და იმავე ადგილას ჰაერის სინოტიე მთელის წლობით ერთ გვარად არ არის. რაოდენობა იცვლება დროის შესაფერად. დილით სინოტიე მეტია ჰაერში ვიდრე შუადღისას, ყინვიან ზამთარში და ცხელ ზაფხულში ჰაერი უფრო ხმელია, თოვლ-ქყაპის დროს კი ჰაერი მთლად გაჟღენთილია ნოტიოთი. ამასთანავე დაბურულ ტყეში და ღელე-ღრანტეში, ზღვის ნაპირზე და ტბა-მდინარეთა კიდეებზე სინოტიე ყოველთვის სჭარბობს. ბარში მეტია ვიდრე უტყეო მთაში და სხვ...

ჰაერის სინოტიეზე დიდი გავლენა აქვს ქარს. ეს იმაზედ არის დამოკიდებული რა მხრიდან უბერავს. ზოგი ქარი სინოტიეს ავრცელებს, ზოგი-კი საშინლად ახმობს.

XIII

ჰაერის სინოტიეს დიდი გავლენა აქვს ჩვენს ჯანმრთელობაზე. ზომიერი სინო-

ტიე ადამიანისთვის და ყოველ ცხოველის და მცენარისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. კეთილ შეხვედრულად ჰაერი 60⁰/₁₀₀ აორთქლილ წყალს უნდა შეიცავდეს და ნამდვილი ნორმაც ეს არის. ამ გვარად თავის დროზე ავდარიც აუცილებლად საჭიროა, როგორც მცენარეთა მოსავლისთვის; ისე ცხოველთა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ჯერ ერთი რო ქვექაქუხილის შემდეგ წამსვე აზონი ჩნდება ჰაერი სასუნთქავად სახალისო ხდება. გარდა ამისა წვიმა და თოვლი ჰაერს რეცხავს, სწმენდავს — მტვერს და ბაქტერია-ბაცილებს აცლის. სუფთა ჰაერის სუნთქვა-კი რა თქმა უნდა სიცოცხლეს ახალისებს, ფილტვები სალდება, დღეს გვიგრძელებს.

მაგრამ დაჟინებული ავდარი კი ყველასათვის და ყველაფრისთვის მავნებელია. ჰაერში თუ 80 პროცენტზე მეტი წყალი (ორთქლი) ურევია უკვე გადაჭარბებულ ნოტიოთ ითვლება.

როცა ავდარი ხშირია, ჰაერის სინოტიეც 80⁰/₁₀₀ ზევით ადის. ადამიანი უქეიფოდ, მოდუნებულად გრძნობს თავსა, მუშაობა ისე აღარ ეხალისება, როგორც კი დარში. ეს იმიტო აიხსნება, რომ ადამიანის კანი სხეულის სინოტიეს (ოფლად) საკმაოდ ვეღარ იშორებს, რადგან თვითონ ჰაერი უფრო მეტი სინოტიოთი არის გაჟღენთილი, ვიდრე ადამიანის ტანი. — ნოტიო ჰაერის ბრალია საღსართა ტკივილი — მტეხიარობა, სისხლ-ნაკლებობა და მრავალი სხვა სატკივარი.

ამ გვართვე როცა ჰაერი მეტად ხმელია, როცა ნორმას 60 პროცენტს ჩასცდება და სინოტიე 40 პროცენტამდე ჩამოვა, მაშინ სასუნთქავად მძიმე ხდება და ჩვენი სხეულიც მეტს სინოტიეს ჰკარგავს. ხოლო 40 პროცენტზე რამდენიც

საქართველო

ქვევით და ქვევით ჩამოკა, იმდენათ აუტანელია ამისთანა ჰაერში ცხოვრება. — აღამიანს სულს უხუთავს, სტანჯავს, პირი და ხახა უხმება, წყალის სმას უმატებს და თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, რაღა თქმა უნდა აღამიანს სისხლი გაუშრება და სულიც ამოხდება.

ჰაერის სიხმელით განთქმულნი არიან: სპარსეთი, არაბისტანი, ბელუჯისტანი, აზიის და აფრიკის უდაბნოები, (სახარა) ამერიკის შუაგული და აგრეთვე მრავალი მწირი ადგილები. ამ ქვეყნებში ზოგ ადგილას ისეთი საშინელი გვალვა იცის, გაზაფხულ-ზაფხულობით იმდენად ძლიერ შრება და ხმება ჰაერი, რომ 10 პროცენტს სინოტიეს ძლივს და შეიცავს ჰაერი. ამდენად ხმელ ჰაერში-კი რა თქმა უნდა ვერა სულდგმულს ვერ შეუძლია სიცოცხლე და ცხოვრება.

აი ასე უთანასწოროდ არის განაწილებული დედამიწის ზურგზე გვალვა და ავდარი, ტალახი და გორახი...

თუ რო ჰერუ და მეხიკაში (ამერიკა) ცის ცვარი ენატრებათ, სამაგიეროდ ინდოეთის დასავლეთ კიდეებზე და აგრეთვე სკანდინავის ნახევარ კუნძულზე, თითქმის განუწყვეტლად წვიმს.

ჩვენი შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებშიაც შედარებით ხშირია წვიმა, ვიდრე კასპიის ზღვის პირა ქვეყნებში. არამც თუ ჰაერი თვით შავის ზღვის პირა ნიადაგიც (დედამიწა) რაზედაც სახლები უდგიათ, ძლიერ ნოტიო და გუბეებით სავსეა. ამისთანა ადგილებმა შესაფერი სატკივრებიც იცის. იძულებულნი არიან სახლები ბოძებზე დაამყარონ.

წვიმის რაოდენობაც სხვა და სხვა ქვეყნებში დაახლოებით ასე განაწილდება: ვსთქვათ წლის განმავლობაში რა ქვეყ-

ნაშიაც რამდენი წვიმაც მოვიდა, — მარტო ამ ქვეყანაშივე მოვფინეთ, შევაგუბეთ წყალი. მაშინ **ბომბეაში** დაიქერდა წვიმის წყალი სამ არშინ სიმაღლეს, **ქუთაისში** თითქმის არშინ ნახევარს, **სამხრეთ იტალიაში** 18 ვერშოკს, **მოსკოვში** 13 ვერშ., **თბილასში** და **ყაზანში** 8 ვერ., ხოლო **ასტრახანში** 2 ვერშოკის სიმაღლეს ძლივს ასკილდებოდა.

ბევრს ადგილას წლის განმავლობაში წვიმიანი დღეები შეიძლება ხშირიც იყოს, მაგრამ წვიმის წყალის რაოდენობა კი ცოტა. შეიძლება აგრეთვე წვიმიანი დღე ნაკლებ იცოდეს წლის განმავლობაში, მაგრამ იმ ნაირი თავსხმა იცოდეს, რომ ხშირ წვიმიან ქვეყნებსაც გადააჭარბოს. მაგალითად, 1885 წელს მარიამობისთვის 11-და 13-მდე **ბათუმში** იმდენი წვიმა მოვიდა ამ ორ დღეში, რამდენიც თბილისში მთელი წლის განმავლობაში მოვიდა, სახელდობრ 417 მილიმეტრი უწია წყალმა იმ ორ დღეში.

XIV

მ ტ ვ ე რ ი

ატმოსფეროს ჰაერში ყოველთვის ურევია ცოტა თუ ბევრი სხვა და სხვა გვარი მტვერი. რასაკვირველია ჰაერის ზედა სართულებში; მაღლა ცის კამაკარისკენ ვერ ვიპოვით ვერავითარ მტვერს ჩვენის ქვეყნისას. მაგრამ რამდენათაც ქვემოთ ჩამოვალთ და მოუახლოვდებით ჩვენს ცოდვილს ქვეყანას, ჰაერში მტვერი აუცილებელია. ზოგჯერაც ქარს და ქარიშხალს აუარებელი მტვერი გადააქვს ერთი ქვეყნიდან მეორეში და თანაც განსაცვიფრებელ სიშორეზე.

ჰაერში შერეული მტვერი წარმოად-



გენს სხვა და სხვა ნაწილებს ცხოველთა და მცენარეთაგან ანადენს. მაგალითად, სახამებლის ფხვილი, ნართის ნაწიწები, ყვავილთა სათესლე მტვერი, ცხოველთა და ადამიანთა ფურთხის და განავლის გამხმარი ნაწილები და სხვ. და სხვ... უორგანო საგნებიც ბევრი ურევია მტვერში, მაგალითად: კლდეების და მიწის ფხვილი, კაჟის ქვის ფხვილი, ჩვენი ყოველ-დღიურ საქმლის მარილის ფხვილი, კირის ფხვილი, ჩვენი სახლების და ქარხნების ბუხრებიდან ანადენი ნახშირის ნაწილები და მქვარტლი და სხვ. და სხვ.

ყველა ამათ აეკვიატებიან ხოლმე ჩვენი თვალთ უხილავნი მტერ-მოყვარენიც ცოცხალი არსებანი—ათას გვარი ბაქტერიები, რომელნიც მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან. მაგალითად, ბაქტერია ჭლერქისა, კეთროვანებისა, ხორველასი, საოფლესი, ციმბირის ჭირისა, ქოთაოსი, წითელ ქარისა და სხვ...

კარგად მოგეხსენებათ, რომ სუნთქვას ერთს წამსაც ვერ შევაჩერებთ, ძლიერ გულითაც რომ გვინდოდეს, მაშასადამე როცა ვსუნთქავთ ჰაერის სიაფ-კარგის არჩევანში ვეღარ შევალთ, სად რა ჰერსაც შევხვდებით, მეტი რა გზაა, უნდა ჩავისუნთქოთ—ფილტვებში ჩვენდა უნებურად ჩავვაქვს ათას ნაირი მტვერი და ვაი-ვაგლახი. თვალში რომ მტვერი ჩავვივარდება გვეჩოთირება, იჩხვლიტება. ასევე ემართება ჩვენს ფილტვებს—მტვერი ფხაქნის, აფიცებს, ამწვავებს, ამით ფილტვები ავად ხდებიან და, შემთხვევაზე დამოკიდებული, რა ღონის ფილტვების პატრონია ადამიანი.

ფილტვებისთვის დიდებულ ბუნებას მიუნიჭებია უნარი და საშუალება სასუნთქ მილებში მყოფ ბუსუსებით მცირე რამ

მტვერი, სუნთქვის დროს ჩასული, უკანვე ამოიღოს ხველა-ხორხით და ნახველით. მაგრამ დიდი და გამუდმებული მტვერი-კი ძლიერ ხშირად ხდება მიზეზად აუტანელ სენისა. მეტადრე როცა მტვერთან ერთად ფილტვებს მოხვდება გადამდებ ჭირთა ბაქტერიები (ჭლერქი და სხვ.), მაშინ იშვიათია, რომ ჩვენმა ფილტვებმა გაუძლოს. საუბედუროდ ყველა ჭარის დედა ჩვენს ფილტვებში მოიკალათებს ხოლმე.

XV

ქუჩის მტვერი უსაშინელესი მტერია ჩვენის ჯანმრთელობისა. არამც თუ დიდ და პატარა ქალაქებში, სოფლის ქუჩებშიც-კი სავსე არიან მტვრითა, ნაგვით და ბინძურობით. მეტადრე დიდ ქალაქებში: აუარებელ ხალხის და ეტლების მოძრაობა, ქუჩების მოურწყავად დაგვა და ქარი მარად ჟამს მტვრით ავსებს ჰაერს, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ. ერთი კუბიკური სანტიმეტრი (თხილის ოდენა ადგილი) ამ მტვირთან ჰაერისა შეიცავს ათი ათას და ასი ათასს მტვრის ნამცეცებს. ამათ შორის არიან ორგანიული და უორგანო ნაწილები, მაგრები და ზოგიც მწვეტიანები, რომელნიც შესუნთქვის დროს ფილტვებში შეგვაქვს და იქ შესანიშნავად გვიფხაქნიან ფილტვებს და ყველა სასუნთქ ორგანოებს. ეს ნაჩხაპნი ადგილები მშვენიერ ნიადაგად-ბუდეთ ხდება ჭირთა ბაქტერიების ასალორძინებლად, საფუფუნებლად, ხოლო ბაქტერიები ძლიერ ბლომად ირევინ ქუჩის მტვერში. ასე უჩნდება ადამიანს ჭლერქი და სხვა ჭირი, ასე შეუბრალებლად მარად გვიხრავენ სიცოცხლის სიმებს.

რა სისაძაღლეს და რა ბინძურებას იტ-



ყვით, რომ ქუჩებში არ აქცევდნენ და არა ჰყრიდნენ!..

ცხოველთა განავალს ვინღა სჩივის, ხშირად ადამიანისასაც არ არიდებენ და ბევრჯერ კატის და ძაღლის მძორსაც შეხვდებით ქუჩაში. მეტადრე ჩვენს მითომ და სუფთა ჰაერით ნაქებ სოფლებშიაც. ჰო და ყველა ეს იხრწნება, ლპება, ხმება, მერე თანა სდევს მტვერს და შხამავს იმ ჰაერს, რომელიც საზრდოსაკვებავია ჩვენის ჯანისა. ჰო და ერთს წამს წარმოიდგინეთ, რა საზიზღრობაა ამ ათას ნაირ ბინძურობის ყლაპვა.

*) ჩვენში რა მოგასხენოთ და განათლებულ ევროპაშია-კი ბევრი ქალაქის ხმოსნები და მეცნიერნი დიდ საგანებელს არიან. მეტადრე მდიდარ ქალაქებში ბევრ ნაირ საშუალებას მიმართეს, უმთავრესად ცდილობენ იმ გვარ მასწავლებელს და მთავარწიგანს ქუჩები, რომ გამძლე იყოს და ადვილად ირეცხებოდეს კიდეც, ასფალტი, ტემენტი, თლილი ქვა, მუხის მორები უგელგან ნაცადია. ბევრგანაც ხშირ-ხშირად რწყავენ ქუჩებს მიწის წყალით ანუ სხვა-გვარად ხელ მისწავლით ცხელი ნავთით (ბაქა). უგელა ამ საშუალებით ჰიგიენისტი მეცნიერნი მაინც არ იყვნენ კმაყოფილი, რადგან ჭიკის ბაქტერიებს ადვილათ შეუძლიათ თავი შეატარონ სხვა ქვის ნაპრალებში ან ხის ნახეთქში. ამ ბოლოს დროს საუკეთესო საშუალება გამოიგონეს. მაგნეტის ხსელ მასწავლებელს, რომელსაც **გუდრონაი** ჰქვია— ფისის მსგავსი ნივთიერებაა. ამით ღესვენ ქუჩებს და რცხა საჭირთა წყალით რეცხვენ. გუდრონაით უგელა მეცნიერი ძლიერ კმაყოფილია და ახლო მომავალში უეჭველია დიდად გავრცელდება ამ მასწავლებელს ქუჩების და...

ჩვენდა საბედნიეროდ საქართველოში თითქმის ყველა სოფელი და დაბა-ქალაქები მთაზე ანუ მის გვერდებზე და კალთებზე არიან გაშენებული. ზაფხულის თვეებში თუ ორიოდ დღე დიდი თავსხმა წვიმა გამოერია, მაშინ საუცხოოთ ირეცხება მთლად ქალაქი თუ დაბა-სოფელი *). ხოლო ვინც საუბედუროდ დაბლა, ჩავარდნილ ადგილას სცხოვრობს, ამისთანა სოფელი თუ უბანი აკი კვინის კიდეც ათას გვარ მოარულისაგან.**)

ჩების სისუფთავით და ისიც რა, მთელი უურადდება ქალაქის მაშებისა სოფლებსაც აქვს მიქცეული და მერე ორს ზრისხეკტს. ხოლო ის ადგილები სხვად აუარებელი ხაფხის მოძრაობას, სხვად უმთავრესად სწავლებებს სანავის ადგილებში, მაგალითად „იარმუკა“ და სხ. ეს ადგილები არც კი ირწყვიან. უფაქცივ ბინძურებით სავსე ქუჩის მტვერი, მეტადრე ქარის დროს, ზედ ედება **საჭმელსა-სამელს**, რომელსაც სუფთა კარმიადამოქუჩების ზატრანებიც არხეინად მიირთმევენ (სოფლებსაც, ორივე ზრისხეკტი და სხვ. სუფთა უბნები).

ჩვენს კეკლუც ქუთაისს ჯერაც წყალი არა აქვს გაუფანდილი, ქუჩები ძვირად თუ ირწყვიან. მე რა იქ მტვრინ დღეს შევესწარ, ჩემს სიცოცხლეში სასოფრად მექნება, რაც მე იმ დღეს ტანჯვა გამოვიარე. მარამობისთვის სხვანელ სიცხეში, ამოვარდა ადამისავლეთის ქარი და მთლად ქალაქი მერე დილამდე სქლად შეხვეული იყო მტვრის დრუბელში. სუნთქვა იმდენად მესუთებდა, რომ მთელი ის დღე თითქმის მთლად რიონის ხიდზე (ჯაჭვის) გავატარე.

**) შემდეგ კიდეც ბევრს ვიბასებოთ რა

ჩვენში ისევე თბილისი თუ დაიკვებებს ქუ-



XVI

ტ მ მ კ მ რ ა ტ უ რ ა

(სითბო-სიცივე)

ჰაერის სითბო-სიცივეს (ტემპერატურას), მეტად დიდი გავლენა აქვს ჩვენს ჯანმრთელობაზე. მთელი წლის განმავლობაში რო ავიდოთ შუათანა რიცხვი ჰაერის სითბო-სიცივისა*), აღმოჩნდება რო სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ტემპერატურა იყო. ამ გვარად დედამიწის ზურგზე ყველგან ერთნაირი ჰავა როდია — თუ ზოგან სითბო-სიცივე ზომიერია, ზოგან-კი ან საშინელი სიცივე, ან აუტანელი ყინვაა.

გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ რამდენათაც დედამიწის ბურთის შუაგულისკენ გავიწევთ, იმდენად სითბო მატულობს, ხოლო დედამიწის შუაგულს, ცენტრში, ეკვატორთან, რო მივატანთ ისეთი სიცივე-პაპანაქებაა, რომ მზეზედ ერბო-კვერცხი შეიწვის. აგრეთვე რამდენათაც ამ შუა ცეცხლს დავშორდებით და ნაპირებისკენ წავალთ, სიცივე თან და თან ნელდება, ხოლო სულ განაპირას, დედამიწის ბურთის თავსა და ბოლოში, პოლიუსებთან აუტანელი ყინვა სიცივეა.

მაწებელიც არის ჩვენთვის მტკერი შინ თუ გარეთ. ახლა კი არ შეგვიძლია, რომ არ მივაქციოთ ჩვენი ქალების უურადლება იმ სამიწელ მტრობაზე, რომელსაც ივინი უნებლიეთ გვიწვევენ თავიანთ კაბის კალთებით. ვის არ განსაჯათ რა მტკერს და კორიანტულს ააყენებენ ხელმე შინ ოთახში და გარეთ ქუჩაში ახადგაზდა კეკლეუტა კაბის კალთა „შლეიფები“ ანუ ბებრების ბურნუსები და მათი ტალმების ბოლოა?
ჰო და ახლა იფიქრეთ რა შედეგიც მის-

აქედან წარმოსდგება სხვა და სხვა ჰავა და ამ ჰავის შესაფერი ხალხი, ცხოველი (ფაუნა) და მცენარე (ფლორა). —

ეს რაც ვსთქვით შეეხება მხოლოდ დედამიწის ზურგის ანუ ზედა პირის სიპრტყეს. ხოლო ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ტემპერატურაზე და საზოგადოთ ჰავაზე მეტად დიდი გავლენა აქვთ მთებს, მთა-გრებილებს, ყოველ ხეობას და დელე-ღრანტებს, მთა-გორაკებს და სხვ.

გარდა ამისა ავიდოთ მაგალითად თუნდ შავი ზღვის პირი და სუხუმიდან აყუვეთ აღმართ-აღმართ კავკასიონის მთა-გრებილისკენ. ზღვის პირად სუხუმში ლიმონი და ფორთოხალი ნიადაგში ხარობს, ვარდი წელიწადში ორჯერ ჰყავვის, ლეღვი ორჯერ იხსამს და სხვ... ხოლო რამდენიც მთისკენ გავსწევთ, ჰავა იცვლება — წიფონარსა და მუხნარის შემდეგ, ფიქვნარი და ნაძვნარია, მას ზევით კანტი-კუნტად არყის და სხვა და სხვა ბუჩქნარს-ლა შეხვდებით. ამის ზევით იწყება ალპიის მცენარეულობა, მშვენიერი და ნოყიერი საძოვარი მცენარეულობა, მას ზევით კი ესეც თავდება, ხოლო იალბუზის მწვერვალზე სამარადისოთ მეფობს თოვლი და ყინულთა ზოდები.

დექს. ევროპაში უკვე შემოიღეს მოკლე კაბები — მიწიდან ორი თითის დადება სიმაღლეზე იჭერენ. ეს რეფორმა ბევრმა ჩვენშიაც იწამა — ვინც ევროპიულად იცვამს. მაგრამ ჩვენი ძველი ტრადიციით გაყდენთილი ქალები კი ჯერაც ძლიერ მაგარზე სდგანან და დაყინებით გვიწამლავენ ფილტვებს.

*) ტემპერატურის საზომი იარაღი, მეტრონიკის რეომიურის მოგონილი, არის ტერმომეტრი, რომელიც დაწამდვილებით გვაჩვენებს ამ წამს ჰაერს რამდენი გრადუსი აქვს ან სითბო და ან სიცივე.

იგივე სურათი წარმოგვიდგება რო ავ-
ყვეთ თბილისიდან მტკვრის ხეობას, ავი-
დეთ ბორჯომს, ბაკურიანს და აქედან
ავიდეთ ცხრა-წყაროს მწვერვალზე, იმ
განსხვავებით კი რომ ამ მთაზე ზაფხუ-
ლობით თოვლს ვეღარ ვპოვებთ.

საკმაოა ვიცოდეთ რა ადგილს რა მცე-
ნარე ხარობს, იზრდება, რომ შეუცდომ-
ლათ წარმოვიდგინოთ იმ ადგილას რა
ცხოველი ბუდობს, რა ხალხი სცხოვ-
რობს, რა ხასიათისაა ეს ხალხი და რა

და რა სატკივრები მეფობენ ამ მხარეში.
რა თქმა უნდა ჯანმრთელობისთვის არც
სუხუმის ციებ-ცხელებიანი ცხელი ჰავა
ვარგა და არც იალბუზის ყინვა. ხოლო
ამათ შორის, შუა წელი მთისა, სადაც
ზომიერი ჰავაა, საუკეთესო საცხოვრებე-
ლი ადგილია, ოღონდ კი მზის სხივები
უხვად ხვდებოდეს და დაჩინებულ ქარი-
საგანაც მოთვარებული იყოს.

ილ. ალხაზიშვილი.

(დასასრული იქნება)

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი

და

მისი ჰოეზია

დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო

(დასასრული)

„ორი სიზმარი“. შირველს სიზმარში
ჰკეტმა ნახა თვისი სამშობლო უსუღდგმულა
და მკვლარი... ხელა მერე სიზმარში —
იხილა იგი სიღრცხლისთვის კადვიძებული.
ამ სანახაბამ მისი გული მკეტად გახარა...
ჰკეტი ამბობს:

„ვხედავდი მალა ცას ნათელსა და მშვენირსა,
დაბლა მიწაზე ერს მშრომელსა და ბენდიერსა“.

ამ ლექსში ჰკეტი იმედ-მოსილია თვისი
სამშობლოს მამავლის შესახებ.

„წიგნი მოწერილი რუსეთიდან“ ლექს-
ში გამოხატულია სამშობლოდამ შორს ყოფ-
ნით გამოწვეული მწარე გრძნობა... ის რუ-
სეთიდან სწერს თავის სატრფოს, რომლის
ქვეშ იგულისხმება სამშობლო, შემდეგს:

„რა ვეღარ გხედავ, სული მიკვნეს, გული მი-
კვდება,
ვგრედ ყვაილი მზის უსხივოდ უდროვოდ ჰქნება“.

ჰკეტს სამშობლოს სიუვარული საიქიოსაც
კი თან წაჭყუება, სადაც ის „დიდი კარის წინ
სამშობლოსთვის ცრემლით იღრცავს“. დიდი
უსამართლობა იქნება ასეთს სიუვარულს უწო-
და ცალიერი, უნადაგო, კაბინეტური სიუვა-
რული!

„სამშობლო ქვეყნის პასუხი“... მშვე-
ნიერი შინაარსიანი ლექსია. ეს ლექსი ჰკეტ-
მა დასწერა ილია ჭავჭავაძის ლექსის: „ჩემო
კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“-ს
საპასუხოდ... სამშობლო თითქოს ზასუხს აძ-
ლევს ილიას, რომელიც სანუგეშებლად ეუბ-
ნება მას: „აწმყო თუ არა გწყალობს, მო-
მავალი ჩენია“. სამშობლო უზასუხებს, რომ



„ჩემს ერს-ძეს უბრძოლია ჩემთვის და მტერ-
თაგან გადურჩენივარ. მეცხრამეტე საუკუნემ-
დის ამ სსხით გადამაჩინა.

„მაგრამ დაცხრა ომის ხმა...

ველოდი მამათ დიდს ღვაწლს ძენი დაასრულებენ,
მუშაობით, ოფლის ღვრით დანგრეულს აღმად-
გენენ

და ძეთ აღყვავებულსა და მთელს ჩამაბარებენ...
ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმა-
ცობა,

სწავლის წილ სმა და ძილი, ძმობის წილ-ღავა,
მტრობა“!

ზოგთა თავის ცხოვრება ბითურცხრაში წააგეს
და თავისი ცოლშვილი მშიერ გლახად დააგდეს
და სხვა...

ყოფლისავე ამის შეახებით ქართველი თა-
ვად-აზნაურნი ვალებში ჩავარდნენ და დაიწყეს
ადგილ-მამულის უიღვა და

„ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდნან“.

სამშობლო შემდეგ უსაყვადურებს ქართველ
თავად-აზნაურებს იუ გლახნი რად ჩაუგდეს
ჩარჩებს ხელში?

ამ ლექსში სინამდვილით დახატულია ქარ-
თვეელი ერის ნივთიერი დაქვეითება მეცხრამ-
ეტე საუკუნეში, როდესაც ნატურალური წარ-
მოება დაეცა და ფუღმა დაიჭირა იმისი ადგილი.
სამშობლო ზიარდაზიარ მითხრავს, რომ მის-
თვის ტკბილი ლექსების მღერას მისმა შვი-
ლებმა თავი დაანებონ და გამონახონ უებარი
სამუალებს მის წყლულთა გასამრთელებლად.
ამისთვის კი საჭიროა ჰოეტები ცრუ ოცნებით
კატატებულნი არ იყვნენ: არ ფრინავდნენ ცა-
ში და „ცოტა ძირს დაიხედონ“... ამ უკა-
ნასკენელს სიტყვებიდამ სჩან, რომ ჰოეტი
თუმიცა რომანტიკოსი იყო მიმართულებით,
მაგრამ რეალიზმს ძლიერ უახლოვდებოდა და
სამოქალაქო იდეების გავრცელებას ხალხში
ხელს უწყობდა... ჰოეტი ცხადად უჩვენებს, რომ
ჩვენი ერის ბედი რამდენადმე მისვე ხელ-
ში... თავისი ბედის მჭედელი თვითონვეა...

ამისთვის საჭიროა დაკვირვება, შევხება თვის-
თა ნაკლულევაებათა და მტკიცე დაწვევები-
ლება, უკუგდოს სიზარმაცე და ხელი მიჭეოს
შრომის, ჯათს... ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს,
რომ ვასტანგ ობობლიანს მასთან ჭქონდა ერთ-
ხელ შემდეგი საუბარი: „1825 წლიდამ იწ-
ეება ჩვენი დაღუპვის ხანა: გამართეს ტრაქ-
ტირები, ბილიარდები, ქადაღდის თამაშობა...
შემოიტანეს არღანი... ყველა ამაებს გაჭყვა
ჩვენი თავად-აზნაურობა... გაჩაღდა ალხანი,
ფულები ფლანგვა, ბოლოს ვალებში ჩავარ-
დნილნი ცალიერი რჩებოდნენ... მამულების
შემდეგ რომ ვალების შეტი არა გაჩნდათ-
რა, მერმე თავიანთ ვებოზე იწყეს ნავარდობა
და დარბევა-დაწიოკება... არა თუ თავად-
აზნაურნი, არამედ გლეხებიც კი ჩარჩებს ჩაუ-
ვარდნენ ხელში. თავად-აზნაურობა გაფუტე-
ბულია, მას თავისი ეროვნობის საზოგადო-
საქმეებისაგან ხელი აქვს ადებულით, და გლეხ-
კაცობა კიდევ უწყალოდ არის დაცემული და
მათ არავითარი სახსარი არ აქვსთ განათლე-
ბისა და წინ მსვლელობისა. რაკი თავად-აზნაუ-
რობა ვერ იტერს თავსა და მისი მამულები
სხვების ხელში გადადის, ის მანც მოვასერ-
ხთ, რომ ჩვენი მამული პირდაპირ ჩვე-
ნი გლახკაცების ხელში გადავიდეს.
გლახკაცების წინ წაწევა ჩვენს საკუთარს
სიხარულით უნდა მივილოთ, ჩვენ უნდა
ვეცადოთ და იგინი ეკონომიურათ წამო-
ვაყენოთ ფეხზე... იმედია, რომ ეგენი თუ
წინ წავლენ და დაწინაურდებიან, მაშინ ჩვენს
ქართველობას დიდს დახმარებას მისცემენ“.
ასე მსჯელობდა მსტოვანი თავადი—ჰოეტი,
გამსჭვალული კეთილშობილური აზრებით და
გრძობებით... და ეს მისი მსჯელობა ნათ-
ლად გამოიხატა მისს ზემოდ-გარჩეულს
ლექსში...

ისწავლოთ ძენო! ყოველი ერის მომავა-
ლი უზრუნველ ყოფილია, თუ იგი აწმყოში
მისდევს სწავლა განათლებას... ამის გამო

თითოეული ერთი უნდა ევლტოდეს სწავლა-განათლებას, რომელიც არის „მადლი ღვთაებისა ცხოველი მარად“ ეს ქვეყანა და მისი დიდება მხოლოდ სწავლისა და ნასწავლისაა; მის გამო ჰოკტი ეუბნება ახალ-გაზდებს:

„თქვენი სამშობლოს თქვენსკენა რბის გული და თვალი; ისწავლეთ, ძენო, თქვენ ხელთ არის მის მშობალი“

მართლაც, სამშობლოს მომავლის სიაყვარებე სავსებით იმაზე და მოკიდებული, თუ როგორი შეიქმნა აღეზრდებიან მას აწმყოში... „სწავლა და ცოდნა — ანიჭებს ხალხს თავისუფლებას...“

„სწავლა ხალხისა მტარვალთ მმუსრავი ხმალია“ (ცახელი).

კოლხიდა. ამერ-იმერო... ჰოკტს უყვარს მთელი ისტორიული საქართველო. ის მოკლებულია ზრდინციადურს მამულის შვიდურს სიყვარულს, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგიერთნი დღესაც ეწოდებიან ჩვენში... იმას გული სწედება იმის გამო, რომ ქართულს ღირებულებაში დასავლეთის საქართველოს ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც შეშენის: ის თითქმის დაიწვებულია, — იმისთვის თითქმის არაფერს ზრუნავს... ამის გამო გულ დაწვევტილი ჰოკტი შემდეგის სიტყვებით მმართავს კოლხიდას (დასავლ. საქართვე.):

„ივერთ ქვეყნების ძვე, ძმა უფროსო ძველო ქვეყანავ, კოლხიდავ, მითხარ, დავიწყებული როგორ და რად ხარ? შენი შევენება და ისტორია, მითხარი, ნუ თუ სავიწყარია? შევნიერებით, სიტურფით სრული, ნეტა რისთვის ხარ დავიწყებული?“

დასავლეთს საქართველოს ჰოკტი ყოველსავე კითხვს უსურვებს...

ვრცელი მამულისშვიდური გრძობა ვახტანგ და მისი ძმის ალექსანდრე ორბელიანის კუთვნილებას შეადგენდა...

აი რას სწერს აკაკი უკანასკნელის შესახებ: „დღეს ბევრმა არც კი იცის, თუ ვინ იყო და რა იყო თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. მის დროში ძვირად სდამე მოიპოვებოდა ჩვენში მისთანა სამშობლოს მოყვარული კაცი. მის გულის თქმა და სულის დგმა საქართველო იყო... ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა და ყოველი თემი... მისთვის გაურჩევლად სიყვარული იყო. არ იცოდა ეს იმერთა, ეს ამერთა, ეს ჩემი სოფლის არის, ის იმისა. მაშინდელი ჰატარა გუნდი მოწინავეთა სულში იძვრებდა და ჰატივის სცემდა“.

ვახტანგი კოლხიდას (დასავლ. საქართვე.) დასამართლიანად უწოდებს უფროს ძმას. საქართველოს აყვავება დაიწყო მე X საუკუნე. კასულს. „ბაგრატ მესამე (დედოთ აფხაზეთის სამეფო გვარის ჩამომავალი), გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II და დავით აღმაშენებელი, თუმცა ქართლის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ჩამომავალი იყვნენ, მაგრამ სცნოვრობდნ დასავლეთის საქართველოს ქალაქს ქუთაისში, რომელიც ითვლებოდა დიდს ხანს საქართველოს სტასტო ქალაქად... მათ დიდად უყვართ დასავლეთის ქართველი, რომელთ მუდმივი მისწრაფება იყო შეერთება ქართლ-კახეთის ქართველებთან თანასწორი უფლებებით“.

ქალ. ტფილისი 400 წელზე მეტი არაბთა ბატონობის ქვეშ იყო... დასავლეთის საქართველო და მესხეთი (სამხრეთის საქართველო) იმ დროში იცავდა ქართველ ტომთა ერთობის ცეცხლს... განათლების მხრით ეს ორი საქართველო გაცილებით მაღლა იდგა ქართლ-კახეთზე, რომელიც მეტად დაჩაგრული იყო არაბთა მფლობელობის ჟამს... შეერთების და გაძლიერების ტალღა ქართლ-კახეთისკენ გაემართა შავის ზღვის ნაპირებში, — სადაც ჰირეულს საუკუნეშივე დამუარდა საქართველოს კულტურა და სადაც შეეკვსე საუკუნეში იყო ძლიერი სახელმწიფო, დაზი-



კად სახელდებული, თვისი მჭევრმეტყველებით, სიძველეთ სცავებით და მთელის გაძლიერებული და მტკიცედ დამყარებულის ქართული საქარისტიანო კულტურით.

უოველივე ეს ჩვენს ერს ბოლო დროს დაზიწდა და, რადგან მე-12 სუკუნეიდან მთელ საქართველოს სატანტო ქალაქად გახდა ტფილისი, ხალხმაც ის ქვეყანა, სადაც ტფილისი იმყოფება, მთელი ჩვენი სამშობლოს მეთაურად დასახა... რუსთა ბატონობაც ტფილისი-დამ გამტკიცდა. ისტორია კი გვეუბნება, რომ საქართველოს ერთობის დროს ხორციელი შეფე იყო ჩამომავალი დასავლეთის საქართველოს სამეფო გვარისა, ხოლო სულიერ შეფედ კათოლიკოსიკად, —ირიცხებოდა მთელის ივერიის ეკლესიისთვის მცხეთის კათოლიკოსი. აღბად იმის გამო, რომ საქართველოს არც ერთს ნახევარს თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო. ზოეტები და მოღვაწეები: ექვთიმე მთაწმინდელი, რუსთაველი, შავთელი, თმოგველი, მოსე ხონელი, ზეტრნიწი და სხვანი იყვნენ შვილნი დასავლეთის და სამხრეთის საქართველოსანი...

დასავლეთი საქართველოს ეს როლი საქართველოს ისტორიაში კარგად ესმოდა ვახტ. ბრბელიანს (და მისს ძმასაც) და ამიტომ ასეთის აღტაცებით შესტროვის მას.

„იმედი“... გლქსთა განთავისუფლებას ზოეტის საუცხოო ლექსით შეეკება... მისი სათაურია „იმედი“ (1859 წ.) მართალია, აქა იქ ჩინანს იმ ლექსში ზესიმისტური კილო ეტყება, მაგრამ ზოეტი უიმედობით მოცული არ იყო. მას მტკიცედ სწამდა, რომ საქართველო არ დაიდუშებოდა. „იმედი“ კლასიკური ლექსის ვახტანგის ლექსთა შორის. მასშია გატარებული მისი ზოეზიის მთელი ზროგრამა, რომელიც მას სხვა და სხვა ლექსში განახორციელა. ზოეტს იმედი მოეგონა მშვენიერი ასულის სახით... ზოეტი მას უთითებს საქართვე-

ლოს ნანგრევებზე, და ეუბნება მას ტრეშლის ღვრით:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო!

შემდეგ იგონებს სახელგანს ირაკლი შეფეს, კრწანისის ბრძოლას და უსაუვედურებს თანამედროვე ქართველებს გულგრილობას მშობლიური წარსულის მიმართ...

„ჩვენსა გარშემო ვერას ვხევათ: ბნელი გვაქვს თვალი. ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსტამოთ და ჩვენთ მოყვართა, ჩვენთ ნათესავთ—ძმათ ცილი ვსწამოთ:

საქართველოს მწარე ბედით შეწუხებული ზოეტი უარყოფს ღვთაებას და მალე შეინანებს ამ ცოდვას და უჩვენებს ასულს ამ შეცდომის მიზეზს: მიზეზია — შიში ზოეტისა, ვაი თუ მამა ზაზის ღვაწლი განქრეს, — და საქართველო მიწის პირით აღიგავოსო. ტურფა ასულმა ანუგეშა ზოეტი შემდეგი სიტყვებით:

„გწამდესო ღვაწლი მამა ჰაპათ არ განქრებთან და თქვენი ერი

ქრისტეს ჯვრისთვის წამებული კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება“

თვისთა ნაკლულეგანებათა შეგნება, დაზბაისლური, აუჩქარებელი შრომა თვისი გონებრივის, ზნეობრივის და ნივთიერის ძალთა და ნიჭთა განსვითარებლად, კულტურული ბრძოლა თვისი არსებობის დასაცავად, წოდებრივ განსხვავებათა მოსზობა — აი ის საშუალებანი, რომელთ მეოხებით „დანგრეული სამშობლო კვლავ აღყვავდება“!.. ამის ნიშნებს ზოეტი შესაზოცე წლებში ამჩნევდა და ამიტომ მის სულიერს ბუნებაში უიმედობა ძველდ იქმნა იმედის მიერ, და ეს იმედი მასში მით უფრო ძლიერი იყო, რომ ქართველს ერს ჭჭინდა და მდიდარი ძველი კულტურა და ევროპის წინაშე მიუძღოდა დიდი სამსახური თვისი

თავგანწირული ბრძოლით ქრისტიანობის მტერთა წინააღმდეგ... კულტურისანი, მდიდარი ისტორიის მქონებულის ერის გადაშენებას, თუ კი თვითონ არა სურს, შეუძლებელია.

ამ ლექსში და კიდევ სხვა ლექსებში: „ორი შენობა“, ჯვარი ვაზისა“ — ზოგთმა გამოსთქვა ესრედ წოდებული „მესიანიზმი“ ანუ საუკეთესო მომავლის მტკიცე რწმენა... მესიანიზმი ვახტანგ ორბელიანისა შემუშავებულია ზოგჯერ ზოგჯერ ფორმების სედაგვლით. ამ ზოგჯერ ჩვენ ზოგჯერ უფრო ადრე აქვს დაწერილი ზოგჯერ ნეთის გასამხვევებლად მესიანური ხასიათის ლექსი. მესიანიზმისთვის ჩვენს ზოგჯერ არ უღალატია 1832 წლის შეთქმულების შემდეგაც... ამ რწმენაში გამოიხატება მთელის ქართველის ერის რწმენა იმის შესახებ, რომ ის არ აღიგვის პირისაგან ქვეყანისა, არამედ იასკებებს, როგორც განცალკევებული ერი, თვისი საკუთარი ეროვნული კულტურის მქონებული... ზოგჯერ იმედი მთელი ერის იმედია, — მისი გულის-თქმა — ერის გულის-თქმა, ზოგჯერ მესიანიზმი — მთელი ერის მესიანიზმია... ჩვენს ზოგჯერ 1880 წელშია, „მოხუცებულობაშიც უცხოველებდა გულის იმედი“ (ლექსი: „როგორც განაბნევს“)...

განკითხვა — ამ ზოგჯერ პირველს თავში მსგავსი რაშით მიეჩქარება და სურს გადავიდეს აქაუბრულს მდინარეზე და მიადწიოს იქ, „სადაც რადაც სინათლე ბუუტავს“... იქ ეკულება მას შეგნაიერი არსება, თვისი გულის სატრფო. მეორე თავი: ზოგჯერ გაგვანობს ერთი ქართველი გმირის ციხე კოშკს... შეგნებული თავადია ეს გმირი, მონატრული ომი-სა... მას

„უყვარს სამშობლო, მიწა, მამული, მის ისტორიის დიდი ვეული გრძელი და ბნელი ხშირად წინ უღევს, აღმოიკითხავს და ცრემლებს აფრქვევს“

მასვე უყვარს თვისი „გლებნი ყმანი, მისთვის ის ყმანი არიან ძმანი“. უყვარს მათთან ნადიმი და მათთან ლხენა, მათ საუბარი უზაკვრო ენა“... თავის ტურფას სულისთვის გმირ თავადს არჩეული ჭეკვს საქმრად ერთი დიდის გვარის ჩამომავალი...

„მაგრამ ასულის სული სხვაგან რბის. ასული სტირის, მამა არ ისმენს, ასული მამის უარს ვერ ითმენს.

ვინც უყვარს, მხოლოდ იმას წაჰყვება და ან უღროვოდ საფლავს ჩაწვება!“

ზემოთ — მოხსენებულს დამეს, მოხუცი მამა ხედავს ტკბილს სიზმარს: ის თავისი ნუბით ქაღს ათხოვებს იმაზე, ვინც სსიძოთ უნდოდა... ნამდვილად კი იმისი ქალი გაჭევა იმ მხედარს, რომელიც ზოგჯერ დასაწყისში მოვიხსენეთ. ზოგჯერ ეუბნება გატაცებული ქალის მამას:

გამოიღვიძებ, გმირო საბრალო, შენს ყურს მოაწვეს ხმა სავალალო, რომ გაგითენდა დღე ბნელი, შავი, რომ შენი ვარდი, შენი ვარსკვლავი შენს ციხე-კოშკში აღარსად არის, რომ სხვის არეში მნათობს და ჰყვავის! დაახშობ შენის სადგურის კარსა, თავზე მოიყრი მტვერს და ნაცარსა, დასწყევლი შენს დღეს და შენსა არეს და ობლად ჩახვალ მამათ სამარეს!“

გატაცებული გმირი მოჭკვლა იმ მეორე გმირმა, რომელზედაც მამას უნდა გაეთხოვებია თავისი ასული...

მეფის მსაჯულთა წინაშე სდგანან მოძმის მკვლელი (ლამაზი ასულის მიჯნურისა) და თვით ეს ასული... მკვლელი თვის თავს სოფლის დამნაშავედ: ის უბედურია... ის ამბობს:

მე აღარ მეღის ამ ქვეყნად შვება სიკვდილი, მეფე გულს ენატრება!“

ტურფას ასული დაემხობა მეფის წინაშე და



სთხოვს მკვლელს ახატივოს დანაშაული, რად-
გან ის ამ საქმეში მოხდოდ თავის თავს
სთვლის დამნაშავედ. მეფე ახატივებს მკვლელს
და შემდეგ მცნებას აძლევს:

„წადი და მოძმის სისხლს ნულარ დაღვრი!
მამულისათვის შენ ხარ საჭირო:
შენს მამულს თავი უნდა შესწირო!“

ტურფა ასული მოლოზნად აღიკვეცება და
დაეპვიდრება ერთს მონასტერში, სადაც ის
ცრემლის ღვრით იგანებს თავის წასრულს.
შეორე ღექსში: „ძეგლი“ ზოკუტი ეუბნება ამ
მონაზონს (თამარს) შემდეგს:

„წახვეული შავს მაზარაში,
ულროვოდ ჩაწექ კლდის ნატამალში.
ფერ-მკრთალი, მაგრამ კვლავ მშვენიერი!
შენ დაგტიროდა ხეობის ერი.
ყოფილხარ ობოლთ ვარსკვლავი, მთვარე,
ქვრივთ და ოხერთა ნუგეში, არე:
დიდის ქონების რაც წილთ გრგებია;
დავრდომილთათვის გირობებია...
შენ კი გივლია სამოსლის ცივით
და მონაზონისა შავი მაზარიდ...
მანამ ხეობად არს ის ხეობა,
შენი სახელი იქ არ განქრება“...

ჭაბუკი მართლაც იბრძვის თავგამეტებით
მამულისათვის და თავზარს სცემს მტრებსა.
მაგრამ ხანდახან მიეცემა თავდავიწყებას, რა-
დესაც წასრული მოაგონდება. ერთხელ ამ
მოგონებით გატაცებული ის მტრის ტყვიამ
განგმირა ბრძოლის ველზე. იმას სამშობლას
უმისხვერძლავ თავი...

ამ ზოკუმაში ორივე გმირი თანაგრძნობის
ღირსია... ზეგარდომ მადლით ცნებულმა ზო-
კუტმა ორივე გმირს უჩვენა ნამდვილი, რეა-
ლური საქმე, რომლის განხორციელებით გა-
მისისიდაც მათთვის დანაშაულობა: ჭაბუკმა
სამშობლასთვის ბრძოლით და თავდადებით,
ხელდასრულმა თამარმა სამონაზონო ცხოვრე-
ბით და ვრცელი ქრისტიანული ქველმოქმედე-

ბით, რომლის მეხებით მან დადგა მშვენიერ
ძეგლი...

„და ეს ძეგლია მკვიდრი, მდიდარი,
მას ვერ შემუსვრენ ღრო და ავღარი...
და იგი ძეგლი სჯობია ძეგლთა,
მარმარილოთი, თითბრით ნაგებთა!“

ზოკუტმა ნათლად დაგვანახვა, თუ რას უნდა
მიეცეს უზინატესობა ცხოვრებაში: სქესებრივ
სიამოვნებათა და პირად გრძნობათა აყვლას,
თუ სოზოგადობრივს საქმეს, მოძმეთა სისარ-
გებლად მოღვაწეობას. თქმა არ უნდა, რომ
თავის ვნებათა ქეიფზე სიარული ადამიანს
პირუტყვად ხდის და ავიწყებინებს ტვირთ
მძიმეთა და მაშვრალთა ტანჯული ცხოვრების
შემსუბუქების მცნებას... შევნიერი გავეთილი
მისცა ამ ზოკუმით ზოკუტმა მათ, ვინც ზატივ-
სადებ და არა ზატივსადებ მიზეუზით არ ერი-
დებიან თვით-მკვლელობას.

რა ნახა ლაზარემ საიქიოს? (ზღაპარი).
გარდაცვალებულს მღვდლის შვილს დაზარეს
დამარხვას უპირებდნენ... ამ დროს ის უეც-
რად გაცოცხლდა. უგულა შიშის ზარმა მოი-
ცვა... დაზარემ დედას უამბო ის, რაც საი-
ქიოში ნახა.

მან ჯოჯოხეთში ნახა ნაცვლი ნოღა.
„მას ეშმაკი ხორცში უყრის ბჭალებს“,
იმისთვის რომ ჰყვლიფდა გლიებებს. იქვე
დაინახა მან „პრისტავი, უღვთო, უსჯულა,
გლიებთ ჭირი შავი“. იმასაც გლეხთა ტან-
ჯვისთვის მათარხებს სცემდნენ ეშმაკები. იქვე
დაინახა კანტა გასპარი, პირქუშ ბადად, ჩი-
თის ვაჭარი, „ფოდრანიკი“ ტერ არუთინა და
„სკელეტარი“ იმისი სვინა. მათაც სცემენ
ეშმაკები ხაღხის ვეღეფისთვის... ჯოჯოხეთ-
შივე ნახა

„ტურა-სუდიები, ჩინოვნიკ-მეღები,
და ქვეყნის მცარცველი ადვოკატები
და გლეხთა შემაწრობელი მემამულე-თა-
ვადები...“

გარჩეული ნაწარმოები დამთავრებული არ



არის. ის დაწერილია 1888—1890 წლებში. ეს ნაწარმოები ამტკიცებს, რომ ზოეტი დასწრებით იცნობდა გლეხთა დაჩაგრულს ცხოვრებას და წინააღმდეგი იყო იმათი, ვინც ამ დაჩაგრულს ამყარებდა თავისი ზიზღის ბედნიერებას. გლეხთა ცხოვრების ცოდნაში მას რამდენადმე ხელს უწყობდა მისი ბოლოდროინდელი თანამდებობა მომრიგებელი შუამავალისა. მსგავსივე აზრები გამოთქვა გ. სუნდუკიანცმა თავისი კომედიაში: „ოსკანა საიქიოში“, რომელიც ვახტანგ ორბელიანის ნაწარმოებზე ადრეა დაწერილი.

„ვახტანგ ორბელიანი“—სწერს ზაქ. ჭიჭინაძე— „ბატონუმობის დროს ირინცხობდა ერთ უსუფთავეს მებატონედ, ერთ ემასაც არ ასხვავს ამისგან წყენა და დაჩაგვრა. დიდს შეღავათს აძლევდა გლეხებს“. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გლეხებს ხშირად ასსუხებს თავის ლექსებში და მათ უმცროსს ძმებს ეძახის... ჭქადაგებს გლეხთა შებრალებას და მათთვის ცხოვრების მძიმე ტვირთის შემსუბუქებას.

სიყვარული... სიყვარულის გრძნობა ვახტანგ ორბელიანის ზოეზიაში გაწმენდილია უფლისავე იმისგან, რასაც ხორციელობის. ყინიან ვნებათა ბეჭედი აზის... ზოეტი თავისი მტკემელაა თავის თავად შეკნიერებისა, სიღამაზისა... მისი სიყვარული ოდესმე იყო ახალგაზდური. მაშინ ზოეტი „შავი თვალისთვის, გიშრის თმისთვის კვდებოდა“ (ლექსი: „დახმულის გულით“). ზოეტი მოხუცდა... მას დღეს „კეკლუმი და ტურფა ასული ერთსაც აღარ შეხედავს, ისე გაუფლის გვერდზე“ (ლექსი: „ძველს მეგობარს“)... მაგრამ ზოეტი არ ყოფილა გატაცებული არასოდეს ხორციელ ვნებათა მდღეფარებით... ის მზადაა უფველივე ღამზარი და შეკნიერი არსება ღმერთს შეაგედროს და ყოველ ზიზღს ახვარების გარეშე დაულოცოს გზა და კვალი (ლექსი: გ. ე. შ.—ს).

ზოეტი თავის სტემდა შეკნიერებას, სასარგებლო საქმიანობასთან, საკეთილო მოღვაწეობასთან შეერთებულს. უამისოდ შეკნიერება მისთვის არ არსებობს. ეს აზრი გატარებულია მის საუკეთესო ლექსთაგანს: „დედლოფალ“—ში... მეფე ახლად შეერთულს მეუღლეს ჭზირდება მდიდრულს ტანსაცმელს, მდიდრულად მორთულს სასახლეს და ტკბილ ცხოვრებას.

„ოლონდ გიყვარდე... შემეყვარე! ოლონდ ნუ მომკლავ“

დედოფალი ხმას არ იღებს... მეფე შემდეგ ჭზირდება მას, რომ უჩვენებს სავიწრო საქმეებს სხვა მეფეებთან ბრძოლაში. მაგრამ დედოფალი ვერც ამან მოხიბლა და კვლავ სდუმს. შემდეგ მეფე განუმარტებს დედოფალს იმის მიზეზს, თუ რად შეიყვარა იგი:

„ღარიბს ქონშია ობოლს აკვანს ურწველი და ტკბილის მღერით და ტურფა ხმით ნანას უმღერდი. სადმე ქუჩაში, მივარდნილში, ობლებსა, შივრებს, ბროლის თითებით პურს უყოფდი, უშრობდი ცრემლებს!“

დედოფალი ხმას ამოიღებს და ეუბნება დაბეჯითებით მეფეს.

„ჩემთვის ფასი არ აქვს დიდს საუნჯეს! მეფევ! არაფრად მიჩანს მე ჯდომაც მეფის ტახტზედა, თუ მის სიმღლით არ გადმოდის მადლი ერზედა... და თუ გსურს ვიყო დედოფალი შენის ერისა, მაშ ჯერ მას მიეც, რაც მისია—ყოფა ნებისა! ნუ ანდობ შენს ერს, დიდო მეფევ, მძლავრთა მოხელეთ, შენი სამეფო შენ და ერმა ერთად განაკეთ... შენთვის ნუ გინდა ერის შრომა და მის სიმღიდრე იმის სიმღიდრე და მის შრომა მასვე ახმარე!“ ახლის ცხოვრებით შენი ერი შენ განაცხოვლე“.

მეფე ადასრულებს დედოფლის რჩევას. საუკეთესო სახლი ღიაა ღარიბთა და დატაკათვის. ხშირად დედოფალი



„ქვირვი-ოხერთ და მშიერ ობლებს
ბროლის თითებით უყოფს საზრდოს და უშრობს
ცრემლებს
მეფეც ზის ერთან და განაგებს მასთან სამეფოს!“

პოეტმა 1882 წელს დაწერილს ლექსში
დაგვიხატა შვენიერი იდეალი სახელმწიფო-
ბრძოლის გამგებებისა, პოეტის აზრი იმის შე-
სახებზე, რომ ხალხს უნდა ჰქონდეს ყოფა ნე-
ბისა საერთო საკაცობრივო აზრით. სასიქადუ-
ლად, რომ ქართველი მკვლევარი ასეთი შვენიერ-
ი აზრის იყო ხალხის თავისუფლების და
მისი სახელმწიფოს გამგებებაში მონაწილეობის
შესახებ 1882 წელს, როდესაც რუსეთის
სგებულებს განაკებდა იმპერატორის ალექსანდრე
შესამის რკინის ხელი.

ამავე მუხლში მოვიხსენებთ, თუ რა შეხე-
დულების იყო პოეტი ქალის დანიშნულების
შესახებ (ლექსი: „ქალი ის არის“). ქალი
არ უნდა ასდგოდეს სოფლის ცდამას და თა-
ვის დიდს დანიშნულებას უნდა განახორციე-
ლებდეს თვის სახელში შრომის, თავის კე-
რის და სახლობის მზერის საშუალებით.
მას უნდა ჰქონდეს გული წრთული, სული
ნათელი; ის შემკული უნდა იყოს სარწმუნოე-
ბით და სთნობით. მართლაც, დედა-კაცის
მკვლევებანი სამაგალითო მეუღლეობის,
დიასახლისობის და დედობის შესახებ მრავალ
მნიშვნელოვანი და მრავალ ნაყოფიერია.
ამ სამი მოვალეობის აღსრულებით დედა-
კაცი დაუფასებელს საშინურს გაუწევს კაცობ-
რიობას... მათი აღსრულება ჯერ კიდევ
დიდს ხანს სატრფიალო საგნად იქნება დასა-
ხული ქვეყნად; განსაკუთრებით შვილთა აღზრ-
დას დედის მიერ ვერავითარი წმინდა საქმე
ვერ შეედრება... პოეტის აზრი ხელს არ
უშლის იმ ქალთ, რომელთაც სამისოცა ნიჭი
შესწევთ, მიიღონ უმადლესი განათლება და
ამოღვწიონ სხვა და სხვა საზოგადოებო... უო-
კვლს შემთხვევაში, სანამ აწინდელი სო-
ციალური წესწყობილება იქნება, საკუთ-

რების პრინციპზე დამყარებული, მანამდე
ჩვენი პოეტის აზრი კარგს აზრად მისახევე
იქნება... პოეტი დედა-კაცის შესახებ ძვე-
ლის ქართველების შეხედულებისა... საქარ-
თველში ქალი, როგორც დიასახლისი, დიდს
სამსახურს უწევდა ქართველობას... (ოთხანთ
ქვირვი, მამიდა ასმათი და სხვა)...
ქართველი დედა და ქართველი ცოლი—
განთქმულნი იყვნენ თვისთა მკვლევართა
მტკიცედ აღსრულებით... პოეტისთვის იდეა-
ლია: თამარ დედოფალი და წმინდა ნინო...
საერთო საკაცობრიო აზრები.

საერთო საკაცობრიო აზრები.

ა. თავისუფლება. პოეტი ლექსში „გა-
ლია“ დიდი წინააღმდეგაა დატყვევებისა და
მომხრეა თავისუფლებისა. ის, სხვათა შორის,
სიტყვის თავისუფლების მხურვალე მომხ-
რეა.

„ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს
არა მცნებისა.
დეე მალა სთქვას, წარმოსთქვას,—მაშინ ყოფა
ნებისა!“

ბ. „გავჩნდით რისთვისა?“ ამ ლექსში,
სხვათა შორის, დაგმობილია ერთი ერის მიერ
მეორე ერის ხმლით, ძალადობით დამონება
და დაჩაგვრა... ნუ თუ მისთვის გავჩნდით,

„რომ ერი ღვთისა
სხვა ერს სახლ-კარსა ხმლითა უნგრევდეს
და შთენილ ერი
უგზო, მშიერი

დანგრეულ სახლ-კარს ცრემლით უმზერდეს?“

გ. „კაცი ის არის“. ამ ლექსში პოეტმა
დაგვიხატა კაცის იდეალი. კაცი ის არის, ვინც
საკუთარი აფლით მიწას შემუშავებს და ნა-
ყოფს ქვირვი-ობლებსაც უყოფს (ფიზიკური
შრომა, საზოგადოებრივ ქველმოქმედებისთან
შეერთებული)... კაცი ისაა, ვინც განახორ-
ციელებს ცხოვრებაში ძმობის, ერთობის და
სიყვარულის მადლს მტკობს და სცდილობს

ყოფის დონისძიებით შეიგნოს ჭეშმარიტე-
ბა... ასეთი ადამიანი სრულიად განახორციე-
ლეს ცხოვრებაში ჭეშმარიტების და სიკეთის
იდეები. ის მზადაა კეშმარიტების თავი
შესწიროს.

აქქის დასასრულში ჰაეტი თვითონვე
გვეუბნება, რომ მისი იდეალის კაცი სოფელად
არაა.

იყო კი ერთი,—
ის იყო ღმერთი

ისიც უგუნურთ კაცთ აცვეს ჯვარსა!“

მართალია, ჰაეტის იდეალის სავსებით გან-
ხორციელება შეუძლებელია, მაგრამ არიან ისე-
თი ადამიანები, რომელნიც რამდენადმე მა-
ინც სხორციელებენ ცხოვრებაში ამ იდეალს.

ჰაეტმა დახატა იდეალი ადამიანისა საზო-
გადოდ... უფველი ერის შვილი ამ აქქის
შინაარსს საერთო საკაცობრიოდ დასახვას და
ჰაეტის იდეალს ფრად მოიწონებს...

დასკვნა. ა. როგორც სხანს უფველისავე
ზემო თქმულიდამ ვახტანგ ორბელიანი იყო
საქართველოში რომანტიული ჰაეტიის საუ-
კეთესო წარმომადგენელთაგანი. მის რომან-
ტიულს ჰაეტიას, როგორც ვიქტორ ჰიუგოსს,
სახეში ქქონდა სინამდვილე, მაშასადამე, ეს
ჰაეტია რეალურის ელფერისაა, ერის ნამდვი-
ლი ჭირ-ფარმის გამომთქმელია... ის ჰაეტებს
ურჩევს „ძირს დახედვას“ ესე იგი სინამ-
დვილის დაკვირვებას და მისი ჰაეტიის საგ-
ნად დადებას... ჰაეტია, სინამდვილეს გან-
შორებული, ხელაფნება ხელაფნებისათვის—
ვერასდღეს ვერ განდება ხალხის გზის მაჩვენ-
ებელს ვარსკვლავად. ჰაეტები რუსთა: ჰო-
ლანსკი, ფეტი, ა. მაიკოვი და სხვანი, რა-
მელნიც ემსახურებოდნენ ჰაეტიას, როგორც
ხელაფნებას ხელაფნებისათვის და გაიმდუ-
რდნენ ვით ფრინველნი გარეგანნი, ტუბილს
ხმებას, დღეს თითქმის დავიწყებულ-
ნი არიან, ამისი მსგავსი ჰაეტია, სპენსე-
რის არ იყოს, მადარი ხალხისთვისაა გამო-

სადგე: ის შეგლის მას სადილის შემდეგ
საჭმლის ადვილად მონელებაში.

ასეთი ჰაეტია მხოლოდ ცოტა ხნობით
ადრავს გრძობას და დრმა კვალს კი ვერ
გატარებს ადამიანის სუდიერს ბუნებაში...

„აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომა აჩქოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირში იმ ბალახს,
რომელიც უშლის იესლს ამოსვლას!“
(ილია).

ხელაფნება ხელაფნებისათვის სწორედ ამ
გუთანს მოგვარგნებს. ის ვერ მოსთხრის ბო-
როტებს ძირიან-ფესვიანად, ოდნავაც ვერ
შეარყევს მისს ახსებობას. დღეს, ჰაეტის
იროდიონ ევდოშვილის სიტყვით, ჰაეტს

„სიყვარულისთვის არა სცალიან,—
ღმერთებს დაუთმო მან სიყვარული...“

დღეს ბედ-დაჩაგრული, დამონებული, მე-
დამ მტირალი მოძქე-მუშად წოდებული, მოუ-
წოდებს ჰაეტის მუხას, როდესაც მას სურს
გადაადგოს თვისი ჩანგი ზღვაში წუთისა-
ფულზე, სიყვარულზე და ოცნებაზე იმედ-
გატრეუბულმა, და ეუბნება შემდეგს:

„.....შენ ჩვენთვის დარჩი, იცხოვრე...
ჩვენი ცხოვრებაც გიძმობს, გიშვილებს...
სიმხალე არი განდვილობა
და მონასტერი—საფლავ სამარე.
ჩამოსხენ სიმი მაგ მშვენიერ ჩანგს,
ღმერთებს გადუგდე გასართობელათ:
ჩვენი ცხოვრება სულ სხვას გააბამს,
და ხმა მქუზარე გაისმის ქვეყნათ.“

და დღეს განახლებული ჩანგი კვალთ
ქდერს. მუხაც ამაყათ

„აკვენებს ჰანგებს, ათროთლებს სიმებს;
მისტურავს დროშა მალლა თამამათ,
და განთიადიც მასთან იღვიძებს

და ეს დროშა—დროშა შრამის სუფევის
დადგომისა,—დროშა—ახალ დროის მოახ-
ლებისა... დროშა განთიადისა.



ამ განთიადის მოახლოებას ზოგეტი ვახტანგობრბელიანი წინასწარ გრძობდა, რადესაც ღამისასულის სახით მოფენილს იმედს ებასსუბოდა... ის გვიმოქდვრებს იდეიურად ხაღხის მოწინავე ხაწილის უმცროსს ძმებთან დაახლოების საჭიროებას, მათთან ორგანიულს კავშირს. ის დაწმუნებუელი იყო, რამ ქართველთა ცხოვრებაში ბოლოს და ბოლოს დემოკრატიზმი გაიმარჯვებდა, ერთვნიული თვით-შემეცნება ქართველი ერის ფართო მასსსაც მოცდა... თუ თვითონ ვერ მოახერხა ორგანიული შეკავშირება ხაღხთან გარდმოცემათა და ჩვეულებათა ძლიერის ზედგავლენის შეახებით, შემდეგს თაობას მანც უხაღრძა თავისი მცნება, თითქოს ამ სიტუვებით:

„რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით შეასრულე“ (ილია)

დ. მეოთხმოცე წლებში გაიღვიძა ერთვნიულმა გრძობამ ქართველთა შორის. ამ გრძობის გაღვიძებას ანგარიშს უწევდნენ მთავრობის ზოგეიერთნი მოხელენი, რამეღთაც სურდათ არა რუსთა გარუსება... გარუსების ცდამ ერთვნიული გრძობა უფრო გაუძლიერა ქართველებს, რამეღთაც აკაკის ზირით წარმოსთქვეს:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია;
„ნურავინ ისხავს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის დედა ენასა!“

საქართველოში გაძლიერდა კულტურული ბრძოლა ერთვნიულ თავისებურობის დასაცველად... მეოთხმოცე წლებში განიღვიძა ოცის წლის ძილისაგან მცხოვანმა მგოსანმა ვახტანგამც და კვლავ საიმელოდ ააუღერა თვისი

ქნარის სიმები. ის კვლავ დაუბრუნდა ზოგნიის სამთავროს და გვიძღვნა მრავალი დრმა აზროვანი სამოქალაქო შინაარსის ლექსი. ამ ლექსებში გამოხატა მისი გედისებური, უკანასკნელი ჭანგები, და ზოგეტი შთავიდა სამარეში ტკბილი სამეომისა იმედით აღფრთოვანებული. ეს იმედი არ იყო ოცნებური, უნიდაგო: მეობადს შექმნიდა არა მხოლოდ ის წოდება, რამეღთაც ზოგეტი ფუქსავატობას და მამულთა გაუიღვას უგეიენებდა, — არამედ ის თაობა, რამეღთაც, სხვათა შორის, შევიდოდნენ ხარებების მიერ შეიწროებული უმცროსი ძმანი გლეხები, რამეღთ შებრადებას და შავბედისთვის მხურვალე უურადლების მიცტევას გვიმოძვრებდა მგოსანი... მისი იმედმოსილობა საზრდოობდა ამ სოფელ-მხედველობათ... მას სწეინდა, რამ „ახალი შენობა“ ქართველებისა სუსტი იყო, — ძველ „შენობასთან“ შედარებით, მაგრამ ეს გარემოება მისს იმედ მოსილობას მანც არას უშეიდა... ერთვნიულ გრძობის გაძლიერებისთვის საუკეთესო საშუალებად ზოგეტი მშობლიურ ისტორიის შესწავლას სთვლიდა და თვისი ზოგნიით გაუღვიძა ქართველობას წეურვლი მისი შესწავლისა...

ი. ფერაძე.

ბათუმი

1912 წ. 8 აპრ.

ლიტერატურა: ნაწერები ილ. ჰავჭავაძისა, აკაკისა, ალ. ხახანაშვილისა, კიტა აბაშიძისა, გ. თუმანიშვილისა, იბ. ვართავავისი, ზ. ქიქინაძისა და სხვათა...



შრომა და მისი მნიშვნელობა *)

ამ თვის 5-ში შესრულდა 100 წელიწადი ჩვენი სახელოვანი მგოსნის ვახტანგ ვახტანგის ძის ორბელიანის დაბადებიდან.

ყოველს შეგნებულს ხალხს წესად აქვს რომელსამე ღირს შესანიშნავ დღეს უფრო დაწვრილებით მოიგონოს ღვაწლი იმ ადამიანისა, „რომელმაც გზა ცხოვრებისა განვლო და აღბეჭდა ნავალი თვისი“. ამ დღეს ჟურნალ-გაზეთები აუწყებენ მკითხველებს ამა თუ იმ ღირს შესანიშნავ ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ბეჭდვენ ცალკე წიგნებს ხალხში გასავრცელებლად, რომ ყველას შეეძლოს წაიკითხოს და ზოისმინოს ის მაღალი უკვდავი აზრები, რასაც ქვეყნის მოკეთვე ჰქადაგებდა სიცოცხლეში და რაც გარდაცვალების შემდეგ ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას.

დღეს ჩვენ შემთხვევა გვაქვს გავითვალისწინოთ ჩვენი საუკეთესო მამულიშვილის, პოეტის ვახტანგ ორბელიანის აზრები. მე არ შევეჩებები ამ ჟამად არც მისს პოეზიას და არც მისთა ლექსთა განხილვას, მინდა მხოლოდ თქვენი ვულის-ყური მივაპყრა ერთს უკვდავს აზრს, რომლის განხორციელება უპირველეს საშუალებად მიაჩნდა პოეტს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ეს აზრია შრომის

გამეფება, შრომის განხორციელება, შრომის მოყვარეობა.

კაცობრიობის ისტორია ბევრს საგულისხმეო რასმე გადმოგვცემს შრომის გამეფებისა და დაგმობის შესახებ. რომის სახელმწიფო უფრო ბედნიერი იყო მაშინ, როცა მისი მოქალაქე გუთნის დედობასაც მისდევდა და სახელმწიფო სამსახურსაც ეწეოდა. საქართველოს კეთილდღეობა მაშინ ეტყობოდა, როცა ყველა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი, თავადი, აზნაური ერი და ბერი განურჩევლად შრომის უღელს ეწეოდა. რომის სახელმწიფო დაეცა, გაიხრწნა იმ დღიდან, როცა ყველა ქვეყნის საუკეთესო ნაწარმოებს რომში გზა გაუხსნეს, ადგილობრივი შრომა უკუაგდეს, დაჰკმეს; შრომა არაათუ რომელიმე ბატონის შვილმა, უკანასკნელმა გაძვალტყავებულმა მუშამაც კი სათაკილოდ აღიარა; სხვისი ოფლით შეძენილი სიმდიდრის წყალობით ხელი მიჰყვეს ქეიფს, რამაც გარყვნა და გააუბედურა მთელი სახელმწიფო.

საქართველოს შავბნელი დრო მაშინ დაუდგა, როცა ჩვენში შრომა პატივ ახდილი შეიქმნა, როცა გამრავლდა ჩვენში რიცხვი მუქთა ხორებისა, რომლებიც გაიძახოდნენ: „დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ მცნებასა“. შრომის დაგმობის გამო ქართველი ხალხი ქონებრივად ლატაკდებოდა, ზნეობრივად ეცემოდა, გონებრივად გადაშენების და გადაგვარების გზას ადგა. პოეტი კარგად ხედავდა, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყნის აუარებელი სიმდიდრე, ჩვენი დაუღვერო-

*) წაკითხული ვ. ორბელიანის ხსოვნის პატრისკემად გამართულს მწაფეების სადიტრატურა დილაზე — ტფილისის ქართულს გამნაზიაში ამ წლის აპრილის 8.



ბისა, სიზარმაცისა და უცოდინრობის გამო უცხოთა ხელში გადადიოდა, ქართველი კი თავის სამშობლოში ხახა მშრალი რჩებოდა. სამშობლო ქვეყანა ჰკიცხავს თავისს შვილს ამის გამო, პოეტი სამშობლო ქვეყნის ბუნების ხმას ჩასძახის ქართველთ:

„მაგარის ხელით, ჩემი წიადი აღმოიკვდიეთ;
ნუ გექნელებათ, ნუ გაბრკვლებათ,
ყოველს სიძნელეს შრამითა სძლიეთ!

ქნო იგონეთ, ოფლით იშრამეთ;
ოფლით, შრამითა აღმოცენდება ტკბილი ნა-
ყოფი
ჩემს მკერდში შეოფი; თქვეითვის არს იგი,
სხვას ნუ დაჩხება“.—

მართლაც, მას შემდეგ, რაც ადამიანმა ქვეყნიური სამოთხე დაჰკარგა, მისი ბუნების კანონად, მცნებად, ღირსებად და ბედნიერებად შრომა იქმნა დასახული. შრომა უბრძანა ღმერთმა ადამიანს, შრომა შეიქმნა ნიშანი ადამიანის აღდგენისა. ადამიანის სიცოცხლე და ბედნიერება შრომად გადაიქცა, სამაგიეროდ სიცოცხლე და ბედნიერებაც ადამიანმა შრომაში ჰპოვა.

ადამიანი ცხოვრებაში ბევრს სიამოვნებას პოულობს, მაგრამ ბედნიერებას კი ვერა. ბედნიერება ისეთი ნეტარებაა, რომელიც ადამიანს ადამიანის ღირსებას ასეთი ბედნიერება ქვეყანაზე არ არის. ყველა სიამოვნებას რომ ერთად მოგუყაროთ თავი, ვერც ეს შეადგენს ბედნიერებას. ეს ყალბი ოცნებაა. ბედნიერების ნაცვლად ადამიანს შრომა აქვს მინიჭებული და გარეშე შრომისა მისთვის არ არსებობს ბედნიერება.

შრომა ადამიანის განვითარებისათვის არათუ აუცილებელი პირობაა, იგი მისივე ღირსებაა, ვისაც შრომა არ უყვარს,

იგი ვერასოდეს წინ ვერ წავა, ვერც ერთს აღგილზე შეჩერდება, უკან უკან დაიწვეს. ადამიანის სხეული გული და გონება შრომას თხოულობენ და ეს მოთხოვნილება ისეთი ძლიერია, რომ თუ სწორ გზას ასცდა, ადამიანი გადაქნება უფსკრულისკენ და ცოცხლად დაიმარხება, უშრომოდ ადამიანი ცოცხალ მკვდარია, რადგანაც სიცოცხლე შრომაში გამოიხატება.

ყველამ ვიცით; რომ შრომას ნივთიერი ნაყოფიც მოსდევს, რაც ადამიანის ცხოვრებას აუმაჯობებს, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: შრომას სხვა უხილავი თვისებაც აქვს: ეს არის შინაგანი, სულიერი, ცხოველმყოფელი ძალა, წყარო ადამიანის ღირსებისა და მასთან მის ზნეობისა და ბედნიერებისა. ეს ცხოველმყოფელი გავლენა მხოლოდ პირად შრომას აქვს იმაზე, ვინც შრომობს. შრომის ნივთიერი ნაყოფი შეიძლება მოსტაცონ სხვას, წაართვან, იყიდონ, ან მემკვიდრეობით მიიღონ, მაგრამ შრომის შინაგან, სულიერს, ცხოველ მყოფელ ძალას ვერც წაართმევ ვისმე, ვერც მემკვიდრეობით მიიღებ და მთელი ქვეყნის ოქროც რომ დახარჯო, ვერ იყიდი. ის მასთან რჩება, ვინც შრომობს. აი სწორედ ვისაც შრომის ეს უხილავი თვისება აკლია, ისა სდგას დაღუპვის გზაზე. ეს ნაკლულევანება გადაგვარების გზაზე აყენებს წოდებას და მრავალ ადამიანს უსპობს ზნეობას და ბედნიერებას.

დაუკვირდეთ ჩვენი გლენიკაციის ცხოვრებას—იგი მთელი დღე შრომობს, ოფლში იწურება, გუთნეულს ატრიალებს, ხნავს, სთესავს, პირისახე დაღადრული აქვს, ჰაპანება სიცხეში მკის დროს ხვითქი გადასდის, მაგრამ რომ ჩააცქერდეთ მისს დაღლილს, ჩაფიქრებულს თვალებს

და იქ იპოვიოთ ადამიანის ღირსებას. მძიმეა მისი შრომა, მაგრამ ზაფხულის გრძელი დღის მუშაობის შემდეგ, როცა შინ ბრუნდება, შრომის შუქი ჩამავალ მხესავით ოქროს სხივებსა ჰფენს მის გარშემო.

„დაჯდა მასწავლებელი დერეფანშია, გვერდით მოიდო მწკრელი ნამკაღი, ამაყობს ცხელით, ამაყობს შვილით, ამაყობს რამ აქვს ბევრი ნამკაღი“.

შრომა მკრთალი ლამპარია ადამიანის ცხოვრებისა, მაგრამ ჩააქრობთ თუ არა, მთელი ქვეყანა წყვდიადით მოიფინება. როგორც ფარვანა სანთელს, სიამოვნებაც გარს უტრიალებს ამ ლამპარს, მაგრამ ჩააქრობთ თუ არა, ეს ოქროს ფერი კრელ-კრელი პეპელები მტაცებელ ფრინველებად გადიქვევიან, სწრაფად გამოულრნიან ადამიანს გულსა და უმწეოდ დასტოვებენ.

შრომას ადამიანი ყმაწვილობიდანვე უნდა შეეჩვიოს. ყმაწვილობაც იცის, რომ სიზარმაცე დედა ყველა ბიწიერებისა,

მაგრამ ეს ქეშმარიტება მას ჯერ კიდევ ძვალ-რბილში არ გაჯდომია. ბევრი ყმაწვილი შრომას გაურბის იმიტომ, რომ შრომაც ერთგვარი აღვირია, თუ ყმაწვილმა ზოგი თავისი მისწრაფებანი შრომით არ ალაგმა, უფსკრულისკენ გადიჩეხება, ბოლოს საგონებელსაც მიეცემა, მაგრამ გვიანლა იქნება. პოეტს ღრმად სწამდა შრომის დიდი მნიშვნელობა, რასაც აუცილებლად მოჰყვება სამშობლო ქვეყნის ბედნიერება. პოეტი სამშობლო ქვეყნის ბედის ჩარხის წაღმა ტრიალს ახალთაობის შრომაში ეძებს და მამობრივის სიყვარულით არიგებს ყმაწვილებს:

„ისწავლეთ, ძენო, ნუ დაზოგავთ დავაწესს და შრომას;
იშრომეთ, ძენო, კრიდენით ცრუ გზას და ცდომას;
თქვენის სამშობლოს თქვენკენა რბის გული და სული;
იშრომეთ, ძენო; თქვენ ხელთ არის მის მკაღი“.

ლ. ბოცვაძე.

ოჯახის ზნეობრივი მხარე

სანამ მივმართავდეთ ოჯახის ზნეობრივი მხარის განხილვას, საჭიროა მოკლეთ განვმარტო, თუ რას ვუწოდებ, ან როგორ მესმის მე ზნეობა. ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ ზნეობის შესახებ ბევრგვარი შეხედულება არსებობს.

ზნეობა შეიცავს ორ ელემენტს: აზრს და გრძნობას. გრძნობა ჰმოქმედებს პირდაპირ ადამიანის ნებაზე, აზრი კი მიმართავს გონებას და ამ უკანასკნელს ამოქმედებს ადამიანის ნებაზე.

ამ გვარად ზნეობა წარმოადგენს იმ

აზროვნებასა და გრძნობებს, რომლებიც მიმართავენ ადამიანის ნებას კეთილისკენ. კეთილია ის, რაც ხელს უწყობს კერძო პიროვნების ან მთელი საზოგადოების, ერის, კაცობრიობის კეთილდღეობას; ბოროტია, რაც ამ კეთილდღეობას წინ ელობება. როცა ერთი მეორეს უპირდაპირდება პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, მაშინ, რასაკვირველია, უპირატესობა ეძლევა მთელი საზოგადოების კეთილდღეობას



და როცა პიროვნების არა თუ კეთილდღეობა, თვით სიცოცხლეც მსხვერპლად ეწირება მთელ საზოგადოების კეთილდღეობას, ამაში ჩვენ ვხედავთ ზნეობის უმაღლეს გამოხატულებას.

ამგვარად ზნეობის მიზანია კერძო პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობა.

ზნეობრივი აზროვნება და გრძნობა ადამიანს ერთხელვე მიცემული კი არა აქვს ციდან, ერთიც და მეორეც შედგება თან და თანი განვითარებისა საზოგადოებრივ პირობებში. კაცობრიობის განვითარების სხვა და სხვა საფეხურზე ზნეობრივი აზროვნება და გრძნობა იცვლება; ხშირად ის, რაც წინეთ ზნეობრივ მოქმედებად ითვლებოდა, დღეს უზნეოდ ითვლება და ბევრს, რაც დღეს ჩვენ ზნეობრივად მიგვაჩნია, მომავალი უზნეოდ აღიარებს. ხოლო ერთი რამ უტყუარია: კაცობრიობის განვითარების ყოველ საფეხურზე ზნეობა ემსახურება პიროვნებისა და მთელ საზოგადოების კეთილდღეობას.

ყოველი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ამ კეთილდღეობას ითვლებოდა და ითვლება ზნეობრივად. ხოლო ყოველი მოქმედება, რომელიც წინ ელოდება ამ კეთილდღეობას, ითვლებოდა და ითვლება უზნეოდ.

მიმართეთ სულ უბრალო მაგალითს. ივანეს, პეტრეს ან პავლეს ბედელი პურითა აქვს სავსე, იმის მეზობელს გიორგის ცოლშვილი შიმშილით ეხოცება. მან მდიდარ მეზობელს ღამე პური მოჰპარა, იმას ბევრი არა დააკლდა რა, მაგრამ თვითონ კი ცოლშვილი გააძლია.

ამგვარ მოქმედებას ჩვენ უზნეოდ ვსთვლით. რად ან რისთვის; რა მოსახრებით? თუ საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ

მიიღებთ სახეში, გარწმუნებთ, აქ არაფერი არ არის უზნეო. მაგრამ როცა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს კერძო საკუთრება შეადგენს, კეთილდღეობა ირღვევა, თუ ამგვარი ქურდობა უზნეო, გასაკიცხ მოქმედებათ არ იქნა აღიარებული.

ყოველი საზოგადოებრივი წყობილება ავითარებს ადამიანში თავის შესაფერის ზნეობრივ შეხედულებას.

მივმართოთ ახლა ოჯახის ზნეობრივ მხარეს. მაგრამ აქ იხადება შემდეგი საკითხი: ზნეობრივი საზომი შეესაბამება ოჯახს?

ოჯახი საზოგადოებრივი მოვლენაა, მას მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებრივ წყობილებასთან და ამიტომ ზნეობის თვალსაზრისით მისი აწონ დაწონვა, ასე თუ შეიძლება, საჭიროც არის. დღევანდელ ოჯახის საფუძველი ქორწინებაა. ამიტომ მივმართოთ მას. ქორწინება სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სახისა იყო. ყველას დაფასება ზნეობრივის საზომით ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მე მივმართავ დღევანდელს ქორწინებას ე. ი. ქორწინებას დღევანდელს საზოგადოებრივს პირობებში. საზოგადოდ ქორწინება, როგორც კავშირი მამაკაცისა და დედაკაცისა ზნეობრივი რამ არის თუ უზნეო?

რომ მიმართოთ სხვა და სხვა დროის ფილოსოფოსებს და მეცნიერთ, სხვა და სხვა პასუხს მიიღებთ. ერთი უარ ჰყოფს ქორწინებას, როგორც უზნეო მოვლენას, მეორე კი არა.

ზნეობის უდიდესი მოძღვარი ქრისტე ქორწინებაში უზნეოს არასა ჰხედავდა, თუმცა უქორწინლობას უპირატესობას აძლევდა.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ლევ

ტოლსტოის აზრმა ქორწინებაზე, რაც მან კრეიციერის სონატში გამოსთქვა.

ამ მოთხრობაში ბევრი საღი და სრულიად ჭეშმარიტი მოსაზრებაა წამოყენებული. ტოლსტოი აქ ჰკიცხავს სიმრუშეს, ცოლ-ქმართაგან ერთმანეთის დაღატაკს, სხვა და სხვა ზომების მიღებას შვილიერების წინააღმდეგ. ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მაგრამ როცა ტოლსტოი პოზდნიშევას პირით გვიცხადებს: სქესობრივი მისწრაფება ბოროტებააო, აი აქ ჩემის აზრით სრული სიყალბეა.

და მართლაც თუ სქესობრივი მისწრაფება ბოროტებაა. ქორწინება ყოველგვარ პირობებში უზნეობაა.

ტოლსტოის საბუთათ მოჰყავს ქრისტეს სიტყვები: „ყოველი, რომელი ჰქნება დედაკაცს გულისთქმად მას, მუხვე იმრუშა მისთანა გულის შინა თვისსა“. ეს სიტყვები საკუთარ ცოლსაც შეეხება უფრო ზედმეტათო, დასძენს ტოლსტოი, და მასასაღამე ცოლ-ქმრული კავშირი უზნეობააო.

რისი თქმა უნდოდა ქრისტეს ზემოხსენებულ სიტყვებში? ვინც მსოფლივ დაბალის მიზნით უყურებს ქალს, ის სიმრუშეს სჩადისო, — აი აზრი ქრისტეს სიტყვებისა.

მივმართოთ ისევ სქესობრივ მისწრაფებას.

სქესობრივი მისწრაფება უხვად არის ბუნებაში გაბნეული. შეხედეთ ჩიტებს, ბეჭელას, ჭიანჭველას, ფრინველებს, ქვემძრომთ, — ყველგან სქესობრივ მისწრაფებას ნახავთ. ყველგან, საცა კი სქესობრივი სხვა და სხვაობაა, ერთი სქესი მიისწრაფის მეორისაკენ. ამ მისწრაფებას ბუნებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს

— მისი ერთად ერთი მიზანი სიცოცხლის გამრავლებაა.

მოსპეთ ეს მისწრაფება, მოისპობა დედამიწაზე სიცოცხლის უმაღლესი ფორმები. ერთხელაც არის, რომ ყოველივე უნდა მოისპოს, თვით დედამიწაც, მაშ რაღა საჭიროა სქესობრივი მისწრაფება?

ერთხელაც იქნება, ჩვენ ყველა მოვისპობით, მიუხედავად ამისა ჩვენს ჯანმრთელობაზე ძალიან ვზრუნავთ და ძალით თავს არ ვიკლავთ! რატომ? იმიტომ რომ სიცოცხლე უდიდესი განძია, უმაღლესი ნეტარება.

სქესობრივი მისწრაფება ამრავლებს ამ განძს, ამ ნეტარებას და ამიტომ მისი სახელი ბოროტება კი არ არის, არამედ სიკეთე.

სქესობრივი მისწრაფება სარჩულად უძევს ქორწინებას. ამიტომ ქორწინება თავის თავად სრულებით ზნეობრივი მოვლენაა. მაგრამ თავისთავად ზნეობრივი მოვლენა სხვა და სხვა გარემოებებში ხშირად უზნეობის სახეს ღებულობს.

1. სრული უბიწოება, უმანკოება ქორწინებამდე.

უმანკოების დაცვა რომ საჭიროა და სასარგებლო, ამას დღეს აღარავინ აღარ უარჰყოფს, ხოლო ზოგი მართლაც ამას ამტკიცებს, განსაზღვრული წლოვანების შემდეგ ეს შეუძლებელიაო.

სვენსერი თავის ეთიკაში ამტკიცებს: საცა უბიწოება დაცული არ არის, რიგაიან, საზოგადოებრივი წყობილება იქ შეუძლებელიაო.

როცა მამაკაცი ბიწიერდება, ის ან ფულით ჰყიდულობს ქალს, ან აცდენს მას.

ორსავე შემთხვევაში ის ეჩვევა და თანდათან ისისხლხორცებს იმ აზრს, რომ ქალი უმთავრესად მისი დამატკობელი



საქართველოს
ქრონიკა

მანქანაა. ამით მამაკაცი რყენის თავის სულს და მთელი საზოგადოების სულიერად ამაღლებას ზიანს აყენებს.

უზნეო მხარე ბიწიერებისა უმთავრესად ამაშია. აგრეთვე ზნეობრივი შეხედულება ეწინააღმდეგება ფულით ყიდვას, ან მოტყუებით იმის მოპოვებას, რაც მხოლოდ სიყვარულით უნდა მოიპოვებოდეს.

2. ქორწინების ერთად ერთ საფუძველს უნდა შეადგენდეს სიყვარული და სრული თანაგრძნობა.

ქრისტეს სიტყვით ცოლქმარი ერთი არსებაა და არა ორი. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივეს ერთგვარი მისწრაფება, ერთგვარი სურვილები და მიზანი ექნებათ. ამგვარად შესისხლხორცება სულიერად შეუძლებელია იქ, სადაც ღრმა სიყვარული არ არსებობს.

ცოლსა და ქმარს ერთი ნება უნდა ჰქონდესო, ამბობს ნიცშეს ზარატუსტრა. ეს კი შეუძლებელია იქ, სადაც ღრმა სიყვარული არ არსებობს.

3. ქორწინება რომ ზნეობრივი იყოს, საჭიროა სრული პოლიტიკური გათანაწილება დედაკაცისა და მამაკაცისა.

დღევანდელს პირობებში გასათხოვარი ქალი მატერიალურად უწრუნველყოფილი არ არის; ქალის შრომას ფასი ნაკლები აქვს. ოჯახში გასათხოვარი ქალი მეტი ბარგია და დედ-მამა ცდილობს, თავისი ქალიშვილი მალე „დააბინაოს“.

ქალი ამას მშვენივრად გრძნობს და ამიტომ თვითონ ეძებს საქმროს. იმ შიშის ზეგავლენით — ვაი თუ გაუთხოვარი დავრჩეო. ხშირად იმას მიჰყვება, რომელიც რამოდენადმე მოსწონს, სიყვარულით კი არ უყვარს.

ახლა მივმართოთ ქორწინების თანა-

მედროვე პირობებს და დავინახოთ, რამდენად დაკულოა ყველა ეს პირობები.

დღეს მამაკაცი ქორწინებამდე უპეტეს შემთხვევაში ბიწიერია. ყოველ ახალგაზრდას კანონი და საზოგადო აზრიც უფლებას აძლევს ფულით ქალის სხეული იყიდოს. საროსკიპონი მზათ არიან მას ყოველგვარი დახმარება გაუწიონ.

საროსკიპო და ზნეობრივი ქორწინება!! ორივე ეს ერთად შეუძლებელია. შეუძლებელია ქორწინება ზნეობრივი იყოს, სანამ საროსკიპონი არსებობენ.

საროსკიპომ მარტო ქორწინება კი არ წაბილწა და გარყვნა, გარყვნა საზოგადოებაც. დღეს დედმამა და გასათხოვარი ქალი არასდერს დამამცირებელს არა ჰხედავენ იმაში, რომ პირველის სასიძოს და მეორის საქმროს საროსკიპოში თავისი უმანკოება წუმბეში ამოესვაროს.

დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა კერძო საკუთრების პრინციპზეა აგებული. უმთავრესი კერძო საკუთრება, რომლითაც ყოველისფრის შექმნა შეიძლება დღეს, ფულია. ფულმა დაიმორჩილა ყოველისფერი, მეცნიერება, ხელოვნება, სარწმუნოება, სიყვარულიც. სიყვარულით ცოლის შერთვა ამგვარ პირებში იმდენად ძვირია, რომ ამგვარ პირებს სულელებადა სთვლიან.

განა არ გაგიგონიათ ხოლმე, ან იქნება თქვენც გითქვამთ: „ჰმ, სულელი! ამისთანა მდიდარი ქალები ეძლეოდნ და ვილაც ლატაკი შეირთოვო!“

დიად უმეტესობას გვიკვირს: როგორ შეიძლება სიყვარულით ღარიბის შერთვა, როცა შესაძლებელია უსიყვარულოდ მდიდარის მოყვანა?

დღევანდელს პირობებში მამაკაცი უმეტესად ქორწინებით თავის თავსა ჰყიდის ან ფულზე; ან გავლენიან მოყვარებ-

ზე და შემოსავლიან ადგილზე; თუ ბებერია თვითონ ყიდულობს ახალგაზრდა ქალს.

მგვარ პირობებში ზნეობრივი ქორწინება შეუძლებელია.

სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება დაფუძნებული იქნება კერძო საკუთრების პრინციპზე, შვიდივე ცაში რომ ნაკურთხი იყოს ქორწინება, ის მაინც მოკლებული იქნება ზნეობრივ სახეს. დღევანდელს პირობებში ქალი უფლებით გათანასწორობებული არ არის მამაკაცთან, მას რჩენა უნდა, ოჯახი; და თუ კი ვინმემ ითხოვა, როგორ არ მისთხოვდება!

ამგვარ პირობებში ქორწინებას ეცლება ერთად ერთი მტკიცე ნიადაგი—ღრმა სიყვარული; სიყვარულის ნაცვლად ის შენდება ანგარიშზე და ამით ზნეობრივ სახეს ჰკარგავს.

შეიძლება იკითხოთ: ქორწინების უმთავრესი მიზანია საზოგადოების წევრთა გამრავლება და სიყვარულს მაინც და მაინც აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვსო.

არა. საქმე აი რა არის.

ქორწინებას შედეგად მოსდევს ოჯახი, საზოგადოების წევრთა გამრავლება. მაგრამ საზოგადოების კეთილდღეობისათვის უმთავრესი მნიშვნელობა იმასა აქვს, თუ როგორი იქნებიან ეს მომავალი წევრები.

ზნეობრივი დანიშნულება ოჯახისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან საზოგადოებას უნდა მისცეს რაც შეიძლება სასარგებლო წევრები. გრიბოედოვის ფამუსოვმაც მშვენივრად იცოდა, რომ შვილების საყოლად ქკუა ყველას შესწევს. სასარგებლო წევრთა გამრავლება—აი ოჯახის წმინდა დანიშნულება.

როცა ქორწინება აგებული არ არის

სიყვარულზე, იქ არა თუ ფიზიკურად სუსტი შვილები იბადებიან, ზნეობრივადაც სწეული გამოდიან: ცხადია, როცა, ოჯახში სიყვარული და თანასწორობა არ არის, შვილების რიგიანად აღზრდის საქმეც შეფერხებულია.

აი სწორედ აქ არის სიყვარულის დიდი მნიშვნელობა ქორწინებაში.

ქორწინების ზნეობრივ მხარეზე ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ნათქვამიდანაც ცხადია, რომ დღევანდელი ქორწინება არსებულ საზოგადოებრივ პირობებში ზნეობრივ საფუძველს მოკლებულია.

ქორწინების სრული განწმენდა, გაზნეობრივება შესაძლებელია მხოლოდ მომავალში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება სრულებით სხვა საძირკველზე დამყარდება.

როდესაც კერძო საკუთრება დაჰკარგავს დღევანდელს მნიშვნელობას, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება დამყარდება თანასწორობაზე, ერთობაზე და სავალდებულო შრომაზე, როცა ქალი სრულებით განთავისუფლდება და მამაკაცის ხელქვეითი აღარ იქნება,—მაშინ დადგება მეუფება უანგარო სიყვარულისა. დედაკაცისა და მამაკაცის ერთად ერთი დამაკავშირებელი მხოლოდ სიყვარული იქნება და ქორწინებას მხოლოდ მაშინ დაედგმება ზნეობრიობის ბრწყინვალე გვირგვინი.

ზნეობრივის თვალსაზრისით რა უფრო მალლა სდგას: ქორწინება თუ უქორწინელობა?

მოვიგონოთ განმარტება ზნეობრივი მოქმედებისა. მე ვუწოდებ ზნეობრივს ყოველისფერს, რაც ემსახურება პიროვნებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. ხოლო იქ საცა პიროვნებისა



და საზოგადოების კეთილდღეობა ერთი მეორეს უპირდაპირდება, ზნეობრიობის საფუძვურზე საზოგადო კეთილდღეობა მაღლა სდგას პირადზე.

ქორწინება მძიმე ჭვირთია, მძიმე მოვალეობაა. ის ითხოვს დიდ შრომას, ბევრ ზრუნვას, ბევრ ხარჯს, ბევრ ტანჯვას, მწურხარებას და სხვ.

ყოველივე ამას განმარტება არ ესაჭიროება. პირადის კეთილდღეობის საზომით თუ ვიხელმძღვანელებთ, ყოველი ქორწინება საზარალოა პიროვნებისათვის. ხოლო ამავე დროს ქორწინება ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა და ხშირად სასარგებლო წევრთა გამრავლებას. მაგრამ რიცხვი რომ მივიღოთ მხედველობაში, ამასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში. მაგალითად ჩვენ რომ ათი მილიონი ვიყოთ ორის მაგიერ ჩვენი ბედი სულ სხვანაირად დატრიალდებოდა. ამიტომ აშკარაა, ქორწინება ხელს უწყობს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. და რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესი პირადზე მაღლა სდგას, ქორწინება ზნეობრივი მოვლენაა, უქორწინელობა კი უზნეო. საზოგადოებრივის ინტერესითაც რომ არ ვიხელმძღვანელოთ, უქორწინელობა სხვა მხრივაც არის უზნეო.

უქორწინელობას სარჩულად უძვეს ეგოიზმი, საკუთარი არსების გაღმერთება, ქორწინებას კი ალტრუიზმი, თავგანწირვა და სხვებისათვის ზრუნვა.

უდიდესი განძი, უდიდესი ბედნიერება სიცოცხლეა. ადამიანი შესაძლებელია უმწვერვალესად უბედური იყოს, მაგრამ სანამ მისი თვალები ბუნებასა ჰხედვენ და ყურები ისმენენ, სანამ ის თავის არსებაში სიცოცხლის საიდუმლოებასა გრძნობს, ის მაინც ბედნიერია.

აქილესი სრულებით მარათალია? მკვდარ მეფეს დღიური მუშა-ცოცხალი სჯობია. ამ უდიდეს განძს—სიცოცხლეს ადამიანი ჰღებულობს მუქთად, უზრუნველად. უარარაოდ და როდესაც ის სხვას არ უნაწილებს ამ განძს, არ ამრავლებს მას, ის ემსგავსება იმ მონას ქრისტე იგავში, რომელმაც ბატონისაგან ერთი ქანქარი მიიღო და მიწაში ჩაფლა.

სიცოცხლე ადამიანს ენიჭება იმიტომ, რომ იმანაც სხვას მიანიჭოს სიცოცხლე. მან უნდა ანაყოფიეროს, ამრავლოს ეს სიცოცხლე—ამას ითხოვს ზნეობრივი იმპერატივი, ზნეობრივი გრძნობა.

მაშასადამე დღევანდელს პირობებში ქორწინება ზნეობრივ სახეს მოკლებულია. ქორწინება საფუძველია დღევანდელის ოჯახისა. ცხადია, უზნეო საფუძველზე დამყარებული ოჯახი ზნეობრივი არასოდეს არ იქნება.

ოჯახის უმაღლესი დანიშნულება შვილების გამრავლება კი არ არის, მისი უწმინდესი მოვალეობაა საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრების აღზრდა.

ოჯახი, რომელიც აძლევს საზოგადოებას აზეფებს, ღირსია ჩაქოლებისა; ოჯახი, რომელიც აძლევს ერს გრაკებს, დიმიტრი ყიფიანებს, ღირსია თაყვანის ცემისა.

რას ნიშნავს საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრი?

ნიშნავს იმგვარ ადამიანს, რომელიც თავისი მოქმედებით ან თავის ცხოვრებით მთელი ერის კეთილდღეობას ხელს უწყობს. ამისათვის საჭიროა, ყოველი მოზარდი ოჯახში ისე იზრდებოდეს, რომ მას ძვალბილში გაუჯდეს გრძნობა, შეგნება მოქალაქობრივი მოვალეობისათვის ერის მიმართ.

ნიჭი თან დაყოლილი აქვს ადამიანს; მისი საიდუმლოება ჩვენ არ ვიცით, მას

ოჯახი ვერ მისცემს ვერავის. ხოლო ოჯახს შეუძლია, შესაფერის აღზრდით ისეთი მიმართულება მისცეს მოზარდ თაობას, რომელიც მას არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ გადაახვევებს საერო კეთილდღეობის გზიდან. ნიჭი ყოველთვის კარგია, მაგრამ არის ხოლმე ერის ცხოვრებაში ისეთი ხანა, როდესაც ნიჭი იმდენად საჭირო არ არის, რამდენათაც მიმართულება.

თუ საზოგადოების ყოველი წევრის გული ერის საკეთილდღეოდ სძვერს, ერის მერმისი უზრუნველყოფილია. თუ ეს პირობა არ არსებობს, ათი, ოცი და ვერც ასი ნიჭი ერს ვერ იხსნის.

სწორეთ ამგვარ ხანას წარმოადგენს ჩვენი ერის ცხოვრება.

ჩვენშია ვეჭილი, ექიმი, მღვდელი, მასწავლებელი, მოხელე, მაგრამ საზოგადოება ერის კეთილდღეობის სურვილით გამსჭვალული არ არსებობს. იმიტომ რომ თვით ოჯახიც არ არის ამის შესაფერისი.

გარწმუნებთ, ბატონებო, სამშობლო დიდი სიტყვაა იმ ადამიანისათვის, ვინც თავითა ჰფიქრობს და გულითა გრძნობს. ჩვენი ოჯახი სამშობლოს იდეის შეგნებას მოკლებულია და ამიტომ მოკლებულია მას ჩვენი საზოგადოებაც.

დაკნინებული და გადაგვარებული საზოგადოება შედეგია დაკნინებული და გადაგვარებული ოჯახისა.

ჩვენი ოჯახი თავის წმინდა დანაშაულებას არ ემსახურება.

შოთას, ილიას, აკაკის, დიმიტრი ყიფიანს სამშობლოს სხვა ოჯახი შეეფერება.

„ქართლის დედაო, ძუძუ ქართველისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“.

უგალობდა დიდებული პოეტი ძველ დედას.

ახლანდელ დედებს როგორღა უნდა უგალობონ ჩვენმა პოეტებმა? ვის უზრდიან ისინი თავისი ძუძუთი შვილებს?

ჭეშპარიტად დიდი წინასწარმეტყველი იყო ბარათაშვილი, როცა ნაღვლიანის გოდებით ბარათაშვილი, როცა ნაღვლიანის გოდებით ახსიათებდა თანამედროვე დედებს:

ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს. რის ქართველობა, რა ქართველობაო!


მერე რა მოჰყვა ამგვარ გათახსირებას შედეგად?

ისეთი ბარბაროსობა, რომელიც ერის ისტორიაში არ მეორდება: საუკეთესო ქართველს თავის სამშობლოში, თავის კარმიდამოში ტყვიით შუბლი გაუგმირეს!

მაგრამ დიდი ცოდვის გამოსასყიდლად დიდი მსხვერპლია საჭირო. ილიაც სწორედ დიდი მსხვერპლია.

დეე, დიდებული ქართველის წმინდა სისხლმა გამოაფხიზლოს, განწმინდოს, ზნეობრივად აამაღლოს ჩვენი ოჯახი და შეაგნებინოს მას, თუ როგორი მოქალაქე ესაჭიროება ჩვენს ბედკრულ ქვეყანას.

ივ. გომართელი.



ნიმუშიანი ჩვენი დასავლეთო ფეხისა

ქართველი ქალი უწინ და ახლა. ჩვენი ინტელიგენცია,
თავად-აზნაურობა და მშრომელი ხალხი.

(წერილი მეორე)

„გამიზრდია ქართველ ქალსა ქართველის შვილი!
ეს ნაღველი დედისათვის მწარე არის და თან ტკბილი“.

სე ამბობდნენ ძველი ქართველი დედები და კიდევაც მთელს ქვეყანას უმტკიცებდნენ, რომ ეს მათი სიტყვები მხოლოდ შელოდრამული ფრაზა არ იყო, არამედ გულიდან ამონახეთქი და ბეჯითი რწმენა. ქართველ დედას ცხოვრების ალღო ჰქონდა ადებულები, მას ესმოდა თავისი დანიშნულება და მოვალეობა, შეგნებულები ჰქონდა თავისი ისტორიული როლი. და კიდევაც პირნათლად და თვალსაჩინოდ შეასრულა მან ეს თავისი როლი!

სად არიან ახლა ძველი ქართველების თანამედროვე ხალხნი, რომელთა ძლიერება ქუნდა ძველ დროში? სად არიან ფინიკიელები, ქაღდეველები, ხოზარები, სარმატელები, ალანები? ისინი განქრენ პირისაგან ქვეყანისა.

ერთს დროს დიდებულ ხეთთელთა, ნაირთა, თუბაღთა, მოსოხთა, ალარდოელთა და კოლხთა თანამედროვე უღორტი—ქართველობა კი დღესაც არის და ცოტად თუ ბევრად შეგნებულად ცხოვრობს. რა უფოთ, რომ ის დღეს ვერ ასრულებს დიდს როლს მსოფლიო ისტორიაში და შესამჩნევ აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებს კაცობრიობის განვითარებაში და ცივილიზაციაში, როგორსაც მისი წინაპრები იღებდნენ?!

რა უფოთ, რომ მას დღეს არა აქვს კარგად განვითარებული მეურნეობა, მრეწველობა

და ვაჭრობა; რომ დღეს ის არ არის შუამავალი კულტურულ ხალხთა შორის, მათი შემართებული რგოლი; რომ ის არ არის მეტალურგიის უპირველესი მცოდნე და მასწავლებელი ძველი ელინთა, როგორც ოდესმე იყვნენ მათი წინაპრნი? (იხ. „ქართველთა უძველესი კულტურა და როლი მსოფლიო ისტორიაში“ (მეცნიერი მორგანოს აზრი) „კრებული“ აკაკის 1900 წ. № 11.

უთვალავ საუკუნეების გრიგადს გადავლია ქართველების თავზე და ისინი მაინც, რაღაც სასწაულოთ, დღემდის შენახულან, არ გამქრან!

უმთავრესი მიზეზი ასეთის იშვიათის მოკლებისა ქართველი დედა იყო.

ძველ ჩვენ დედას თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი სამშობლო; ამ სიუყვარულში ის ხედავდა დაუშრეტელ წყაროს სიამოვნებისას. ეს გრძობა მას ამხნელებდა და სხვა სუვევლადიერ ეგოისტურ გრძობებს უსუსტებდა.

„...თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,

„მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,

„და აქამომდე არ მოკვეთე ჩემი ცხოვრება:

„ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლებმა!

„...ერთი შვილი მყავს ყსავარელი და სანატრელი,
 „იგია მარტო თავის დედის ნუგეშ მცემელი,
 „იგია ჩემი სიცოცხლე და სიხარული,
 „იმითი მიდგა უძლურ ტანში უძლური სული,
 „ჩემი სიბერის მისაყრდომად ისლა მშთენია,—
 მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია“...
 („დედა და შვილი“).

ასეთნი იუვენგნ ძველი ქართული დედები!
 ასეთს ქვაკუთხედს ქართული ისტორიისას
 შეადგენდნ ისინი. მათ ესმოდათ ცხოვრების
 შიშინარება, ესმოდათ მამულის მდგომარეობა
 და ამასთან იცოდნენ თავიანთი წმინდა
 მოვალეობაც.

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
 „კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
 „რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 „სულიც თქვენი გამოყოლოდათ!
 „ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი
 „მამულს ასული, ახლა თქვენგვარი!
 „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
 „გარდაუტვალა მათ გული ცხოველ!
 „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს
 „ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
 „რის ქართველობა, რა ქართველობა!
 „მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?..
 („ბედი ქართლისა“—ნ. ბარათაშვილის).

რას ცვლილება მოხდა ქართულ დედებში
 მეცხრამეტე საუკუნეში? რაში გამოიხატა
 „გარდაცვლა მათი ცხოველ გულისა“, რომე-
 ლიც, ჰოეტის ფიქრით, „ქარმან ჩრდილო-
 მან“ მოახდინა?

რას ქარი იყო ეს?

მეთორმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებით
 დასრულდა ტრაგიკული და გმირული ისტორია
 ქართული ერისა.

ის მეტის მეტი ჭრილობისაგან დაუძღურ-
 და, მოიქანდა. ვერც „პატარა კახის“ თავ-
 განწირულმა ბრძოლამ, ვერც მის განსაცვიფ-
 რებელ ძველ-მოსილობამ, ვერც მისმა სამ-
 ხედრო გენიოსობამ, ვერც ქართულ გვართა

თავგანწირვამ, რომლებიც ამბობდნენ: „მეც
 გაგვიწირება ღმერთი და ვერ განვდევნეთ
 შტრის ძალი, იუფს შერცხევილ, ვინც ჩვენ-
 გან შინა წავიდეს ცოცხალი“ (გრ. ობოლია-
 ნი),— ვერაფერმა ვერ უშველა დაჭრილ დაი-
 რაგებულ საქართველს!

ჯერ ისიც გასაკვირველია, როგორ და რა
 სასწაულებრივ ძალით მოადწია საქართველომ
 მეცხრამეტე საუკუნემდის? როგორ შეიძინა
 მან „ენა, საუდარი, საწმენოება“! როგორ
 დაიცვა თავისი ეროვნება!

ის თუმცა საშინლად მოუძღურდა, სასი-
 ცოცხლო ძალაც არ ჰქონდა, მაგრამ იმდენი
 სულის სიმხსევე მაინც გამოიხინა, რომ ხე-
 ლიდგან არ გააგდო ქრისტიანობის და ეროვნე-
 ბის დროშა და თავის ერთ მოწმუნე ერს
 გარდასცა დასაცველად „СВОЮ ПОКОРНУЮ,
 НО НЕ ПОКОРЕННУЮ КОРОНУ“, როგორც
 ამბობს ერთი რუსი მწერალი.

მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც მეთორმეტე
 საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის პირველ
 წლების წიწვა-გლეჯამ საქართველოს ერი
 მოდალა, ქანტი გაუწვიტა, თავისი თავის
 იმედიც დააკარგვინა და, რასაკვირველია, რომ
 როცა შემთხვევა იოცნა, ერმა თავი თითქმის
 მოსვენებას მისცა და თითქმის ხმა-ამოუღებ-
 ლი დაემორჩილა ახლად მოვლენილ სკუბედ-
 სს, მაგრამ ამ ილაჯ-გაწვევტილის, ღონე-
 მისდილის ერის ხმა-ამოუღებლობა ეძინევა
 მარტო ამ საუკუნის პირველ მეოთხედის
 წლებსა. მთელი ეს მეოთხედი საუკუნისა ისე
 გავიდა, რომ თვითველი ცალკე კაცი და მთე-
 ლი საზოგადოება საერთოდ თავბრუ დასხმე-
 ლივით გაჩინდებულ იყო და საქვეყნო არც
 ხალისი, არც ღონე გამოუჩენია არც უკან
 მიხედისთვის, არც წინ დანახვისთვის, თითქმის
 დიდი ნისლი მოხვევათ და ელთან, აცა გადი-
 უარესო, ან თავზარი დასცემით და გამოურ-
 კველ ელდას შეუკრავსო („ის ილია ჭავ-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭავჭავი „მოკლე ბიოგრაფია ვახ. თბილისისა“).

ასეთს სურათს წარმოადგენდა საქართველო მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში!

მაგრამ ნუ თუ მართლა მთლად შესწავლა სიცოცხლე საქართველოში? ნუ თუ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა ქართველს ერს? ნუ თუ მაჯა არ უცემდა მას?

მაჯა უცემდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ უმიზნოთ დროს გატარებისთვის. ქეიფი, ცეკვა-თამაში, არშეობა, მითქმა-მოთქმა, ჭკრიკანობა — აი რითი შეიცვალა ძველებური ქართული გონივრული და აზრობის ცხოვრება! ქართველს დაავიწყდა თვისი მრავალტანჯული საქართველო; დაავიწყდა თვისი მამულიშვილური მოვალეობა; დაავიწყდა თვისი გმირული წარსული. მას არ ესმოდა ახალი გარემოებების მიხედვით ახალი თვისი მოვალეობა და მოწოდება.

თვეში თავიდან აუროდებოდა, ნათქვამია. ქართველ საზოგადოებასაც ეგრევე მოუვიდა.

ძველ ქართველ წარჩინებულებთან და ინტელიგენტთა ოჯახებს პირველად დაეტოვა გადაგარება და ფუქსავატობა. „ქარი ჩრდილთს“ პირველად მათ მოხვდა, ზოგს ჩინ-ჯინჯილებმა და ფულებმა აურიეს გონება, ზოგს ვეჩერებმა, მასკარადებმა და ბალებმა თავბრუ დაასხეს. ახლა ისეთი დრო იყო, როდესაც პირად ინტერესების მიმდევარს შეეძლო შემთხვევით ესარგებლნა და ხელი მოეთხო. უწინდელი მხნე, გაუტყნელი და სამშობლოს ერთგული ქართველი ტიპი შეიცვალა. მაგრამ ვაი ამ ცვლილებას!

უწინდელი პატრიოსანი, მოუსუიდეული ქართველი ბეზღობას და მოღალატობას შეუდგა. უწინდელი გმირი, ამის ველზე ღომივით მეტროდი და მტრის თავზარ დამცემი, ახლა მასკარადებში ღაველასობდა და ბალებში ქეიფობდა, ან და ჩინ-ჯინჯიდის გულისთვის მუხლს იერიდა „ამ სოფლის ძლიერთა წინა-

შე“ და „ბალი აღარ“ უგალობდა, უკრავდა იქცეოდნენ ამ დროს ჩვენი ქალები? რითი შესცვალეს მათ წინანდელი ქართველ დედის წმინდა მოვალეობა? რა გახდა ეს უმთავრეს მიზნათ ცხოვრებისა?

რა შინაარსის იყო ახლა მათი „ნანინა“?

სამწუხაროდ „სათნო სოფიო“, სოლომონ მსაჯულის ცოლი, სხვა ენით „მოყდურტულე“ „მაშინკებმა“ შესცვალეს. წინანდელი გმირების ამღობრდელი ქართველი დედა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და ნათლად შეგნებული ქმონდა თვისი მისდამი მოვალეობა, ახლა უსირცხვოდ და კისკისით ამბობდა:

„მომწონს კალინა, მალინა,
„მძულს ვარდები და იაო!
„სამშობლო რასა მიქვიან.
„მეწყერსაც წაუღიაო“... (აკაკი).

„ტანცი-მანცია“, მასკარადები, ბალები უფრო იზიდავდა მაშინ ქართველ ქალის გულს, ვინემ ოჯახი, შვილის აღზრდა და მამულის სამსახური.

ძველი ქართველი დედა თვის „ნანინაში“ მამულის სიყვარულს და მისთვის თავგანწირვას უმდერდა ნორჩს შვილს:

„...ღელათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი
თუ მისთვის არ მოკვდება!!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლან ღელას
შვილი არ ჰყვარებია!“
„მე ისე არ წავებდები,
„ნანა, შვილო, ნანინა! (ილია).

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ეს „ნანინა“ მთლად შეიცვალა.

ქართველ ქალების „ნანაში“ ახლა სულ სხვა თხავნა და სურვილი ისმოდა. სამშობლო! სიყვარულის ნაცვლად დედა

ახლა შეიძლება ჩიხ-ბრძენების სიყვარულს ჩას-
ჩინებდა; ბრძენის ველოს და გმირული
სიმამრის ნაცვლად ახლა მოხდენილ „კავალ-
რობას“ და კეკელეთა გულის დაზერობას
უნატრიდა.

მისი „ნანინადგან“ ამომშალა ღვთიური
სიტყვები „სამშობლოს სიყვარული“.

ეროვნობა?

„რის ქართველობა, რა ქართველობა!

„მითომ რას გვაგნებს უცხო ტომობა?“

(ბარათაშვილი)

აი სამარცხვინოთ რანაირად „გარდაცვალა
ქართველ დედას წინანდელი „გული ცხოვე-
ლი“!

ამისთანა ვითარებაში მოსალოდნელი იყო,
რომ ქართველი ერი დაუძღურდებოდა, და-
ღანდებოდა; ერთის სიტყვით სულს დაღუგ-
და, მოკვდებოდა. მაგრამ საბედნიეროდ ეს
ასე არ მოხდა!

ქართველი ერი ახალ გარემოებათა ზედ-
გავლენით მხოლოდ დროებით დარეტიანდა,
დროებით შეიცვალა გული და დაივიწყა თვი-
სი გმირული წარსული. ახალი ცხოვრება, ახა-
ლი საქმეთა ვითარება მას მაჯღაჯუნასავით
თავს დააწვა და სტანჯავდა.

სძინავდა ქართველს ერს, და მხოლოდ
„ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი ქართლის
ძიღშია კენესა ისმოდა“.

და ეს კენესა იმის მჩვენებელი იყო, რომ
ქართველს ტრი მთლად არ მომკვდარიყო, მხო-
ლოდ სძინავდა.

ჩუმად, ხმა-ამოუღებელივ, ცოტ-ცოტათი
მუშაობდა ქართველის გონება, აქა-იქ, თუმცა
კი ცაღ-ცაღკე, ბუუტავდა სიცოცხლე; სცემდა
ქართველის მაჯა.

დღეს თუ ხვალ მას უსათუოდ უნდა გამო-
დგობებოდა, „აქეთ-იქით მიეხედნა, ყოფილ-
ზედაც თვალი გადაეგდო და არსებულზედაც“.
ასეც მოხდა... მაგრამ აქ სიტუვა დაუთმოთ
ილია ჭავჭავაძის, რომელსაც მშვენიერათ აქვს

დახატული ეს ხანა ჩვენი ცხოვრებისა, — ხანა
გადვილებისა.

„...დაიწყო მეორე მეოთხედი ამ საუკუ-
ნისა... ცხოვრებამ უკეთესნი კაცნი, სამშობ-
ლოს სიყვარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-
იქით მიანედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გა-
დაავლებინა, და მოიკითხეს — რა წაიდო ძველ-
მა და რა მოიტანა ახლამა. ამ მოკითხვამ
შესძრა გონება და გული მაშინდელი უმაწვილ-
კაცობისა. მოძრაობამ კიდევაც შეჭკრა ის
ბრწეინვალე წრე გონება-გახსნილი უმაწვილ-
კაცობისა, საიდგანაც გამოვიდნენ თ. გრ.
ორბელიანი, დ. ეოფიანი, ორი გიორგი
ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და
კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარა-
თაშვილი, ვახტანგ ორბელიანი და ბევრნი
სხვანი, რომელთაც სახელგანთად იხიეს თავი
ზოგამ ლიტერატურაში, ზოგამ საზოგადო-
და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმინდა-
თა წმინდა იყო სამშობლოს სიყვარული, რა-
მელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე
გაიწია მათდა სასახელოდ!!.

ამ „ბრწეინვალე წრეს გონება გახსნილ
უმაწვილ კაცობისას“ ასე თავგანწირულად უუ-
ვარდა სამშობლო იმისთვის, რომ ის მრავალ-
ტანჯულ-წამებულ იყო; იმისთვის, რომ
მას გამოეზრდია დიდ სულგანნი გმირნი;
იმისთვის რომ მან ბევრი წმინდა ანდერძი
დაუტოვა თავის შვილებს; იმისთვის რომ
„დღევანდელ ნანგრევთა შუაგ კი ანთებს
ძველთა მამულის შვილთა დიდ ბუნებოვანო-
ბის ღამზარი“...

„და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება
„და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვალად
ადგება

„და თუ აქამდის არ დავკარგეთ სიბოლო გულისა,
„იგი მაღლია იმ ნათლისა წმინდის ღამზარისა“...

ასეთი რწმენით იყო გამოსტავებული ეს წრე;
ასე ჭქნდა მას შეგნებელი რელი უწინდელ
ქართველებისა. და ქართველობის მცირე ნა-



წილის ასეთი თვისის თავის შეგნებაც, მის მიერ გათვალისწინება სამშობლოს წარსულისა, გონიერი დაფასება „ყოფილისა და არსებულისა“ უტყუარი საბუთი იყო იმისა, რომ საქართველოში შეჩერებულ მაჯას კვლავ დაუწყია სასიცოცხლოდ ცემა; რომ თავბრუ დასხმული საქართველო კვლავ მოსულა გონზე.

ხალხის თავის შეგნებაზე, თავის წარსულის ცხოვრების ცოდნაზე შენდება მისი მამაკალი. ეს შეგნება საძირკველია, რომელზედაც უნდა აშენდეს ერის ახალი ცხოვრება.

წარსული ღვაწლი, შრომა, თავდადება, მისწრაფება, იდეალი, ერთის სიტყვით წარსული კულტურა ედება საჩუქრად ახალ ცხოვრებას და ასეთ თუ ისეთ ელფეერს აძლევს მას.

რომელ საღმრთოებს ეს თავის წარსული დავიწყებია: არ იგონებს წარსულს ღვაწლს და ნამოქმედარს, იმას კი არ ეწოდება, არამედ უბრალო ინდივიდუალთა კრებულები, ბრბო.

აი რას ამბობს შესანიშნავი სწავლული რენანი ამ საგნის შესახებ:

„ერი ზირველ ყოვლისა არის სული ანუ დიდებული ისტორიული პრინციპი. ორი ფაქტი წარმოშობს ამ სულს და ქმნის სასიცოცხლო ეროვნულს იდეალს; ერთის მხრით პატრიონობა საზოგადო სამკვიდრო მოგონებთა, მეორეს მხრით სიცოცხლისა და შრომის სურვილი ამ ძვირფას ისტორიულ მოგონებთა შესახებ. ამ სახით ეროვნულს გრძობაში ნამუკანდამი სიუვარული განუმარებლად შეკავშირებულია ბრწინავალი მამავლის იმედებთან. ჭეშმარიტი დიდება, ეროვნულ გმირთა ღვაწლისა და წარსულ შაკ დღეთა მოგონებანი, თავის ხალხთან ერთად ტანჯვის, სიამოვნებისა და იმედის სურვილი. აი რა შეადგენს ეროვნების არსებითს მხარეს“. (ფილოსოფიური დიალოგები).

ეს ასეა, მაგრამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანა-

ში სულ წადმა-უკუღმა ესმით სუვევალსაფერი ზოგიერთ ვაჟბატონებს.

მათის აზრით ვეგლას რეტროგრადი, ობსკურანტი და კონსერვატორია, ვინც ხალხს-ნობაზე, წარსულის ნამთების შეგნებ-შესწავლაზე, სამშობლოს და მისი წარსულის სიუვარულზე ხმას ამოიღებს და სხვასაც მიუთითებს მათზე.

სულ სხვაა, როდესაც ვინმე ინგლისის ფაბრიკებზე, კაპიტალისტებზე, საზღვარ გარეთის ბაზარზე და დიალექტიურ მატერიალიზმზე დაიწყებს სჯაბას. აი სწორედ თანამედროვე განათლებული, მოწინავე და პოეტური კაცი ის არის!

რისთვის, ბატონებო? განა „ხალხის ცხოვრების უკან ჩაჩხის დამტრიალებელია“ ის, ვინც ცდილობს და თანაუგრძობს იმ „დიად ისტორიულ პრინციპს“, რომელიც საძირკველად ედება ერის ცხოვრებას?

რა შეადგენს ამ „დიად ისტორიულ პრინციპს“?

მოგონება მამა-პაპათა საგმირო საქმეების; მოგონება იმ ტანჯვა-წვალების, რომელიც ხალხს გამოუვლია; სურვილი ხალხთან ერთად წამებისა; შესწავლა ძველი მწერლობისა და ნამთებისა...

თუ ეს ასეა (ასე ფიქრობს დიდებული რენანი და ბევრი სხვა), მაშ ვინ არის თავისი ერის მეგობარი. ვის უუვარს ხალხი და ვის შესტოვას მასზე უფრო გული: იმას, ვინც უბრალო დროს დაკარგვად სთვლის „დიად ისტორიულ პრინციპის“ შესწავლას, თუ იმას, ვინც ამ შესწავლაზე უთითებს, რადგანაც მას სთვლის ხალხისნობის უმთავრეს საძირკველად? მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს საგანს... ჩვენ ვსთქვით, რომ ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა მეცნიერებულ სუვევინის მეორე მეოთხედში.

აი რას ამბობს ნ. ბარათაშვილი მამინდელ რჩეულ ქართველ ახალგაზრდებს, რომელთაც თვითონ ეკუთნოდა: „ლიტერატურა ჩვენი,



ღვთით, ღვე და ღვე შოულობს ახალთა მო-
ყვარება. მრავალნი უმაწვილნი კაცნი, მაც-
ლილნი სამსახურითგან, მუდრეობაში და
მარტობაში, შეეწვიან მამულის ენას, რა-
დენიცა ძალუდთ. ესე საზოგადო სული ბუნე-
ბითის ენის ტრფიალებისა უმაწვილ კაცთ
შორის აღმოჩენის, რომ ქართველთ არ სძი-
ნავთ გონებით!“ (წერ. IV, 1841 წ.)

ესეც კარგი ნიშანი იყო. დაჭრილი გმირი,
სასიკვდილოდ გამოხადებული ან, უკეთ რომ
გნებავს, სიტყვების უფულოდ ნიშან-წყალს
მოკლებული, თურმე მთლად არ მომკვდარა.
სადღაც მის ტანში კიდევ დარჩენილია ისეთი
ადგილი, სადაც სიტყვებზე ბუბუტავდა. ეს
იმედს იძლეოდა მაინც, რომ შესძლებულია
გმირი ერთს დროს გაცოცხლდეს!

რა მონაწილეობას ეძებდნენ ქართველი
ქალები ამ დროს ცხოვრების მსვლელობაში?

სამწუხაროდ, როგორც ხანს ბარათაშვილის
წერილებიდან, ჩვენი ქალები დიდად უკან
ჩამორჩნენ მაშინდელ უმაწვილ კაცებს... მათ
მთლად დავიწყებოდათ თვის ბრწინვალე წარ-
სული, თვისი ქვეყნისადმი მოვალეობა, თვისი
სამშობლო ენა.

მაშ რას წარმოადგენდნენ ისინი?

აი როგორ ხანისათვის ნ. ბარათაშვილი
ერთს მაშინდელ მაღალ საზოგადოების ქალს:
„კატო მომიკითხე, მეტად ბევრს თურმე ღა-
პარაკობს? ეგ ხომ წიგნს ვერ მომწერს და:
ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, უცხრც
ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზე
დაწვწერს?“ (წერილი XII, 1845 წ.).

რასავიგრძელებია კატოსთანა გადაგვარების
გზაზე მდგარი ბევრი იქნებოდა მაშინ ტფი-
ლისში.

ზოგჯერ მკვირცხლ გონებას შეუნიშნავს
თანამედროვე ცხოვრების ასეთი ანომალური
მოვლენა და მწვავე ირონიით გაუვიცხავს
კიდევ. ზოგჯერ კერძო წერილებიდან ვტყუ-
ბილობთ ჩვენ იმასაც, თუ რა შეადგენდა ჩვე-

ნი ქალების მისწრაფებას და რთოვნილობას
ისინი თავს.

ზირველი მათი თავმჯს-ქცევარი იყო ჭო-
რანობა.

„მაიო, ეს რისთვის არის, რაკი შენ მაგ
ქალაქში ჩამხვალ ქართლიდან, მაშინვე ჭო-
რანობა უნდა გაჩნდეს?“ (წერ. XII).

„თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწერს ბარათ-
აშვილი მეორე წერილში, სწორე გითხრა,
ბევრი ჭორონობაა და ჭირონობა; ორივე ერ-
თია; მაგრამ ჭირი ტუეულია ამ ხელად და
ჭირი კი მართალი,—დიდი დამკერებათა ქა-
ლებისა; დიდი აყალ-მყალი; დიდი ტირილი;
დიდი ღამის თევები; დიდი წვეულებები
ერთმანეთის ჯავრით“ (წერ. III, 1841 წ.).

აი რა უშინასრო და ქარაფშუტული იყო ჩვე-
ნი მაშინდელი დედების ცხოვრება! შეგახსო-
ბის, შვილების აღზრდის და განვითარების
ხაზვლად ისინი „დიდ წვეულებებს“ მართავ-
დნენ თურმე და ისიც „ერთმანეთის ჯავრით“.

ქართველი დედები ერთმანეთს ეჯობებო-
დნენ არა გამრჯელობაში, სათნოებაში, ზიე-
ბის სისხეტაკეში და ნამდვილ მამულის შვი-
ლობაში, არამედ ჭორობაში, წვეულებებში და
უაზროდ დროს გატარებაში.

ამანიხად, ახალ გარემოებათა ზედგავლენით
შებლადული ტიპი ქართველ დედისა მეორ-
მოცე წლებშიც არ გამოკეთებულა, თუმცა
დრო კი იყო იმასაც სასიტყვებო ნიშნ-წყა-
ლი გამოეჩინა.

როგორ მოხდა ეს?

ჩვენი აზრით აი საქმე რამაა:

ამბობენ, რომ ქალი მამა კაცზე განსერვა-
ტორია. მართლაც რაც შეეხება განებრივ-
ზნებობრივ და სარწმუნოებრივ მხარეებს, ამა-
ში ქალი მამაკაცზე განსერვატორია. მას უკ-
ველ ტეშმარიტებად მიანხია ის, რაშიც მამ-
აკაცმა ეტვი შეიტანა და კიდევ სურს შეს-
ტვადოს და უკუაგდოს. ქალი უფრო დიდხანს
ებლადუტება ერთს დროს ტეშმარიტებად აღია-



რებუდ აზრებს და სარწმუნოებრივ ტრადიციებს, რომლებიც ცხოვრების ზნეობისი უღიანი მიმდინარეობით კარგა ხანია უარ ეთფილი და უგუგდებულაია. მხოლოდ ერთში კი ქალი მამაკაცზე უფრო მოძრავია: ეს განსაზღვრულია სუფიერის, რაც გარეგნულია, რაც საგნის ფორმის შეგნება, შეთვისება.

აქ კი ქალი მამაკაცზე უფრო ცოცხალი, შვეინცხლი და შემთვისებელია!

წამბაძველობაში მას მამაკაცი ვერ შეედრება. ქალი უფრო მგრძობიერია სუფიერაფერში, რაც მას გრძობას უდიტინებს; მას იზიდავს და ამდეჯავრებს ის, რაც ხშირად მამაკაცებისაგან შეუნიშნავი რჩება.

ქართული ქალიც, რასაკვირველია, ამ სოციალურ კანონს ექვემდებარება.

მეტწამეტე სუფიერებ სხვათა შორის ჩვენს სოციალურებაში ცხოვრებას ფერი შეუცვალა: რუსების და მხედრობის შემოსვლით შემოაშუქა ჩვენში, ეგრედ წოდებულმა, ევროპული ცივილიზაციამ. რასაკვირველია ეს ცივილიზაცია ზიჯველად გარეგნული იყო. გაიზრთა ბაღ-მანკარადები, საღამოები, შემოტანილ იქმნა ევროპული ტანისამოსი, მოქცევა. განდნენ მუნდირებში გამოწკიბული აფიცრები ბრჭყვიალა ეზოლებით.

„ქარმან ჩრდილკოსმა“ სხვა უფრო სავულისსიმო მოვლენებთან აი რა მოჭბუკრა საქართველკოს! და სხვათა შორის ეს განდა იმის მიზუნად, რომ ჩვენ ქალებს შეეცვალათ ოდესმე „გული ცხოველი“.

მათ თავბრუ დასსხ ასეთმა „ცივილიზაციამ“. დამათი დაბრმავება და დარეტიანება გრძელდებოდა იმ დროსაც კი, როდესაც გამოფინილბებული ჩვენი ახლთაობა უკვე შეუდგა მოქმედებას და ახალ-ცხოვრების ფორმებისათვის ემზადებოდა.

როდემდის გაგრძელდა ასეთი ქარაფშუტობა ჩვენი დედებისა? როდის ჩავარდნენ ისინი გულისხმაში და სავრანებელში?

გადაჭრით ჩვენ არ შეგვიძლიან გამოთხვებზე მასუხი მივცეთ, მხოლოდ ვიტყვი, რომ წარსულ სუფიერის უკანასკნელ მეოთხედს ეკუთვნის ხანა ჩვენი დედების გამოდგობისა. ამ ხნის განმავლობაში გამოჩნდნენ ჩვენში მოდგაწე და შეგნებული ქალები სხვა და სხვა ასპარეზზე: ლიტერატურაში, ზედაგოგიაში, მსახიობობაში და სხვა სოციალურ საქმეებში. სოციალმა მათგანმა სუფიერადებო ტალანტი გამოჩინა ლიტერატურაში, კერძოთ ზოგიაში; სოციალ კი უანგაროთ ემსახურება ახალ თაობის აღზრდის საქმეს; სოციალ წასაბაძავი და სსარტებლო საქმე ითავა ქალაქ-სოფლებში და სხვა და სხვა ადგილებში?

ოჯანსაც დაუბრუნდა ქართული დედა; მან უფრადლება მიაქცია შვილების აღზრდასაც.

მაგრამ სამწუნაროდ აქ ისიც უნდა დავსძიონოთ, რომ ასეთი დედები ძლიერ იშვიათი მოვლენაა დღესაც ჩვენს სამშობლოში. უმრავლესობა ჩვენის დედების დღესაც რაღაც გარკვეველ მდგომარეობაში დარჩა და გზავალ აბნეული არის. ესენი „ქართულ დედებია“ მხოლოდ შთამომავლობით, სხიით, გარეგნულად. სულიერად, მიმართულებით, ზნე-ჩვეულებით, მისწრაფებით ისინი რაღაც კარიკატურებია. უწინდელი ჩვენი დედების დიკსება მათ არ ამშვენებს. არც გაეგებათ და მოწადინებულნიც არ არიან გაიგონ თურა დიდი მნიშვნელობა აქვს ერისთვის ერთგული თვისებების და სუნჯის დაცვას. აბა დაუგვირდოთ ინგლისელ ოჯახს. სადაც გინდა გადასახლდეს ინგლისელი: ავსტრალიაში, აფრიკაში, ან სადმე მივარდნილ კუნძულებში, ის ვეგლკან ინგლისელია, მის ოჯახში ვეგლკან მშობლიური საუბარი ისმის; შვილები ინგლისურად იზრდებიან, ინგლისის ხალხი, მისი წარსული, აწყო ამ გარდასხვეწილ ოჯახისთვის წმინდათა წმინდას შეადგენს. მომეტებული ნაწილი ინგლისელია, როგორც ადებ-მიმცემლობის

მიმდევარი ხალხი, სამშობლოს გარეშე ცხოვრობს, უმეტეს ნაწილს თვის სიცოცხლისას უცხოეთში ატარებს. მაგრამ დახედეთ, როგორ მშვენიერად, შეუბღალველად ღაპარაკობს სამშობლო ენაზე; როგორ ინახავს თვის ინგლისელობას ოჯახში, ჩაცმა-დახურვაში, უბრალო მიხვრა მიხვრაშიც. ეს რასაკვირველია ხელს არ უშლის მას სხვა ენაც შეისწავლოს, სხვის ცხოვრებას დაუკვირდეს, სხვისი კარგი შეითვისოს.

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ ნემეცუბის კოლონიებში, რუსეთში, რომლებმაც რამოდენიმე საუკუნეა თვისი მიწა-წყალი მიატოვეს და აქ გადმოსახლდნენ, მაგრამ დღემდინაც ნემეცური ელიფერი არ დაუკარგავთ.

რა სურათს წარმოადგენს ჩვენი ქართული ოჯახი? ოხ, ღმერთო ჩემო, გული სისხლით მივსება, როდესაც მისი თანამედროვე ვითარებას გავიხსენებ!

ინგლისელი ოჯახი ავსტრალია-აფრიკაში ინგლისელათავე რჩება, ჩვენი კი ჩვენივე სამშობლოში გადაგვარების გზას ვადგივართ.

ოხ, სირცხვილო და დამცირებავ! სად, რომელ ქალაქში ხდება ესეთი მოვლენა, შეიძლება მკითხოთ.

მაგალითი გნებავთ? მე განმათავისუფლე, ჩემო მკითხველო, მაგალითის დასახელებიდან? ან რა საჭიროა მაგალითის დასახელება, როდესაც მეც, თქვენც და ყველა ქართველი ასეთის მაგალითების ასჯერ და ათასჯერ მხსნელები ვართ...

ჩვენს ყველა დაბა-ქალაქებში ბლომად მოიხილება ასეთი ოჯახები.

განა მეც და თქვენც არ ვინცნობთ ათობით და ოცობით ასეთს ოჯახებს?

მერე რაში გამოიხატება თავდაზირველად ნიშანი ამ გადაგვარებასა?

ქართულ ენის გარეგნაში, მის უცოდინარობაში!

განა ცოტაა ჩვენს კურთხეულ დაბა-ქალაქებში დღესაც ბარათაშვილის შიკოხთანა სამარცხვინო და საზიზღარი ეგზემპლარები??

განა ჩვენც არ გვეთქმის ბარათაშვილივით ბუერს ჩვენს დედებზე: „ქართული იცოდა, ისიც დავიწეობა, უცხოც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზე იღაპარაკებს?“

მიბრძნით ჩვენს დაბა-ქალაქებში, დააკვირდით ზოგიერთ იქაურ ვითომდა ქართველ ოჯახებს და მშინ დარწმუნდებით ამაში.

და ამ სამარცხვინო მოვლენაში დედ-პაატებს მეტი დანაშაულობა მიუძღვით, ვინემ მამაკაცებს. „სხვა ენით ამოყდურტუელდა, ეცარებოდა ქართული“-ო, აი როგორ ახსნათებს აკაკი ამ ახალ ფორმაციის ქალებს.

განა სამარცხვინო და სავალალო არ არის, რომ ქართველ ქაღს ქართული ღაპარაკი „ეცარებოდეს“?

განა ამ „სხვა ენით აყდურტულებიდან“ არ იწყება დაცმა ჩვენის ენისა, მისი გარეგნა-გაფუჭება?

მერე ხომ ყველასათვის ცხადაა, თუ რა მომავალი მოკლის იმ ერს, რომელმაც სამშობლო ენა გაირეგნა და გადავიწია? სიკვდილი...

ენა ერეგნების სულარია. მასში დაცულია ხალხის სულის, გონების და ზნეობის გამოყდარება, ზრდა და განვითარება.

ენა სარკება, სდაც ერი, მისი მისწრაფება, იდეალები და ხსნათი ნათლად გამოიხატება.

ის ცენტრია, სდაც თავს იურის წარსული და აწმეო ერისა.

ის ცოცხალი ისტორიაა ერის ბედიდბლი-სა, ზრდა-განვითარებისა, ზნე-ჩვეულებებისა.

ენა დედა ძარღვია ერეგნებისა. როდესაც ეს ძარღვი შეწყდება—ერეგნებაც გაქრება; როდესაც ის შესუსტდება—ერეგნებაც სუსტდება; როდესაც ის გაირეგნება—ირეგნებს ერეგნების ხსნათიც...



„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,

„წაეცხოს ხირქი ტაძარსა წმინდას“...

მერე როგორ ექცვიან ამ საუნჯეს, ამ უმთავრეს ძარღვს ეროვნებისას ჩვენს ოჯახებში, კერძოდ—ჩვენი დედები?

ვევლასათვის ცხადია, თუ როგორ სუსტობს ქართული ენა ჩვენს ოჯახებში. ჩვენი ინტელიგენციის ოჯახებში თქვენ იშვიათად გაიგონებთ ქართულ ბასს და განბმულს მსჯელობას რომელსაღე ერთს ენაზე. აქ რაღაც დამხალივით ურევენ ერთმანეთს რამდენსაღე ენას. წინადადებას ისე ვერ იტყვიან, რომ ორი ენა ერთმანეთში არ აურიონ.

რათ მოხდა ეს? რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩვენი ეროვნულ ნიადაგს ამცდარი აღზრდა-განათლება! გადაათვალიერეთ ჩვენი საშუალო სასწავლებლის პროგრამები და თქვენ დაინახათ, რომ მათში ქართველ ენას ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს. ამნაირად ბავშვებს საშუალება არაა აქვთ სასწავლებლებში სისტემატორად მშობლიური ენა შეისწავლონ, ქართულ ლიტერატურას და ისტორიას გაეცნონ.

თუ ეს ასეა მაშ ვინ უნდა აღუვსოს ჩვენ ბავშვებს ნაკლი სასწავლებლებისა? ვინ უნდა შეასწავლოს და შეაუვაროს მას მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია? ოჯახში, კერძოდ დედამ...

ასრულებს ჩვენი ოჯახი, ჩვენი დედა ამთვის წმინდა მოვალეობას?

ჩვენდა სამარცხვინოდ, არა!

„ქართული ახლა საჭირთა არ არის, სასწავლებლებში. სულ სხვა ენის ცოდნას საჭიროა და ეს ენა უნდა შევასწავლო ჩემს შვილს თავდაპირველად, ქართული ცოტად იცის და შემდეგაც მოასწოროს შესწავლას—ასე მსჯელობს ახლანდელი ქართველი დედა.

მერე მიიხვდარნი არიან ჩვენი დედები, თუ ასეთი აზრით და საქციელით როგორ უთხ-

რიან ძირს ეროვნებას, როგორ უმზადებენ ნიადაგს სამშობლოს გადაკვარებას?

ეს ხომ თვითმკვლელობაა ერისა?

მაშ ნუ თუ ქართველი ერი ისე დაუძღურა, დაძაბუნდა, იმედი გაუქრა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ იძულებულია თვისივე საკუთარი ხელით თავი მოაკლას და ისტორიულ სტენიდან გავიდეს?

შეიძლება გვითხრან: ეს სრულებით არ ნიშნავს ერის სიკვდილს; ქართველ დედას შეუგნია სიმწვავე არსებობისა და თავის შვილს იმ იარაღს აძლევს, რომელიც უფრო გამოსადეგია არსებობისათვის ბრძოლაში.

ასე კია? ეროვნულ ნიადაგს ამცდარი აღზრდა უფრო კარგად ამზადებს კაცს არსებობისათვის ბრძოლისთვის? ის იარაღი, რომელსაც ქართველი დედა ცდილობს მისცეს შვილს ხელში, ვითომ უფრო მჭრელი და მსხვილია? სრულებით არა!

ვევლა გამომჩენილი შედაგოკები და სწავლებლები იმ აზრისანი არიან, რომ აღზრდა განათლება უსათუოდ მშობლიურ ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული, იქიდან უნდა იღებდეს სათავეს. ცნობილია, რომ ხალხი, რომელიც თავის ენით ვითარდება და წინ მიდის, ის უფრო მდლა იყვას გონებით, ზნეობით და განათლებით; ის უსწრობს ბევრს ისეთს ხალხებს, რომლებიც მოკლებულნი არიან ამ ბუნებრივებს.

ეროვნული ნიადაგი ამნაირად ძირთა აღზრდისა. თუ ეს ძირი მაგარი, შეურეველი და და საფუძვლიანია—ტანიც და შტოებიც ნაყოფიერი და ძლიერი იქნებიან.

მაშასადამე შეუგნებელი და გონება შემოფარგლულია ის, ვინც შვილის აღზრდას ამ ნიადაგს აცლის და სურს სულ სხვა საფუძვლზე დაამყაროს ის.

ასეთი ზირი ჩვენ სწორედ სახარებაში გამოყვანილ იმ სახლის უჭკუო მშენებელს მოგვაგონებს, რომელმაც სახლი ქვიშაზე ააშე-

ნა. მოვიდა წვიმა, დაჭებრა ქარმა და სახლიც წაიქცა...

შეუგებლები და მართალ გზას ამცდარნი ჩვენი დედები ხარობენ და ცას ეწევიან, თუ მათი შვილი ატიტიანდა ადრე უცხო ენაზე. მათ ჰგონიათ, რომ შვილები უფრო გა- მდგებიან სასწავლებელში, უფრო გაუად- ვილდებთ სწავლა და უფრო გონება-გახსნილ- ნი და მომზადებულნი გამოვლენ ცხოვრება- ში. ჩვენ დედებს დარდიც არა აქვსთ იმისა, შეუძლია თუ არა ბავშვს თავის აზრი შეგნე- ბულად მშობლიურ ენაზე გამოხატოს და ქარ- თულად იფიქროს. ცუდს მდგომარეობაშია ჩაყენებული საწყადი ქართული მისწავლე- მის ჯერ მშობლიური ენაც არ შეუთვისებია საკმაოდ და ამავე დროს სხვა ენების შესწავ- ლას ახვევენ კისერზე.

ასეთი რამდენიმე ენების არე-დარევა ამა- ხინჯებს ბავშვს: უკარგავს მის აზრის სიმა- ხვილეს, სინათლეს, და უსუსტებს მეხსიერე- ბას.

ის ვერც ერთს ენას ვერ ითვისებს საფუ- ძლიანად და უნაკლოდ. მაგ. უმაღლეს სას- წავლებელს ვათავებთ ქართველები და საუბე- ღუროდ ჩვენ ძლიერ ვკოჭლობთ, როგორც რუსულის ცოდნაში, ისე მომეტებულად, ქარ- თულშიც. ამაში უკვლავ უნდა დამეთანხმოს.

მაგრამ ეს არ ესმისთ ჩვენ მშობლებს და ამოდგა თუ არა ბავშვმა ენა—მას მაშინათვე უცხო ენას აჩრიათ შესათვისებლად.

კიდევ კარგი, რომ ასეთი ანტიპედაგოგიუ- რი მოკვლენა საზოგადო არ არის და მას ვბე- დავთ მხოლოდ ზოგიერთ ვითომდა „ინტე- ლიგენტების“ ოჯახებში.

საბედნიეროდ, უმეტესად, ჩვენი დაბალი ხალხის ამცველი ჩვენი ეროვნულ საუნჯის— ქართულის ენისა.

ჩვენი დღასი ინტელიგენტთა ოჯახებიდან რომ იყოს დამოკიდებული ჩვენი ენის დცვა- შინახვა, მაშინ წახდებოდა ჩვენი საქმე. სწო-

რედ ინტელიგენტთა შორის, სამწუხაროდ, ირფენება ჩვენი ენა!

სწორედ მათგან იწეება ჩვენი ეროვნობის შერყევა. სწორედ ისინა უთხრიათ ძირს ჩვენს მომავალს, ჩვენს ხალხოსნობას.

სხვა ერებში ინტელიგენტები მოწინავე კლასს წარმოადგენენ. ისინი დედაბოძებია თა- ვიანთის ეროვნებისა. ინტელიგენტები დაუ- დაჯავის შრომით და მეცადინეობით ზურგს უმაკრებენ ერს ეკონომიურად, გონებრივად და პოლიტიკურად. ეს ასეც უნდა იყოს: ასეა უკვლავ ცოტად თუ ბევრად შეგნებულ და თვალ ახილულ ერებში... მხოლოდ ჩვენ საბოლოო სამშობლოში ხდება სუუველაფერი გადაბრუნე- ბულ-გადმობრუნებულად...

მაგრამ ვალად ვსთვლი, აქ ერთი რამ შეგნიშნო: როდესაც სიტყვას „ინტელი- გენტი“ ვხმარობ, მხედველობაში მაქვს ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც საკმაოდ ნასწავლია, ხანდისხან დიპლომათა- არის აღჭურვილი; რომელმაც სამსახურში ქონებაც შეიძინა და უღარდელად სცხოვ- რობს თავის ცოლ-შვილში; მაგრამ სამწუხა- როდ ამ პირად ეგოისტურ ანგარიშების და სარგებლობის ძებნაში დავიწყებია მას თავისი მოკვლეობა, დაწვრილმანებულა და ცხოვრებას ჩაუნთქავს... იმის გულისდგან აღმოფხვრილა ციური სიტყვა „ძმობა, ერთობა“ და რასა- კვირველია, რომ ის იმის შემდეგ „სიყვარუ- ლით ადგსილი გულთ დაგრდომილ ძმათა“ სამსახურს ვერ შესძლებს. ასეთი ვაყბატონის გული დახშულია აღმაფრენისთვის. ის არ მოკავრნებთ იმ ჩჩუელ ადამიანებს, რომლებ- ზედაც უკვლას შეგვიძლია ვსთქვათ: „კაცი ის არის“. მას

„არა აქვს სული წოდელი,

„სიტყვა ნათელი“;

მას გულში არ დაუმარხია ჭეშმარიტება; მას რცხვენია, ეშინია კიდევ.



„იგი მაღალთა მაღლა ასმინოს,
და იმ ღვთაებას,
ჰეშმარითებას,
არ დაიზოგოს, თავი შესწიროს“.

ერთის სიტყვით ის ნიმდვილი ნორმალუ-
რი ადამიანია?!

მერე იცით რა არის ნორმალური ადამიანი
თანამედროვე შესანიშნავი მეცნიერის ღამბრე-
ზო და ფერის დახასიათებით? ნორმალური
კაცი ის არის, ამბობენ ისინი, ვინც კარგად
სწავს, კარგად სჭამს, კარგად სძინავს, ვინც
დაუზარებლად უფროსის ბრძანების ამსრულე-

ბეჯია და ამისთვის ამ უფროსის სუფიქსად;
ვინც უველაფერში ზომიერია, აუნჩარებელი,
ვინც გუფს არ იშფოთებს და არ აენტებს
უსამართლობის მხერით; ვისაც არ შეუძლია
შირადი ინტერესი უმსხვერპლად სსზოგადო
საქმეს; ერთის სიტყვით გაზირუტყვებული
ადამიანია (ОСКОТИНИВШІЙСЯ ЧЕЛОВѢКЪ).
რგვორ ზრდის შვილებს ამ ტიპის ოჯახი,
ამაზე და სწავსედაც სუუბარი „განათლების“
შემდეგ ნამერში გვექნება.

იპ. ვართაგავა.

ალექსანდრე ივანეს ძე ჰერცენი

დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო
1812 წ.—25 მარტი.—1912 წ.

შვიათად მოიპოვება, არა თუ რუ-
სეთის ლიტერატურის ისტორიაში, არა-
მედ მსოფლიო მწერლობაშიაც ისეთი
მტკიცე და შეურყვეველი მებრძოლი სა-
კაცობრიო იდეალისათვის, ისეთი უმ-
წიკლო და ბროლივით სუფთა ადამიანი,
როგორიც იყო ა. ი. ჰერცენი. ამ დიდე-
ბულმა ადამიანმა ყოველის მხრით აუა-
რებელი ტანჯვა, დევნა და დრამა გამოს-
ცადა თავის ცხოვრებაში, მაგრამ მთელს
თავის სიცოცხლეში მინც მტკიცედ
იცავდა საუკეთესო საკაცობრიო იდე-
ალებს და ერთხელაც არ უღალატნია თა-
ვისი რწმენისათვის.

ჰერცენი დაიბადა ხარებობა დღეს 1812
წელს და აღიზარდა მოსკოვში მდიდარს
ოჯახში. იგი უკანონო შვილი იყო თა-
ვის მამის ი. ა. იაკოვლევისა, რომელიც,
მაშინდელი დროს მიხედვით, კარგად გა-
ნათლებული კაცი იყო. ბავშვობისასვე
ერცენზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა

გარემოებამ, რაც ბავშობიდანვე მტკიცედ
აღიბეჭდა მის გონებაში, ერთი იყო ყრ-
ბის მდგომარეობა და მათი გავლენა, რო-
მელთანაც ჰერცენს პატარაობიდანვე მე-
ტად კეთილი განწყობილება ჰქონდა,
რამაც განუღვიძა მას სიმპატია დაბეჩავე-
ბულის, უფლება აყრილის და დაჩაგრუ-
ლის ხალხისადმი; მეორე იყო ფრანგ-მას-
წავლებლის, მკაცრის და პატიოსან რეს-
პუბლიკანელის გავლენა; იგი შილერის
დრამების კითხვის დროს პატარა ჰერცენს
უღვიძებდა გმირულ ოცნებას და მოქა-
ლაქობრივს მისწრაფებას თავისუფლებისა-
კენ, ცამეტი წლის ჰერცენი შემთხვევით
შეხვდებოდა თავის ტოლ-ამხანაგს, შორეულს
ნათესავს ოგარევს და მასთან ერთად ოც-
ნებობს სამაგიერო გადაუხადოს დეკაბ-
რისტების მწვალებლებს. 1826 წელს
ახალგაზდა მეგობრები, მოსკოვის ახლო
ერთს გორაკზე, საიღამაც თვალწინ ეშ-
ლებოდათ საუცხოვო სურათი, შეფიცე-

ბენ ერთმანეთს სიცოცხლე შესწირონ თავისუფლებას.

რამდენიმე წლის შემდეგ ეს ორივე მეგობარი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობს, ამათ მიემხრობა მთელი წრე სიცოცხლით სავსე ახალგაზდობისა, რომელიც განიზიარებს მათს მისწრაფებას და თავის თავს წარმოიდგენენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეის მემკვიდრეებად, პესტელის, რილევის და მურა-

ვიოს საქმის წინამძღვრად; ეს ახალგაზდობა კურსის დასრულების დროს უფრო გატაცებულია სენ-სიმონისტების იდეით, რომელთა პროცესი 1832 წ. პარიზში იჩრეოდა. ჰერცენს და მის ამხანაგებს აღრიანად აღეძვრებათ სოციალიზმისკენ მისწრაფების სურვილი, უკუგდება ჩვეულებრივის ბურჟუაზიულის მორალისა და საზოგადოებაში ფესვებ გადგმულის ცრუმორწმუნოებისა.



ჰერცენი 1861 წელს.

ჰერცენის წრის გარდა იმავე დროს მოსკოვის უნივერსიტეტში იყო მეორე შესანიშნავი წრე—სენკევიჩისა, რომელიც გატაცებული იყო მაშინ არა პოლიტიკური იდეებით, არამედ გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიის, განსაკუთრებით შელინგის შესწავლით. ამ წრეში იყვნენ

მაშინ ბელინსკი და კონსტანტინე აკსაკოვი, მალე მათ მიემხრნენ ბაკუნინი, ბოტკინი, გრანოვსკი და კატკოვი. მაგრამ ჰერცენი და ოგარევი ამ წრეს არ უახლოვდებოდნენ: მათი გონებრივი ინტერესი და გემოვნება სულ სხვა და სხვა იყო...



კურსის დასრულების დროს (1834 წ.) ჰერცენის წრემ, რომელიც თამამად და ხმა მალღა ქადაგებდა თავის 'შეხედულობას ამხანაგებში, მალე მიიპყრო მოსკოვის პოლიციის ყურადღება და წლის მონაწილენი აქეთ-იქით გაჰფანტეს ჰერცენს და მისს ამხანაგებს ცხრა თვით დაპატიმრება მიუსაჯეს და შემდეგ გადასახლება; მაშინდელი გადასახლება ნიშნავდა რომელსამე მიყრუებულს ადგილზე საგუბერნიო კანცელარიაში გამწესებას. ჰერცენს ვიატკაში ამოაყოფინეს თავი; მას უფროსად ჰყავდა უმეცარი და გარყვნილი გუბერნატორი, რომელსაც ეს თანამდებობა ეწოვნა უბრალო მწერლობიდან არაქიევის დროს. ვიატკის საგუბერნიო საზოგადოებაში, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, შესდგებოდა ბრიყვების, გაუნათლებლების—უმეცართა და ჩირქოცხებულთაგან, ჰერცენმა დაჰყო სამი წელიწადი. ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ—მემკვიდრის მისვლამ, რომელსაც თან ახლდა ჟუკოვსკი, ხელი შეუწყო ჰერცენს მოსკოვს მიახლოვებოდა. ჟუკოვსკიმ ყურადღება მიაქცია ნიკიერს, განათლებულს ახალგაზდა მოხელეს, რომლის ნახვას არ მოელოდნენ მიყრუებულს ვიატკაში. ჰერცენი ტახტის მემკვიდრის, მომავალი ხელმწიფის იმპერატორ ალექსანდრე მე-II-ის შუამდგომლობით გადაყვანილი იქმნა ქ. ვლადიმირში. აქედან ჰერცენი ფარულად დადიოდა მოსკოვში, საიდანაც ფარულადვე წამოიყვანა მამიდის სახლიდან თავისი ბიძის უკანონო ქალი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა. ამ გარემოების წყალობით რამდენსამე წელს ჰერცენის ცხოვრებაში შეინიშნება ოჯახური ბედნიერების მოწმენდილი ცა, რაც გრძელდება მოსკოვში და პეტერბურგშიაც,

სადაც მიმოსვლის ნებართვა ჰქონდა მას 1839 წელს.

პირველი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ჰერცენი დაუახლოვდა მოსკოვში თავის ამხანაგებს, მაგრამ არა თავის უნივერსიტეტის წრეს, არამედ სენკევიჩის საფილოსოფოსო წრეს. ამ წრის მონაწილეები, განსაკუთრებით ბაკუნინი და ბელინსკი, ძლიერ გატაცებულნი იყვნენ მაშინ ჰეგელის ფილოსოფიით, რომლის შესახებ ხშირი კამათიც იმართებოდა ხოლმე.

ჰერცენმა მალე შეიგნო ჰეგელის დიალექტიკა და მთლად შეითვისა მისი ფილოსოფიის სისტემა, მაგრამ მაინც თავისი საკუთარის ფართო და ბრწყინვალე 'შეხედულობის დამოუკიდებელი წარმომადგენელი დარჩა. ბაკუნინს და ბელინსკის, ჰეგელით გატაცებულებს, ისეთი კონსერვატიული დასკვნა გამოჰყავდათ მისი ფილოსოფიიდან, როგორც გერმანიაში ესრედ წოდებულს მემარჯვენე ჰეგელიანებს. ბელინსკი, როგორც ბუნებით დაჩვეული ყოველი აზრის უკიდურესობამდის მიყვანაში, ამტკიცებდა მაშინ ჰეგელის დებულების მიხედვით—„ყველა ნამდვილი გონიერია“,—უნდა დაამშვიდო შენი გონება და დაემორჩილო თანამედროვე რუსულ სინამდვილეს, რომელიც მან მალღა აიყვანა თავის სტატიაში „ბოროდინის წლის თავი“, რამაც იმ დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ ბელინსკი სწრაფად მგრძნობი და ალღოიანი იყო, ჭირივით სძულდა მას ყოველგვარი სიბოროტე და ტყუილები, დიდხანს არ დარჩენილა ასეთს შეცდომაში. 1839 წლის ბოლოს იგი გადასახლდა პეტერბურგში და იქ, ჰერცენის დახმარებით, რომელსაც ახლო დაუმეგობრდა, უარჰყო თავის ძველი

შეხედულება „გონების სინამდვილეზე“, სულ სხვანაირად იწყო წერა და ქადაგება დასავლეთის თანამედროვე რადიკალიზმის იდეებისა, რამდენადაც კი იმ დროს შესაძლებელი იყო წერა მაშინდელს

ჟურნალებში „Отечествен. Записки“-ში და „Современник“-ში. ჰერცენი დიღხანს არ ყოფილა თავისუფალი. ვლადიმირიდან დაბრუნების შემდეგ გავიდა ერთი წელიწადი, მთავრობას ხელში ჩაუ



ჰერცენის ძეგლის წინაშე ჰერცენის შვიდიშვილი, დოხანის უნივერსიტეტის პროფესორი სიტუვას აშობს. მარცხნივ დგას ჰერცენი პროფესორი, შუაში ფრანგი სოციალისტი შედეგელბერგი, მარჯვნივ თ. დი. თუმანიშვილი.

ვარდა ერთი წერილი ჰერცენის მამასთან მიწერილი, რომელშიაც უამბობდა თუ რა ხმები იყო გავრცელებული პეტერბურგში უბნის დარაჯის მიერ ერთი მოქალაქის მოკვლის შესახებ; ამის გამო ჰერცენი გადაასახლეს ქ. ნოვგოროდში, სამსახურში დატოვებით. მაგრამ ნოვგოროდში, სადაც გუბერნიის სამმართველოს სოვეტნიკის ადგილს აძლევდენ, რაც საპატიო თანამდებობად ითვლებოდა, სამსახურს თავი დაანება და არჩია პოლიციის მხედ-

ველობის ქვეშ ყოფნა, ისეთს დაწესებულებაში სამსახურს, რომლის მკვდარი, ბიუროკრატიული წესები მას ზიზღსა ჰგვრიდა. 1843 წელს ჰერცენს ნებდართეს მოსკოვში გადასახლებისა. 1842—1847 წლები ითვლება ჰერცენის რუსეთში ლიტერატურული მოღვაწეობის აყვავების ხანად. ამ დროს ჰერცენი მოსკოვში ინტელიგენტთა შორის უპირველესია, მის გარშემო თავს იყრის ყველა საუკეთესო და მაღალი წარმომადგენელი



რუსის გონებისა და ნიჭისა. მათ შორის ჰერცენი უუქურ ვარსკვლავით ბრწყინავდა, მის გარშემო ტრიალებდნენ მისი მეგობრები, გრანოვსკი, ბელინსკი, კაველინი და სხ.

მიუხედავად ყველა ამისა, ბრწყინვალე წარმატებისა ლიტერატურაში და თავისი მეგობრების განსაკუთრებული სულისა და გონების საუკეთესო თვისებისა, ჰერცენს მაინც უჭირდა თავისუფლად ამოსუნთქვა რუსეთში. მისთვის მაშინდელ რუსეთის დუხჭირ ცხოვრებასთან საბრძოლად ფართო მოედანი იყო საჭირო და ისიც საზღვარ გარეთ მიისწრაფოდა. 1847 წ. ეს სურვილი აუსრულდა. როგორც იყო დიდის ჰაპანწყვეტით მოიპოვა საზღვარ გარეთის პასპორტი და ყმაწვილურის აღმაფრენით გაეშურა პარიზისკენ, რომლის შესახებ საღვთო მოგონებანი პირველი რევოლიუციისა ყმაწვილობიდანვე აღბეჭდილი ჰქონდა გულის ფიკარზე. აქ მას დიდი გულგატეხილობა მოელოდა. ჰერცენი გულმოდგინეთ ადევნებდა თვალყურს ევროპის ცხოვრების განვითარებას უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში; მან თეორიულად კარგად იცოდა ბურჟუაზიის მნიშვნელობა და მუშა კლასის დაჩაგრვა, რამაც ძლიერად იჩინა თავი მაშინდელ „მეშჩანურ“ კოროლის ლუი-ფილიპეს დროს; მაგრამ მას არ შეეძლო შორიდანვე წარმოედგინა ის შხამით სავსე და სულის შემხუთავი ატმოსფერა, რომლითაც გაჟღენთილი იყო მაშინ ამ დიდებული ქალაქის საზოგადოება. რამდენისამე თვის შემდეგ მწუხარებით დასტოვა პარიზი და გაემგზავრა იტალიაში, სადაც თვისდა სანუგეშოდ თავის თვალთ იხილა პირველად, მის მიერ პოეტურად აღწერილი, იტალიის განთავისუფლების წარმატება. 1848 წელს

თებერვლის რევოლუციამ აიძულა პარიზში დაბრუნებულიყო; მაგრამ 1848 წლის რევოლიუციონურ მოძრაობის მსვლელობას და განვითარებას არ შეეძლო მისი დაკმაყოფილება. იენისის დღეებმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ჰერცენი. მას ეჭვი დაებადა დასავლეთ ევროპის ნამდვილ აღორძინებაში. 1848 წლის რევოლუციის დამარცხებამ ჰერცენს ყურადღება მიაპყრობინა სამშობლო—რუსეთისაკენ და რუსთა გლეხობის განთავისუფლებით მოელოდა ხსნას ევროპისთვისაც.

ყველა ეს იმედები, აღტაცებანი, ეჭვი, გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება, ყველა ეს დულილი იდეათა და გრძობათა, რამაც შეიპყრო ჰერცენი 1847—1849 წლებში, არა ჩვეულებრივის სიძლიერით და ზედმიწევნით გამოიხატა მისს შესანიშნავს ნაწარმოებში: „წერილები იტალიიდან და საფრანგეთიდან“ და „იმ ნაპირიდან“—ში. ეს წიგნები დიდის აღმაფრენით და მხურვალე ენით არის დაწერილი, ასე რომ დღესაც დიდის ხალისით კითხულობენ და მკითხველშიაც ცრემლებს იწვევს და აგრძობინებს მისი ავტორის დიდებული სულის ყველა მოძრაობას. 1849 წლის შემდეგ ჰერცენი განიცდის პირადს უბედურებას; 1851—52 წ. ფრიად სამწუხარო იყო მისთვის, მას გარდაეცვალა მეუღლე, დედა და ზღვაში დაერჩო პატარა შვილი ქ. ნიცის მახლობლად გემის დაღუპვის დროს. 1852 წლის დასაწყისში ამ უბედურებით ფრიად დამწუხრებული ჰერცენი ახლო მომავალში ვერ ხედავს შესაძლებლად რუსეთში და ევროპაში საზოგადო აქტიურ მოქმედებასა და ბრძოლას, ამიტომ პირველად მიჰყოფს ხელს თავის მემუარების წერას. („Былое и Думы“). ევროპაში სული ეხუთება. გადადის ინგლის-

ში, თანდათან იქარვებს დარდებს, გაიჩენს საკუთარ სტამბას და პარტიზანულის შემოსევით აღვიძებს და აფხიზლებს საზოგადოებას და ძილს უფროსობს თვით მპყრობელ მთავრობას. მის მიერ დასტამბულს სტატიებში „Юрьевъ день“ და „Крешенная собственность“-ში იწინასწარმეტყველო გლეხთა რეფორმების მოახლოვება და აუცილებლობა; იმ სიტუაციაში, რომელიც წარმოასტქვა 1854 წელს ლონდონში, უკვე მოყვანილი იყო პროგრამა ამ რეფორმისა, ის პროგრამა, რომელსაც იგი იცავდა ალექსანდრე II-ერთის წლის გამეფების შემდეგ და რო-

მელიც მეტნაკლებობით განხორციელებული იქნა 1861 წლის თებერვლის 19. ყირიმის ომის სამარცხვინოდ წაგების შემდეგ, როცა რუსეთის საზოგადოებას, ცოტად თუ ბევრად, გამოფხიზლება დაეტყო, ჰერცენმა გაათქვეცებული ძალა იგრძნო. 1855 წლის მარტის ათში მან მისწერა ალექსანდრე II-ს ცნობილი წერილი, დაწერილი კეთილშობილურ; დამოუკიდებელ, მაგრამ არა მკვახედ და არა ჩვეულებრივ გულითადის კილოთი, როგორი წერაც მარტო მან იცოდა. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „რასაკვირველია ჩემი დროშა თქვენი



ჰერცენის საფლავზე მიმავალი პროცესია, სასაფლაოს შესავლთან.

არ არის, მე გაუსწორებელი სოციალისტი ვარ, თქვენ—თვითმპყრობელი იმპერატორი; მაგრამ თქვენსა და ჩემს დროშებს შორის იქნება ერთი საერთო—სახელდობრ ხალხისადმი სიყვარული“. ამ წერილში მან წარადგინა თავისი პროგრამა რეფორმებისა, რასაც ეტყობოდა ზომიერება და ცხადი შეგნება იმ დროის მოთხოვნილებათა. იგი უთითებდა გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლებაზე და „როზგის“ გადაგდებაზე. ამ პროგრამაზე

იღვა იგი 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტამდის.

1855 წელს ჰერცენს ისეთი პოზიცია ეჭირა, რომ მისი ხმა ყველგან ისმოდა. მისი წერილი ალექსანდრე II-თან ათასობით ვრცელდებოდა რუსეთში და ყველგან აღტაცებაში მოჰყავდა მკითხველი. რუსეთში ყველა მოწინავეს ჰერცენი რუსეთის განთავისუფლების საქმის ხელმძღვანელად მიაჩნდა და იმის აზრსაც მაშინდელი მთავრობა მართლა ყურადღე-



ბით ისმენდა. 1855 წლის შემოდგომიდან დაიწყო პერიოდული კრებულის „Полярная Звезда“-ს გამოცემა და იმასთან ერთად (1856 წ.) გამოდიოდა „ხმები რუსეთიდან“. ახლა ყველა ჯურისა და წოდების ხალხი ყოველ მხრიდან მიჰმართავენ ჰერცენს, უცხადებენ თავიანთ გრძნობას, შეხედულებას და აზრს, უდგენენ პროექტებს რეფორმისას, აცნობებენ სხვა და სხვა მომხდარ ბოროტმოქმედებას. 1857 წლის ნახევრიდან ჰერცენი და ოგარევი გადასწყვეტენ გამოსცენ პერიოდული ფურცელი (ორ კვირაში ერთხელ) — „ზარი“, რომლის № 1-ში გამეორებული იყო იგივე პროგრამა, რაც მან აცნობა წერილში ალექსანდრე მე-II-ს. „ზარი“, რომელშიაც ჰერცენის შეუღარებელმა პუბლიცისტურმა ნიჭმა მთელის თავის ბრწყინვალეობით, ძალით და ნიჭით იჩინა თავი, შეიქმნა საზოგადოების აზრის მეტად გავლენიან ორგანოდ რუსეთში. ამ ორგანოს წყალობით მოხდა საჯაროდ შემუშავება საგლეხო რეფორმებისა. ალექსანდრე მე-II არა თუ კითხულობდა „ზარს“-ს, ბრძანებასაც აძლევდა მისი ბრალდებით დანაშაულობა გამოეკვლიათ და მართლაც „ზარი“ თავზარსა სცემდა ყველას, ვინც ბოროტებას, ან სიავეს სჩადიოდა. არც ერთს ბეჭდურს ორგანოს, არც წინად და არც შემდეგ რუსეთში არ ჰქონია ისეთი ძლიერი გავლენა რუსეთის ცხოვრებაზე. „ზარი“ ძალა არის, „ზარი“ უფლება რუსეთშიო, სწერენ ჰერცენს მისი პატივისმცემლები. ახალგაზდობაც კი პაუზის კორპუსში, კრაპოტკინის სიტყვით, — ალტაცებით ჰკითხულობდა ჰერცენის წერილებს, ისკანდერის ფსევდონიმით ხელმოწერილებს; ცხადია თვითონ ალექსანდრე მე-II ც გულგრილად ვერ მოეპყრობოდა ისეთს სტატიებს, როგორც

„სამი წლის შემდეგ“ (1858 წ.) რომელიც საც ეპიგრაფად ჰქონდა: „შენ სძლიე გალილეველო!“ ან „მანიფესტი“, 19 თებერვალს გამოცხადების შემდეგ, როცა „ზარი“-ს გამომცემლებმა შორიდან სალაში უძღვნეს ალექსანდრე II და უწოდეს მას „განმათავისუფლებელი“, რაც შემდეგ ისტორიაში დარჩა.

19 თებერვლის მანიფესტისა და დებულებათა გამოცემით ჰერცენის როლი უფრო ძნელი შეიქმნა. იმას არ შეეძლო საკუთარის თვლით ხილვა იმისი, რაც ხდებოდა ეხლა განახლებულს რუსეთში, — სადაც მოწინავე საზოგადოებაში სხვა და სხვა მიმართულებას დაადგენენ, ჩამოყარდა განხეთქილება ლიბერალებშიაც, ზომიერებსა და რადიკალებს შორის. ამასთან ამდენი ხნის შეუდრეკელი ბრძოლით ჰერცენიც მოიქანცა. „ზარს“ თან და თან პირველ რიგზე ოგარევის გავლენა დაეტყობა და შემდეგ ბაკუნინისა, რომელიც 1861 წელს ციმბირიდან გამოიქცა იაპონიით და ამერიკით. მაგრამ არც ერთს მათგანს არ ჰქონია ისეთი გამჭრიახი და ფხიზელი გონება, როგორც ჰერცენს, რომელიც საზოგადოების განვითარების მომავალს და იდეალებს შორს მკვრეტელობდა და ადვილად გამოარკვევდა დროს მოთხოვნილებას. „ზარში“ ხშირად შეხვდებოდით ალაღბედათ აღებულს ყალბ ნოტებს. იმავე დროს პოლონეთში აჯანყება მოხდა, ამ გარემოებამ ჰერცენს ჩამოაშორა მომეტებული ნაწილი ძველი პატივისმცემლებისა. იმავე დროს ჰერცენს განხეთქილება მოუვიდა „Современникъ“-ის ხელმძღვანელებთან, რასაც გავლენა ჰქონდა რუსეთიდან წასულს ახალ ემიგრანტებისა და ჰერცენის დამოკიდებულებაზე. ჰერცენი მეტად არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდა, ბოლოს ჩამოშორდა მას არა მარტო ბაკუ-

ნინი, რომელიც ისედაც შორდებოდა მას და მიისწრაფოდა საბრძოლველად ყოველგვარ სახელმწიფოებრივის წესწყობილებსაკენ, არამედ მისი საუკეთესო მეგობარი ოგარევიც. უკანასკნელი წლები ჰერცენისათვის მეტად აუტანელი იყო; მაგრამ ეს განსაცდელიც შეუდრეკლად განვლო საფლავის კარამდის. ძლიერი სული ბოლომდის შერჩა. მისი გონება უკანასკნელ ხანებშიაც ისე ძლიერად და ნაყოფიერად მუშაობდა, როგორც წინად, როგორც ეს სჩანს მისი სიკვდილის წინ დაწერილის შესანიშნავ წერილიდან „ძველს მეგობარს“ (მ. ა. ბაკუნინს).

სწავლა-აღზრდის საკითხებს ჰერცენი განსაკუთრებით არ შეხებია, მაგრამ ზოგი აზრები, სხვათა შორის, სწავლა-აღზრდის საკითხსაც ეხება. ჰერცენს აქვს ორი პატარა სტატია, რომელიც პირდაპირ პედაგოგიის თემას შეეხება, ეს არის:

„Опытъ бестѣды съ молодыми людьми“ და „Пустые страхи.—Вымыслы“.

„არც ძნელი და არც მოსაწყენი მეცნიერება სრულიად არ არსებობსო,—ამბობს ჰერცენი, თუ კი თავიდან დაიწყებთ და რაიმე წესრიგს მიჰყვებით. ყველაზე ყველაფერში უძნელესია—ანბანი და კითხვა... „ყველა მეცნიერებას თავისი ანბანი აქვს, არც ისე ძნელი, როგორც ნამდვილი, მაგრამ შორიდან გვეუცხოება და არეულად გვეჩვენება, ის უნდა გაიარო, და საძნელო არ იქნება...“

„დარწმუნებული იყავით, რომ ძნელი საგანი არ არსებობს, მაგრამ არის აუარებელი საგანი, რაც ჩვენ არ ვიცით, ან ცუდათ, უკავშირდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და შეცდომით ვიცით. რომლისამე მეცნიერების ანბანის შეთვისება ძნელი არ არის, მხოლოდ ხელი უნდა ავიღოთ ცრუ და არა სრულად შეგნებაზე, ნებაყოფლობით გულისხმობაზე და სს.“

საქმე ის კი არ არის ბავშვს ან ჰაბუკს აუფსოთ თავი. აუარებელის სხვა და სხვა ცოდნით, საჭიროა შეაჩვიოთ იგი კითხვის მოცემას, საჭიროა დააყენოთ ბავშვი სალი აზროვნების გზაზე შესასწავლ საგნის შესახებ საჭიროა მას ხელთ ჰქონდეს სწავლის ხერხი, მაშინ იგი თავის დაკვირვებიდან და ფაქტებიდან დაუბრკოლებლივ ამოიღებს ცოდნას. „მე მინდოდაო, ამბობს ჰერცენი,—მეჩვენებია თქვენთვის ბილიკი დაბურულს ტყეში, მომეცა ძაფი, რომელიც სხვასთან უფრო გამოცდილ გზის მაჩვენებელთან მიგიყვანდათ და თუ ამას მოისურვებთ—ეს საკუთარი დაკვირვებაა“. დიდი დაბრკოლება ელოდება სწავლა-განათლებას სხვა და სხვა ცრუმორწმუნოების წყალობით, რაც ჩრდილავს ბუნებას და ცხოვრებას. ამის გამო ხშირად ბევრი როგორც ეთიკური, ისე სამეცნიერო ხასიათის საკითხი დამახინჯებულია. უხნეობაო, ამბობს ჰერცენი რომლისამე მოვლენის მიზეზის საკითხზე ბავშვს სიცრუით უპასუხოთ მისთვის, რომ მალე თავიდან მოიშოროთ. ამას ყველგან ვამჩნევთ. ბავშვებსაც ისე უნდა ელაპარაკოთ, როგორც მოზრდილებს, მათს დაუსრულებელს შეკითხვაზე სიცრუით არ უნდა გასცეთ პასუხი, არც შესცვალოთ ლაპარაკი ბავშვურს ტიტინზე, არ გამოიჩინოთ პირმოთნეობა. ყველა ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრისაგან მივიწყებულიაო“...

ჰერცენი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით თითქმის უეცრად 1870 წლის იანვრის 9 პარიზში. ამ იშვიათმა და ნიჭიერმა ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე უსამართლოებასთან ბრძოლაში და თავის წრფელი იდეალების ქადაგებაში გაატარა. მას სულით და გულით უყვარდა მღაბიო ხალხი, რომლის კეთილდღეობას განათლებაში ხელავდა.

კახაბერი.

ოზლად უთხანილი

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი...

ნ. ბარათაშვილი.

(გუძღვნი კოტე ბეგაძეს).

მითხელ, გაზაფხულისას, აღმოუ-
ქმელ სევდით ტყვენილი სერზე მიმოკ-
დიოდი, მეგონა სოფელს მოშორებული,
სადაც სატანა ვახვახით აწკრიანებს ძვლე-
ბის ქნარს, ბუნების წიაღში მაინც მო-
ვისმენდი სფეროთა მარადიულ ჰარმონიას.
მეგონა, წუთით მაინც ციური მუსიკა და-
მავიწყებდა, რომ ობოლი ვარ, ობო-
ლი, რომლის მსგავსი ქვეყანაზე არ და-
ბადებულა.

ვტანტალეზი დიდხანს და თან უაზ-
როთ თვალს ვავლებდი იალბუზს, რომე-
ლიც ზვიადად აყუდებულობო ცის გუმ-
ბათამდის. გარს შემოხვეული სპეტაკ
ნისლთა ქარავანნი ღაღადითა და ვედრე-
ბით რაღაცას მიუთხრობდნენ. ეს ფიქრი
იყო ზღვისა... სთხოვდა მოელობო გო-
როზი გული... ერთხელ მაინც მოესმინა
მისი ლოცვა... ყურად ელო მისი ხვა-
შიადი.

იალბუზი, როგორც წინეთ სდუმდა...
ცრემლად დამდნარ ღრუბელს სუსხით
ჰყინავდა... უსულ-გულო! ნება მაინც
მიეცა შეერთებულიყვნენ, ნაკადად ქვე-
ულიყვნენ, დაქანებულიყვნენ ძირს—ბა-
რისაკენ, რომ მდელლოსთვის ესხურებიანთ
ზღვის სევდა.

შევეყურებდი ცაზე დიდსა და პატარა
ირმის ნახტომს, ალერსით მოციმციმე
ვარსკვლავებს და მომაგონდა ტრფობით
პყრობილის ნატვრა:

„ახ, ნეტავი ეს მოუუყუჟე ვარსკვლავ-
ნი ჩემს თვალვანთ გადაიქცნენ, რომ
სატრფოს გულისას უმზეროდეო“.

მწარედ გამეცინა...
რად, რად მომაგონდა საცოდავსა უც-
ხო სიტყვები, რა საერთო იყო ჩემსა და
მეოცნებეს შორის.

რა ფასი ჰქონდა ჩემთვის იმ ნატვრას,
ვისთვის უნდა მემზირნა?..

შევეყურებ ეთერის ზღვასა და არავი-
თარ სიამოვნებას აღძრავს მისი მისტიუ-
რი ჰიმნი. ცისიერთ სხივიერება იერ აცის-
კროვნებს ჩაწყვდიადებულ ჩემს ფიქრთა
ფთილას.

აი, მთვარე ამოცურდა... ეს ხომ ნამ-
დვილი ვენერაა ტრფიალებისა... არე-
მარე გააოცნება. ნაზი გრძნობებით გაიმს-
ქვალა ყველა არსება.

მაღხაზმა სიომ ფრთები სცქვიტა, ზე-
ზე აიჭრა და ტვერისაკენ ბუღბუღლთან
გაიქროლა.

უნდა მასთან ერთად უაღერსოს ახლად
გაფურჩქვნიღ ვარდსა.

უაღერსოს... ვაგლახ! ეს ალერსი ჩემს
ცნობადისთვის უცხოა, უცხო.

შემოდგომის მწუხრს ტყის ფოთოლთა
ქვითინში არ იხატება იმდენი სევდა,
რაც ჩემს ჩივილში:

ობლად შეთენილი...

ერთ წამს, ერთ წუთს მაინც რომ მო-
მესმინა ვისიმე ალერსი მაშინ... ახ, მაშინ
მთლად გადვიფიწყებდი საგოდებელსა...

სულთქმით აღარ დავემზობოდი მარ-
ტობის კუბოში ჩასვენებულ ჩემს ოც-
ნებასა, თვით ჩემს გულსაც კი გულს
ამოვჭრიდი, კოცონში ჩაწვავდი და
ტრფიალების ღმერთს მსხვერპლად შევ-

წირავდი, რომ ნაზი და უღარდელი ყოფილიყო ჩემს მწედ მოვლენილი, ვით მოკისკასე ტურფა დიანა; მოკიაფე, ვით სხივი შუქურ ვარსკვლავის და წარმტყვეყნელი, ვით ბეთჰოვენის სიმფონია.

დუმილი, ყრუ დუმილი გამეფდა ირგვლივ...

ჰგავს ნაკადიც კი შესდგა... შესწყვიტა რაკ-რაკი.

იქნებ შემოქმედების ძალთა-ძალს წარემართა ღალადი ჩემი?

— ვერ ვბოვე, ვერა!—სიჩუმე დაარღვია ზარნაშომ და მოიჩივლა ამოღებნა...

ჩემს გულშიაც უკანასკნელად გაიწკრიალა კაემნიანმა სიმმა და გაუმხილა საბრალობელ ფრთოსანს, რომ მეც ობოლი ვარ, როგორც მთის ხრიოკზე ამოასული ქუჩი, და ყარბად მკვნესავი, ვით ქვითინი დამსხვრეული ჩანგისა...

დ. თურდოსპირელი.

ქ. კიევი.

სააკადის გოდება

არვის უნდივარ, ეჰა, ღმერთო, არვის უნდივარ; იმედის სხივი ჰქრება გულში, მიკვდება რწმენა... მეხვევა თვალზე სქელი ნისლი, ვგლოვობ და ვწუხვარ... მხოლოდ ტკბილ სიზმრად გადამექცა შვება და ღხენა!

ტურფა ყვავილი დათაღხულა, სულს ღაფავს, ქცნება... ცა ცრემლებს აფრქვევს, ნაღველს მასმევს მისი შხაპური ს:დ არის, სადა, ბრწყინვალე მზე, ვარსკვლავთა კრება?! ღამემ ჩაყლაპა... გულში მეფობს ბნელი უკუნი.

ზღვის მჩქეფმა ტალღამ შორს გამტყორცნა, ნაპირს გამოსტება რწმენის იალქანი, ჩამინთქა გემი. მაგდო, მწარე ცხოვრებამ მიღალატა, მასხრად ამიგდო და ჰა! დღეს ვგოდებ, ვგოდებ მისგან ნაცემ-ნავგემი.

ჩემ სიცოცხლის ცას ღრუბელთ გროვა დაკვრია სქლიდა, ვით გალიაში მეტანჯება, მეხუთვის სული, ობლად ვარ ობლად, აზრით ობლად, გრძნობით ობლად ვით განდევნილი უდაბნოში მწირად გასული.

არვის უნდივარ, არვის სტკივა ჩემი ტკივილი! სულისა სწორიც არსადა სჩანს, ვერ ვბოვე; ვეძებ... ოჰ! ამოვარდეს ჩემი კვნესა, ჩემი ჩივილი, ოჰ ამოვარდეს, გაჰქრეს, მისწყდეს, აღარ დავეძებ!

ს. აბულაძე.

დღის ტაძარი



(ვ. ერისთავის დაბადებიდან 100 წ. შესრულების კამია)

ის სხივია ცით მოჭრილი, მთის მწვერვალზე შეტყორცნილი,
ყვავილია ობოლ ბაღის, დღეს საამოთ ფრთებ გაშლილი,
ნაკადია—შვების წყარო, შორი დროით მომდინარე,
თვით სარკვა—ღამის სარკვე, კაშკაშა და ბადრი მკვარე—
შორ სივრცეში მონარნარე!..

ცის მნათობის პირველი ხმა—ხმა ღიადი სხივთა სრბოლის,
საუკუნეს ჩაექსოვა—ჩაეკონა გული სწორის,
იქ ჩაიდგა დღის ტაძარი—სარკის ველზე აღმართული,
თვით ცხოვრების სცენა იყო მის კვარცხლ ბეკათ შიგ ჩადგმული—
ხალხის გული, ხალხის გული!..

და ის სცოცხლობს, კვლავ იცოცხლებს იქ ტაძარი მშვენიერი,
არ მომკვდარა მისი ხურო, თვით მარჯვენა მისი ხელი,
არ მოკვდება, ვინც პირველათ მას მიუძღვნა ტკბილი ხმები,
მშობლურ სცენას გამოასხა სიცოცხლის და შვების ფრთები!..
კვლავ მით გვესმის მშობლის ხმები!..

ცის მნათობის პირველი ხმა—ხმა ღიადი სხივთა სრბოლის,
საუკუნეს ჩაექსოვა, ჩაეკონა გული სწორის,
იქ ჩაიდგა დღის ტაძარი სარკის ველზე აღმართული,
თვით ცხოვრების სცენა არის მის კვარცხლბეკათ შიგ ჩადგმული
ხალხის გული, ხალხის გული!..
გელა.

ქიათურა.

ბუღბუღი და ვარდი

(უაღდიდგან)

ღამპირდა, ჩემთან იცეკვებს, თუ
წითელ ვარდს მივუტან. —წამოიძახა ახალ-
გაზდა სტუდენტმა; —მაგრამ ჩემს ბაღში
არსად მოიპოვება არც ერთი წითელი
ვარდი.

ბუღბუღმა გაიგო ეს და თავის ბუღი-
დან გაკვირვებით გადმოიხედა.

— არც ერთი წითელი ვარდი! — ოხ-
რავდა ჭაბუკი და მშვენიერი თვალები
ცრემლებით ევსებოდა. — ოხ! რა უბრა-
ლოზეა ხან-და-ხან ადამიანის ბედნიერება
დამოკიდებული. მე გადამიკითხავს ბრძენ-
თა ნაწერები, მივხვდი ფილოსოფიის საი-
ღუმლოებას. მაგრამ ახლა კი, ეს დაჟი-

ნებული მოთხოვნა წითელი ვარდისა, მთელ ჩემ სიცოცხლეს არღვევს!

— აი ნამდვილი შეყვარებული! — სთქვა ბუღბუღმა. — ჩემ სიმღერაში მუდამ მაგას ვაღიღებდი, თუმც არ ვიცნობდი სრულიად. განთიადამდი მოციმციმე ვარსკვლავებს უამბობდი მაგის თავ-გადასაყვალს. მისი თემები სუმბულზედ მუქია; ტუჩები კი იმ ვარდსავით წითელი, რომელსაც იგი ასე დაჟინებით დაეძებს; მაგრამ სახე კი ვნებათა ღელვისაგან გაჰყვითლებია და მწუხარებას თავისი უღმობელი ბეჭედი დაუსვამს მის სახეზედ.

— ხვალ პრინცი ჰმართავს საღამოს, — ბუტბუტებდა ჭაბუკი. — ჩემი ძვირფასიც დაპატიჟებულია. თუ უშოვნია წითელ ვარდს, იგი განთიადამდის ჩემთან იცეკვებს; იმისი თავი ჩემ მხარზე დაეყრდნობა და ჩემი ხელი მაგრა, მაგრა მოეხვევა მის ღერწამ ტანს. მაგრამ!?. ჩემ ბაღში რომ არც ერთი წითელი ვარდი მოიპოვება? მაშ სულ განმარტოებული ვიქნები იმ საღამოზედ. იგი გაივლის ჩემ გვერდით, არც კი შემომხედავს: ჩემი გული კი დარდისაგან გასკდება.

— დიახ! ეს ნამდვილი შეყვარებულია! — სთქვა კიდევ ბუღბუღმა.

— იმას, რასაც მე ვგალობ, ეხლა იგი განიცდის. რაც ჩემთვის სიხარულია, ის მაგისთვის მწუხარებას შეადგენს. დიახ! სიყვარული მიუწოდომელი გრძნობაა. იგი ზურმუხტზედ უძვირფასესი და დაუფასებელია: ვერ იყიდი ვერც მარგალიტებად და ვერც ოქროს წონაზედ; იგი მალაზიებში არ იყიდება, რადგანაც მისი ყიდვა შეუძლებელია.

— ორკესტრი დაუკრავს საცეკვაოს, — სწუხდა სტუდენტი, — ჩემი ძვირფასი იცეკვებს სხვებთან, ჩემთან არა. ოჰ, რა ნაზად, რა სუმბუქათ ცეკ-

ვავს იგი; მისი ფეხები იატაკსაც არ ეკარება; მშვენივრად მოკმაზულნი კარისკაცი შემოეხვევიან მას გარშემო. მე კი, მე, სულ მარტოკა ვიქნები! — აქ ყმაწვილმა მიიფარა სახეზედ ხელები და ქვითინით დაეცა ბალახზე.

— რაზედ სტირი? იკითხა ხელიკმა კულის ქნევით.

— მართლაც და რაზე სტირის? — სთქვა პეპელამ და ალერსით შეეთამაშა მზის სხივებს.

— რაზედ? — წასჩურჩულა თავის მეზობელს ნაზის ხმით გვირილამ.

— იგი წითელ ვარდისთვის არის დღონებული, — უპასუხა მათ ბუღბუღმა.

— წითელ ვარდისთვის! — წამოიყვირა ყველამ ერთხმად. — რა საცინელია! — აქ პატარა ხელიკმა ურცხვათ სიცილი მორთო. ბუღბუღი კი მიხვდა ყმაწვილის მწუხარებას. იჯდა ჩუმად მუხის ტოტზედ და ჰფიქრობდა სიყვარულის საიდუმლოებაზედ. უცებ გაისწორა თავისი მიხაკის ფერი ფრთები, გასრიალდა ჰაერში და ჩუმად მიფრინდა ბაღში.

ბაღის შუა, პატარა მდგლოზედ იდგა მშვენიერი ვარდის ბუჩქი. ბუღბუღი გაეშურა მისკენ და დაეშო მის ტოტზედ.

— მომეცი წითელი ვარდი და გიგალობებ ჩემ ნაზ სიმღერას, — მოსთხოვა ბუღბუღმა.

ბუჩქმა თავი გაიქნია.

— ჩემი ვარდი მთის მწვერვალის თივლზედ უთეთრესია. — მიუგო ბუჩქმა. — თეთრია ვით ზღვის ქაფი. მაგრამ აბა მიფრინდი ჩემ ძმასთან, მედიღურად რომ გადაქიმულა. იქნება იმან ავისრულოს თხოვნა.

ბუღბუღიც გაეშურა მისკენ.

— მომეცი წითელი ვარდი და გიგა-

ლობებ ჩემ წკრიალა სიმღერას, — შეეხვეწა იმასაც ბუღბუღი.

ბუჩქმა კი თავის ქნევით მიუგო: — ჩემი ვარდები იმ ფოილოზედ უყვითელესია, რომელიც ამშვენებს მინდორს, ვიდრე ნამგალი არ გადასჭრის; ყვითელია, ვით თმები ზღვის ქალისა, რომელიც ზის ქარვის ტახტზედ, ოკეანის სიღრმეში. მაგრამ აბა შეეკითხე ჩემ ძმას, სტუდენტის ფანჯარასთან რომ ამართულა; იქნება იმან მაინც მოგცეს ის, რაც გინდა.

გაფრინდა ბუღბუღი იმ ბუჩქისაკენ.

— მომეცი წითელი ვარდი და გიგალობებ ჩემ ნაზ სიმღერას — შეეხვეწა იმასაც ბუღბუღი.

ბუჩქმა თავი გაიქნია.

— ჩემი ვარდები მის ტანზედ უწითლესია, რომელიც ირხევა ზღვის გამოქვაბულებში; წითელია, ვით პაწია ფენი უმანკო მტრედისა. მაგრამ ცივმა ზამთარმა შებოჭა ჩემი სისხლი, ყინვამ დამიზრო კოკრები, ქარიშხალმა ტოტები დამამტვრია და მგონი წელს ვეღარ ვეღირსები აყვავებას.

— ერთს წითელ ვარდსა გთხოვ, მეტს არაფერსა, — ეხვეწებოდა ბუღბუღი. — მხოლოდ ერთს ვარდსა! ნუ თუ არ შეიძლება სადმე მისი შოვნა?

— არის ერთი საშუალება, — მიუგო ბუჩქმა და თავი ჩაღუნა — მაგრამ იგი იმდენად საზარელია, რომ ვერც კი გიბედავ თქმას.

— მითხარი, მითხარი — ეხვეწებოდა ბუღბუღი — არ შემეშინდება.

— თუ გინდა წითელი ვარდის შოვნა, უნდა შეჭქმნა იგი მუსიკის ხმებიდან მთვარის შუქზედ და შეღებო შენი პაწაწა გულის სისხლით. ჩემი ეკლით უნდა განიგმიროს შენი გული; შენ უნდა მიგალობო მთელი ღამე, განთიათამდინ. ვიდ-

რე ჩემი ეკალი არ გაჰგმირავს შენ გულს. მაშინ შენა სისხლი გადმოვა ჩემში და დამიბრუნებს სიცოცხლეს.

— სიკვდილი წითელ ვარდისთვის? — წამოიძახა ბუღბუღმა, — ძალიან ძვირად დაჯდება ერთი ვარდის შოვნა. ყველა თავის სიცოცხლეს აფასებს. ოჰ, რა თავისუფლად, რა უღარდელად ვგრძნობ თავს მწვანე, დაბურულ ტყეში, როდესაც ვსტკებები მზის სიმშვენეიერით, როდესაც მთვარის ნაზი სხივები ზედ დამხარბიან, მეაღერებებთან, როდესაც გარშემო ყვავილთა სურნელება მოწყენილია და მეც ხარბათ ვეწაფები ამ კეთილ-სურნელოვან ჰაერს. აგერ, პაწია ყვავილები რა მორცხვით იმალებიან ხევებში: მთის ჩაღუნია კი ღიმილით გადმოიციკირება პაწია კორდიდგან და სიამოვნებით დასცქერის ბუნებას. მაგრამ... სიყვარული ხომ თვით სიცოცხლეზედაც კი ულამაზესია! ან რადა ღირს ჩიტის გული ადამიანის გულთან შედარებით?

აქ ბუღბუღმა გაისწორა თავისი მიხაკის ფერი ფრთები, შეფრთხილდა ჰაერში, ვითა ჩრდილი გასრიალდა იგი ბაღისკენ და ჩამოეშო ფოთლებში.

ყმაწვილი კი ისევ ბალახებზედ იწვა და მარგალიტივით ცრემლები უბრწყინავდა მშვენეირ თვალებში.

— ნუ დარდობ, — შესძახა მას ბუღბუღმა, — გამხნევდი; მალე წითელი ვარდი გექნება. მე შეეჭმნი ნას მუსიკის ხმებიდან მთვარის შუქზედ და შევღებავ ჩემი გულის სისხლით. საჩუქრად მხოლოდ ერთგულ სიყვარულსა გთხოვ. სიყვარული თვით სიბრძნეზედ უფრო რთულია და ღრმაა და დიდებაზედ შეურყვევლი. ცეცხლის ფრთებზედ მიფრინავს იგი და ანათებს ხალხის გულს. ტუჩები ტკბილი აქვს, ვით თაფლი; სუნთქვა კი სურნე-



ლოვანი, ვით ყვავილთა კონა. სტუდენტი წამოჯდა. ყურს უგდებდა ბულბულს, მაგრამ ჩიტუნის ლაპარაკი არ ესმოდა: იმან იცოდა მხოლოდ ის, რაც წიგნებში ეწერა. სამაგიეროდ ყველაფერს მიხვდა ბებერი მუხა: დაღონდა და თავი დახარა. ის ძლიერ შეჩვეული იყო ჩიტუნასთან, რომელმაც თავისი ბუდე ასწლოვან ტოტებში გაიკეთა.

— მიგალობე შენი უკანასკნელი სიმღერა ჩიტუნი,—ჩურჩულებდა დაღონებული მუხა—უშენოდ ხომ სულ მარტოკად დავრჩები.

ბულბულმაც დაიწყო სტვენა. მისი სიმღერა წყლის ბუტბუტს ჰგავდა, რომელიც დუდუნით ჩარბის ჩაჩრიალაში. დაღუნდა იგი, მიყუჩდა.

ჭაბუკი წამოდგა, ამოიღო უბის წიგნი და ფანქარი.

— მართალია, მშვენიერ სახეს ვერ წავართმევთ,—წარმოსთქვა მან,—მაგრამ გრძნობა, გრძნობა კი აქვს რამე? ვფიქრობ,—არა. იგი კობტაა, მშვენიერი, მოხდენილი,—მაგრამ უგრძნობელი და ცივი, იგი არ შესწირავს სხვებს თავს, იგი მარტო მესიკაზედ ფიქრობს, და ხელოვნება ხომ ეგოიზმია. ეს ცხადზედ-უცხადესია. მაინც კი უნდა გამოვტყდე, რომ მის ხმაში რაღაც იღუმალი, მშვენიერი კილოა, მაგრამ სამწუხაროა, რომ არავითარი თანაგრძნობა და აღფრთოვანება.—აქ ყმაწვილი შევიდა ოთახში, დაეცა საწოლზე და დაიწყო კვლავ სატრფოზედ ფიქრი; მალე ჩაეძინა კიდევ. მთვარეც ამოვიდა. მისი ნაზი შუქი ცელქათ შეეთამაშა ბუნებას. ბულბული კი მიფრინდა ვარდის ბუჩქთან და მიეკრა გულით მის ეკალს. ასე მღეროდა იგი მთელი ღამე და ცივი, ამაყი მთვარე თავდახრილი ყურს უგდებდა მას. ეკალი კი

თანდათან ღრმად ესობოდა გულში და სწოვდა მის პატარა გულის გამაცოცხლებელ სისხლს. კვნესოდა, სტვენდა ბულბული სიყვარულზედ, ბუჩქის ზემო ტოტზე კი იფურჩქნებოდა მშვენიერი ვარდი. ვარდი ჯერ მკრთალი იყო, ვით ნისლი, რომელიც ახვევს მდინარეს თავის ჯადოსნურ ჩადრში, მკრთალი—ვით განთიადი და ვერცხლის ფერი, ვით რიყრაყი. ნაზი იყო ვარდი, ვით მზის უკანასკნელ სხივებისაგან შედებილი წყლის ზედა პირი.

ბუჩქმა უფრო მაგრა მიიკრა ეკალზედ ბულბული: „მომეკარ, მომეკარ მაგრა პატარავ,—იძახდა იგი—თორემ დღე გვისწრობს და ვარდი ველარ გადაიფურჩქნება.

ბულბული მთლად თავისი პატარა ძალით და ღონით ეკვროდა ეკალს. მისი სიმღერა კი, რომელშიაც ქებათა ქებას უძღვნიდა სიყვარულს, ზარივით წკრიალებდა.

ოდნავ წითლად შეიღება ვარდის ფოთლები, მაგრამ იგი ჯერ მაინც არ გაცოცხლებულიყო: ეკალი ჯერ არ შესობოდა ბულბულს გულში; მხოლოდ ბულბულის გულის სისხლს, შეუძლიან გაცოცხლება ვარდის გულისა.

ბუჩქმა უფრო დაჟინებით მოსთხოვა ბულბულს რაც შეიძლება მაგრა მიჰკრავდა მის ეკალს.

— ძალიან მომეკარ, ძალიან, ბულბულო, იძახდა იგი,—თორემ ვარდი დილამდინ ვერ აყვავდება.

ბულბულმა მიიწია ახლო, ეკალი შეესო გულში და აუტანელი ტკავილები იგრძნო. ტკივილი უმწვავედებოდა და მით უფრო მომხიბვლელი, ვნებით სავსე სიმღერა წკრიალებდა ჰაერში; იგი ამცნობდა ქვეყანას ახალსიყვარულს, სიკვდილზედ აყვავებულს; ამცნობდა სიყვარულს, რომელსაც იქაც კი ბოლო არა აქვს.



მშვენიერი ვარდი, ვით აღმოსავლეთისა გადაიშალა ბუჩქზედ. აღის ფრად ელავდა ფოთლები და ლალივით გაწითლდა იმისი გული.

ბულბულს კი ხმა მიუსუსტდა, ფრთები შეუფრთხილდა და თვალზედ ბუნდი გადაეფარა. უფრო მისუსტებული ისმოდა იმისი სიმღერა და გული უჩქროლავდა. აი დააკენესა უკანასკნელი ჰანგი. მკრთალმა მთვარემ გაიგონა ეს და გაშეშდა ცაზედ, თითქოს გათენებაც კი დაავიწყდაო. წითელი ვარდი აკანკალდა გზნებისაგან და გადუშალა დილის ნიავს ნაზი ფოთლები.

გამოძახილმა მოიტაცა ეს უკანასკნელი ჰანგი, წაიღო თავის გამოქვამულებში და გააღვიძა მეცხვარეები. ის გამოეხმაურა ზღვის ლერწამს, რომელმაც გადისროლა იგი შუა ზღვაში.

— შეხე, შეხე, წამოიყვია ხემ—ვარდი გადაშლილა. მაგრამ პასუხი არავისგან არ მიიღო. ბულბული მკვდარი ეგდო მალალ ბალახებში, ეკლით განგმირული გულით.

შუადღისას სტუდენტმა გადმოიხედა ფანჯრიდგან ბაღში.

— აი ბედნიერება, — სიხარულით წამოიძახა მან. — წითელი ვარდი! ჩემ სიცოცხლეში ამისთანა არაფერი მინახავს. რა საუცხოვოა! — აქ ყმაწვილმა გაიწოდა ვარდისკენ ხელი და მოგლიჯა. ფიცხლავ წამოავლო ქუდს ხელი და გაიქცა პროფესორის სახლისაკენ ვარდით ხელში. პროფესორის ქალი იჯდა აივანზედ და ცისფერ ძაფს ახვევდა. იმის პაწია ფინიას იქვე ფეხით ეძინა.

— თქვენ ხომ ჩემთან ცეკვას დამპირდით, თუ რომ წითელ ვარდს გიშოვიდით! — წამოიყვია გახარებულმა სტუდენტმა. — აი ყველაზე წითელი ვარდი ქვეყანაზედ. თქვენ გაიბნით იკი გულში, და ცეკვის დროს გაიმბობთ თუ როგორ მიყვარხართ.

ქალმა წარბების შეკვრით მიუგო: — მე ვშიშობ, რომ ჩემ კაბას ეგ სრულიად არ მოუხდება; ამას გარდა, ჩემბერლენის ძმისწულმა გამომიგზავნა ბევრი ძვირფასი ნივთი და თქვენც ხომ კარვად იცით, რომ ისინი ვარდზედ უძვირფასესნი არიან.

— ვფიცავ ღმერთს, უმადური ხართ, — გაჯავრებით წამოიძახა სტუდენტმა და გადისროლა ვარდი ქუჩაში, რომელიც მიმავალმა ეტლმა გასრისა.

— უმადური? — წამოიყვია ქალმა და წამოდგა ფეხზედ, — მე კი გეტყვით, რომ ძლიერ კადნიერი ბრძანდებით. ან რა ხართ თქვენ? მხოლოდ სტუდენტი. მე ვგონებ, თქვენ არც კი გექნებათ ფეხსაცმელებზედ ვერცხლის შესაკრავები. როგორც ჩემბერლენის ძმისწულს. — აქ ქალი სწრაფად შევიდა ოთახში.

— რა საცოდავია სიყვარული — სთქვა სტუდენტმა და წამოვიდა სახლისკენ. — იგი ლოდიკის ნახევრადაც კი სასარგებლო არ არის, რადგანაც არაფერს ამტკიცებს, ჰბადავს რაღაც მიუწულომეღ იმედებს და ოცნებებს. ისევე ჩემ ფილოსოფიას და მეტაფიზიკას შეუდგები.

იგი კიდევ მივიდა თავის სახლში, შევიდა ოთახში, გადმოიღო დიდი მტვრიანი წიგნი და დაიწყო კითხვა.

კატო ბაქ—ძე.



ყვავილეთის ბაასი

ტურფა ველზე გაიშალა
ია, ვარდი და ენძელა,
ბალში ზამბახმა იფეთქა,
ფრთა გამართა ნელა, ნელა!

ჯეჯილმაც ამოიწია,
დანავერდდა შავი ხნული,
ტორლოამ შეინავარდა,
ბალში კი კვნესის ბუღბუღი!

გაზაფხული, გაზაფხული,
ყვავილთ მეფე დაჯდა ტახტზე,
იას, ჯეჯილს და ენძელას
ბაასი აქვთ ახლა ვარდზე!

იამა სთქვა: თვალ-ლორჯა ვარ,
აქა-იქა ვიმაღლები,
ჩრდილოდ მარწყვის ფოთოლი მაქვს,
მაგრამ ვარდს ვენაცვალე!

მისთვის მინდა მე ეს გული,
მასა ვწირავ სიცოცხლესა,
გაუმარჯოს ჩემს საყვარელს,
გაუმარჯოს ჩემს მეფესა!“

ენძელამ წამოიწია,
მასაც მოჰქონდა თავია,
სთქვა: მეც ვითქმები ველზედა,
საცა კარგი და ავია.

მიწასა ვხრამ, მიმაქვს ჩემთვის,
არც ვფარცხავ და არცა ვხნამო,
რომ ვარდია ყვავილთ მეფე,
ამას მეც არ გადავთქვამო!

ზამბახი გაგვიგულისდა,
თქვენ თუ ქებას ეტყვით ვარდსო,

მეც ხო მისი მორჩილი ვარ,
მისთვის ვხმარობ მეც-კი ხმაღსო!

შემომხედეთ ბალში ვზივარ,
არ ვარიდებ მე ვარდს თვალსა,
რომ აცოცხლოს ყვავილთ მეფე,
მეც-კი ვევედრი უფალსა.

საწყალი ჯეჯილი კვნესის,
ის ნიავს ეხურჩულება,
მე არ ვიცი და არც მინდა
ყვავილთ მეფის ქებათ ქება!

ამბობს „გლებმა მომიყვანა,
მე მისი ვარ, მხოლოდ მისი,
აი აქ იტანჯებოდა,
ბარ-საკვეთი და სახნისი!

გლების ოფლი ძირს გამიდგამს,
დილის ნამი დამბანს პირსა,
თქვენ ვარდი დასვით მეფეთა,
მე არ შევიცვლი ჩემს ნირსა!

დეე, ვარდი იყოს მეფე,
და ენძელა მიწას სწოვდეს,
იამ თვალი აჟუჟუჟუნოს,
ზამბახი კი ლოკულობდეს;

ჩემი მეფე გლები არი,
იმას ვეტრფი ერთათ ერთსა,
გაუმარჯოს მის მარჯვენას,
გაუმარჯოს მხვენელ-მთესველსა!“

მის სიტყვებზე შესწყდა ბჭობა,
დაეთანხმა მას სუყველა;
და გაისმა ამ დროს მინდვრათ
გლების ტკბილი ჰოროველა.

ი. ევლოშვილი.

ა ტ მ ე ბ ი

(გუძღვნი ქართველ თავადაზნაურობას)

ერთხელ ჩვენ, ლიცის მოწაფეებს
წვეულება გვქონდა გამართული.

სხვა ამხანაგთა შორის იქა ვნახე ერთი
მათგანი, ოცდა ხუთის წლის დაკარგუ-
ლი, ვიტალ ჰერბელი.

ოთახში დიდი ხმაურობა იყო: ამხანა-
გები ერთმანერთს ეგებებოდნენ, ლაპარა-
კობდნენ შენობით, როგორც შეჭფერო-
დათ და ამასთანავე ამჩნევდნენ ურთიერთს
ცხოვრებაში ცვლილებებს, მომხდარს
საუკუნის მეოთხედის განმავლობაში; ამას
მოჰყვა ბაასი მნიშვნელოვანის საქმეების
გამო, სადღეგრძელოები, მოგონება წარ-
სულის, სკოლის დროის ჭირვარებისა და
უმთავრესად იმ ტკბილის დღეებისა, რო-
დესაც ყველა ჩვენგანის ოცნება ჯერ კი-
დევ გარს დასტრიალებდა პანდორის
ყუთს, მბრწყინავის იმედებით სავსეს.

მე ძალიან გავკვირდი რა დავინახე
ვიტალ ჰერბელის განსხვავება ჩემის მეხ-
სიერების წარმოდგენაში. როგორც მახ-
სოვდა, ის იყო შტატ გარე მოხელე და
აპიროდბა სამმართველოში შესვლას, ამას-
თანავე იყო მშობარა, მაგრამ კოხტად
ჩაცმული, მასიამოვნებელი კაცი. ეხლა
კი წინ მიდგა ვაჟკაცი, მოსული, ბრვე,
მზისაგან დამწვარის სახით და მალაღის,
წმინდა ხმით ისეთის კაცისა, რომელიც
არა ფიქრობს წარმოსათქმელის სიტყვის
აწონ-დაწონას. მისი ძალზედ მოპარსული
თავი, ინგლისურის დრაფის ტანისამოსი
და მარაოსავით გამოყვანილი ჭალარა
წვერი საკმარისი იყო, წარმომედგინა მი-
სი თავისუფალი, თამამი პიროვნება, რო-

მელსაც საერთო არა ჰქონდა რა მოხე-
ლესთან.

— ეგრე რამ შეგცვალა? სამმართვე-
ლოში აღარა მსახურებ? დავეკითხე გა-
კვირვებით.

— არა, ჩემო ძველო მეგობარო. მი-
პასუხა, მე მხოლოდ უბრალო მეურნე
ვარ. ვცხოვრობ აქედგან ახლო, სოფელ
შატერენში. იქა მაქვს საკუთარი მიწა-
წყალი; ცოტაოდენს შემოსავალსაც ვი-
ღებ, მომყავს პური და ღვინო, რითაც
შემიძლიან ვაგიმასპინძლდე თუ მეწვევი.

— მაშ ეგრე, წამოვიძახე, შენ, ბიუ-
როკრატის შვილმა, შეუდარებელმა მო-
ხელემ, ვისაც ბრწყინვალე მომავალს გი-
ქადოდნენ, თავი დაანებე ყველა ამას და
მეურნე გახდი?

— დიახ, საუბედუროდ.

— მერმე და ეს როგორ მოხდა?

— იცი შენა, მიპასუხა სიცილით, ძა-
ლიან ხშირად უბრალო საქმეს დიდი რამ
მოჰყვება ხოლმე... წარმოიდგინე, ჩემი
სამსახურიდგან გამოსვლის მიზეზი მხო-
ლოდ ორი ატამი იყო.

— ორი ატამი?

— მარტო ორი, არც მეტი და არც
ნაკლები. თუ ისურვებ, აი ყავას რომ
შევექცევით, შატერენამდინ გამომყევ და
გიაშობ, როგორ იყო საქმე.

ავვისტოს უკანასკნელის დღეების ნა-
შუადღევი იყო, როდესაც მე და ჩემი
ამხანაგი ვიტალი წვეულებიდან გამოვე-
დით და ციგარის წვეით გავჰყევით ერთს
თხრილს. ვიტალმა დაიწყო:

— როგორც იცი, მითხრა, მე მივდე-
 დი ხელობას მიმიჩემისას, რომელმაც ჩემ-
 თვის, როგორც მოხელემ, საუკეთესოდ
 სწო ბიუროში სამსახური.

გავათავე თუ არა ეგზამენები, დამაჩ-
 ქარეს სამმართველოში შესვლას, სადაც
 მსახურებდა მამა ჩემი. ასეც მოვიქეცი.
 უნდა მოგახსენო, მე მაშინ არა მქონია
 განსაზღვრული მოწოდება რომელიმე
 ასპარეზისა. ეს იყო მიზეზი სწორედ იმი-
 სა, რომ ჩემს ბედს ადვილად დავემორ-
 ჩილე და გამოვედი, საბიუროკრატო, სა-
 ზოგადო ასპარეზზე, სადაც ჩემს მამა პა-
 პას ასე თუ ისე გამოჩენილი ადგილი
 ეჭირა. მე ვიყავი შრომის მოყვარე, ზრდი-
 ლობიანი და ამასთანავე ბავშობითვე შე-
 თვისებული და შეგონებული მქონდა სა-
 კიროება უფროსის მოხელეების პატივცე-
 მისა და სამმართველოს დამორჩილებისა.
 მალე ჩემის კარგის ყოფაქცევითვის, სამ-
 მართველომ ორდენებით დამაჯილდოვა.
 ოცდა ხუთის წლისა ვიყავი, როდესაც
 სამმართველოს გამგემ თავის ბიუროში
 ჩამრიცხა. ჩემს ამხანაგებს შეეშურდათ.
 ყველგან დიდებულს მომავალს მიქადოდ-
 ნენ და სწამდათ აგრედვე ჩემი მომავალი
 წარჩინება მოხელეობაში. რამოდენიმე
 ხნის შემდეგ ჯვარი დავიწერე. ვითხოვე
 ერთი ლამაზი, ახალგაზდა, მოყვარული
 და გულკეთილი, მაგრამ უმზითვო ქა-
 ლი. ჩემმა ამხანაგებმა მიზრახეს, მაგრამ
 ზოგი მათგანი არაფერსა ხედავდა საზრ-
 ხის და ამასთანავე კანონათა ჰქონდა
 მიღებული: თუ ქმარი საუზმეს იშოვნის,
 ცოლმა უნდა იშოვნოს სადილიო. მე და
 ჩემი მეუღლე, ამნაირად, ვცხოვრობდით
 ღარიბათ და ძლივს-ძლივობით პურსა
 ვჭამდით. ამ გარემოებამ ჩემი ძვირი ალა-
 პარაკა ხალხსა; ასე რომ, ბოლოს ერთმა
 ჩემმა ამხანაგმა, ბურჟუამ, პირდაპირ

მითხრა, სულელი ხარო, შენი ბედი შენ-
 ვე დაპვეო.

მიუხედავად ჩემის ცოლის სილამაზისა
 და გულკეთილობისა, ჩვენის მშვიდის,
 გაჭირვებული ცხოვრებისა, მე ჩემმა ამხა-
 აგებმა წინდაუხედველად ჩამთვალეს, მაგ-
 რამ განაგრძობდნენ ჩვენს, ასე თუ ისე,
 პატივის ცემას და ოჯახში მიღებას. ჩემი
 სამმართველოს გამგე იყო მდიდარი კაცი
 და ამასთანავე იკვებნიდა თავის გავლენას
 ხალხში. უყვარდა სტუმრების მიღება და,
 აგრედვე, გამართვა წვეულებისა; მოიწ-
 ვევდა ხოლომე თავის მოხელეებს და ქა-
 ლაქის შესანიშნავ პირებს მათის ცოლ-
 შვილით. ერთხელ, ერთს ასეთს წვეუ-
 ლებაზედ მარტოკა წავედი, თუმცა შინ
 დარჩენა მინდოდა, მაგრამ არ დავრჩი,
 რადგან ვიცოდი, რომ მასპინძელს ეწყი-
 ნებოდა.

სწორედ ამ დროს გაიმართა ბალი დი-
 რექციაში, სადაც მე იძულებული გავხ-
 დი, წავსულიყავი და ჩამეცვა ჩემი შავი
 ფრაკი.

წასვლის წინ, როდესაც მე ყელსახვევს
 ვისწორებდი, ჩემი ცოლი მომიბრუნდა
 და რჩევით მითხრა:

— ესეც კარგი, მაგრამ არ დაგავიწყ-
 ყდეს, ყველაფერი კარგად დაათვალიერე
 და მომიყევი მოსვლისათანავე. ვანსაკუთ-
 რებით ყურადღება მიაქციე ქალების სა-
 ხელს, მათ მორთულობას და საქმელებს...
 როგორც ამბობენ, ბევრი კარგი რამ დაი-
 ბარეს შევესაგან... ხილი; მართლა, იქ
 ატმები იქნება თვითო სამ ფრანკიანი...
 ოჰ, რა კარგი იქნება, რამოდენიმე ატამს
 მომიტანდე.

მე მაშინვე შევაწყვეტინე; გავიგე რის
 თქმაც უნდოდა და დავუწყე შთაგონება.
 ვეუბნებოდი, რომ შეუძლებელი იყო
 ასეთის საქმის ჩადენა. შეუძლებელი იყო



სხვის დაუნახავად ნაყოფების ჯიბეში ჩაპარება, მით უმეტეს, რომ შავი ფრაკი მეცვა. მე მარტო ამ სიტყვებს არ დაეჯერდი და განვაგრძე შთაგონება, მაგრამ ამაოდ; ჩემმა ბაასმა მის ჟინს ფრთები შეასხა და არ შეუკვეცა.

— სრულებითაც არ არის ძნელი!.. — ამტკიცებდა ისა. — ვინ უნდა დავინახოს იმდენ მისვლა-მოსვლაში და ხეაურობაში... აიღებ ატმებს, ვითომც შენთვის და ხელად დამალავ... ნულარ ყოყმანობ!.. ვსთქვათ, ეს ჩემის მხრით სიბავშვეა, მაგრამ მე მაინც ასე მინდა; კარგი ხანია რაც ატმების ქება მესმის და სულ დამიყინია, როგორმე გემო მაინც გაუშინჯო...

მომეცი სიტყვა, — ფიცი მომეცი, ერთს მაინც მომიტან!..

როგორ ეტყვი ცივს უარს ქალს, რომელიც ასე გაგიჟებით გიყვარს, როგორც მე?.. ბოლოს წავიბუტბუტე და გაუგებლად, ბუნდოვანის სიტყვებით მივეცი პირობა. წასასვლელად მოვემზადე და ხელი კარის გასაღების ტარს მოვაკლე, როდესაც ჩემმა ცოლმა დამიძახა მე მოვბრუნდი და დავინახე ორი ცის ფერი თვალი, ჩემსკენ მოქცეული და გაბრწყინებული გამოაუთქმელის სურვილით.

— მაძლევ თუ არა სიტყვასაო? მეუბნებოდა.

ბიკენტი ს. თაბუკაშვილისა.

(დასასრული იქნება)

შინაური მიმოხილვა

რუსული ენის სახელმძღვანელო და ზოგი ჩვენებური „ვედაგოგიჩკები“; ხონის საოსტატო სემინარიის მასწავლებლის ფ. იანოვიჩის მ-ხსენება ბ-ნ ი. გოგებაშვილის „РУССКОЕ СЛОВО“-ს შესახებ; კ. მაქავარიანი და ტერ-გასპარიანი.

შურნალ „განათლება“-ში ბევრჯერ უთხრეს დასტამბული წერილები სახალხო სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ. დღესაც ზოგიერთს ჩვენებურს სკოლებში რუსული ენის სწავლება ისეთის სახელმძღვანელებისა და მეთოდის ხმარებით სწავლობს, რომ ნამდვილი ზედგოგი განცვიფრებაში მოდის; ვინ ატანს ძაღს ამ დაღოცვილებს, რომ თვითონაც იტანჯებიან და ბავშვებსაც აწამებენ უხერხული, შეუსაბამო წიგნებისა და მეთოდის წყალობით! ამ უკუდმართობაში ზირველი ადგილი ქალაქის დასაწყისი სკოლების მასწავლებლებმა, ქართველმა ქალებმა დაიჭირეს, დღესაც ისინი მტკიცედ ადგანან ამ მრუდე გზას და სხანს ისე გაწაფულან

ამ უკუდმართობაში, რომ „შეჩვეული ჭირი უჩვენიათ შეუჩვეულ ღზინსა“.

არ ვიცი თუ სხვა ქალაქებში რა მოსაზრებით ხელმძღვანელებს ჩვენებურ ბავშვების რუსული ენის სწავლებაში, მაგრამ ჩვენ დედა ქალაქ ტფილისში რომ ამ საგნის სწავლების დროს უკუგდებულა უოველგვარი სავი ზედგოგიური მეთოდები, ეს უკუდასათვის ცხადია. ტფილისის ქალაქის სკოლების მასწავლებლები, რომელთა უმეტესობას ჩვენი ქალები შეადგენენ, ხშირად ცვლიან რუსული ენის სახელმძღვანელო წიგნებს, მაგრამ დღემდის ვერ მიუგნიათ სუკეთესობისთვის და ან ვერ არჩევენ ერთმანეთში უფარვისს და უკეთესს. ეს ხშირი ცვლა სახელმძღვანელო წიგ-

ნების ან იმის დამამტკიცებელია, რომ ერთის უვარგისობა უკვე შეუგნიათ და ცდილობენ მეორე უვარგისი წიგნით შეასწორონ ეს შეცდომა და ან, როგორც ერთმა ნაცნობმა იახუნჯა, სახელმძღვანელო წიგნებს ჩვენი მასწავლებელი ქალები ისე უეურებენ, როგორც „მოდნის შლიაპებსა“. მართლაც ზოგი ჩვენებური მასწავლებელი ქალი, გამოვა თუ არა რაიმე ახალი რუსული სახელმძღვანელო, როგორც უნდა იყოს და ვისთვისაც უნდა იყოს დაბეჭდილი, თუნდ „ОХОТА ПУЩЕ НЕВОЛИ“*), მაშინვე შემოიღებენ სკოლაში სახელმძღვანელოდ; იმას კი არ დაგიდევენ თუნდ ამით „ვაისგან უის შეუვარონ“.

ჩვენში ჯერ კიდევ უგელას ვერ შეუგნია საკმარისად, რომ ჩვენებურის დასაწიისის სკოლებისათვის კარგა ხანია გვაქვს ზედგოგიურად შედგენილი, საუკეთესო ზედგოგობისა და მეცნიერთა მიერ მოწინებული სახელმძღვანელო რუსული ენისა ჩვენი მსცოვანი ზედგოგის ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი „РУССКОЕ СЛОВО“ I და II ნაწილი, რომელსაც ზოგიერთი ჩვენებური უგელაფრის უცხოს მოტრფილა „ზედაგოგიკა“ ისე როგორც თათარი ან ურია ღორის ხორცს გაურბის. მერქე აქვთ კი რაიმე საბუთი, ან სადი ზედგოგიური მოსაზრება, რომ ასე იქცევიან? სწორეთ რომ ზოგი ჩვენებური „ზედაგოგიკები“ ამ გონიერს საბუთებზე და ზედგოგიურს მოსაზრებაზედაც მწერლად ბრძანდებიან, თორემ ერთი მათგანი მანინ საჯაროდ ხმას ამოიღებდა და ჟურნალ-გაზეთების საშუალებით ამცნევდა საზოგადოებას, — რომ ის, რაც სხვებს საუკეთესოდ მიაჩნია, მათის აზრით, შესაწინარებელი არ არის და დამამტკიცებდნენ კიდევ. მაგრამ ამისთვის თავი არაფის ასტი-

ვებისა და ისე კი თავისებურად განაგრძობენ უვარგის სახელმძღვანელოებით რუსულის სწავლებას.

ჩვენს შვითხელებს მიუთითებთ ერთს საუკუნადებო მოხსენებაზე, რომელიც დასტამბულია კავკასიის სასწავლო ოქტის ამა წლის თებერვლის ცირკულარში. ეს მოხსენება კეთუანის ხონის სამასწავლებლო სემინარიის რუსული ენის მასწავლებელს ვ. იანოვიჩს და ეხება უფრო ბ-ნი გოგებაშვილის „РУССКОЕ СЛОВО“-ს ორსავე ნაწილს. ბ-ნი იანოვიჩი არჩევს ვოლჟერის, დავისის, კორხნაიდის და გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებს და ქართული სკოლებისათვის უგელაზე მადლა აუენებს ჩვენი ზედგოგის „РУССКОЕ СЛОВО“-ს. საჭიროდ მიგვაჩნია ბ-ნი იანოვიჩის მთავარი მოსაზრება ამ სახელმძღვანელოს შესახებ მოკლედ გავაცნობთ ჩვენს შვითხელებს.

ბ-ნი იანოვიჩი ამბობს—უმთავრესი ღირსება ბ-ნი გოგებაშვილის წიგნებისა იმაში გამოიხატება, რომ მასადა აღებულია ადგილობრივის ბუნებიდან და ცნოვრებიდან, რაც ადვილად გასაგებია მოწაფეთათვის. მასადა დალაგების სისტემა, განსაკუთრებით ლექსიური მასადასა, საკმარისად აკმაყოფილებს ზედგოგიურს მოთხოვნილებას: გადავიდნენ სწავლების დროს მარტივიდან რთულზე, მხლობელიდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობზე; ამას გარდა კონცენტრიულად დალაგება საკითხავ მასალებისა და სხვა ენის შესასწავლო სვარჯიშობებისა ნებას აძლევს ლექსიური მასადას ხშირად გაიმეორონ სხვა და სხვა გრამატიკულ ფორმებით, რაც ხელს უწყობს მასადას მტიკედ შეთვისებას, მოწაფის მეხსიერებისა და შეგნების გამაგრებას. გარდა იმ მასადასა, რაც ეხება ადგილობრივს ცნოვრებას და ბუნებას, ბ-ნი გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში მოთავსებულია რუსთა სამაგალითო მწერლების ზატარ-ზატარა სტატიები, ლექსები და იგავ-არაკები.

*) ახალი წიგნია რუსთა სკოლებისათვის, ეს წიგნი ზოგს ჩვენს ქალებს ძლიერ მოსწონს, თუმცა სრულიად მოსაწონი არ არის ჩვენებურს სკოლებისათვის.



ბ-ნი გოგებაშვილის წიგნებსა, — განაგრძობს ბ-ნი იანოვიჩი, — როგორც რუსული ენის სხელმძღვანელებს ქართველ მოწაფეთათვის კიდევ ერთი უტყუარი ღიბნება აქვს. იქ შეხედებით საკმაო რიცხვს მასალებისას, რომელიც გადმოთარგმნილია ან ვადმოკეთებული ქართულიდან. ამისთანა სტატიები მოთავსებულია „დედაენაში“, რომლითაც ბავშვები სწავლობენ დედაენას. ეს ზარალეული სტატიები ხელს უწყობენ რუსული ენის შესწავლას დედაენასთან დაკავშირებით, რაც ექვს გარემოება ძლიერ კარგად იმოქმედებს რუსული ენის შესწავლის წარმატებაზე. მეორე წიგნის ბოლოში ჩართულია მოკლე ქართული ფრაზები რუსულად გადასთარგმნად და რუსულ-ქართულ გრამატიკული ფორმების შესადარებლად. ბოლოში ჩართული აქვს რუსულ-ქართული ლექსიკონი, რაც საჭიროა მოწაფისთვის თავისუფლად კითხვის დროს და სხ.

შემდეგ ბ-ნი იანოვიჩი თავის ვრცელ მოხსენებაში განმარტავს რუსული ენის სწავლების წესს. აქ ავტორი უტყუარი ზედაგოგოურის მოსაზრებით ამტკიცებს, რომ თვალსაჩინო ბასთან ერთად საჭიროა მშობლიური ენის დანშარებაც, რომ ბავშვმა რაიმე ბუნდოვანი ცნება არ შეადგინოს, რაც ხელს უშლის მისს განვითარებას. თარგმნა საჭიროა არა მარტო განეებებულ ცნების გადაცემაში, თვით თვალსაჩინო საგნების შესწავლის დროსაც. მაგ. „ცა“. მასწავლებელს ეოველთვის შეუძლია დანახოს მოწაფეს ცა; მაგრამ ამავე დროს მოწაფეს შეუძლია აერიოს ცნებები: ცა, ღრუბელი, ნისლი, ქარი, მზე და სხ. ასეთივე არევა ცნებების სხვა დროსაც მოხდება. ამიტომ ამ შემთხვევაში რუსულ სიტყვას, რომელიც ამა თუ იმ ცნებას ხატავს, მასწავლებელმა გვერდში უნდა ამოუყენოს ამ ცნების გამხატვლი მშობლიური სიტყვაც, ამ სხით არევა ცნებათა არ მოხდება და ერთბაშად ცხადი შეიქმნება შესასწავლი სიტყვის ნამდვილი აზრი.

ამ აზრსავე ჰქადაგებდა ჩვენი მხტოვანი ზედაგოგი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი: „ეს აზრი უტყუარი ზედაგოგოური აზრია და მისი შეგნება და სწავლების დროს განხორციელება ვალად აწკეს ეგვლა მასწავლებელს.“

ბ-ნი იანოვიჩის თავის ვრცელი მოხსენების ბოლოში ჩამოთვლილი აქვს ბ-ნი გოგებაშვილის „Русское Слово“-ს მიხედვით სწავლაში ხელსაწყო ეგვლა ნივთები და მათი მშარების წესი. საჭიროა ჩვენებური სახალხო სკოლების ეგვლა მასწავლებელი გაეცნოს ბ-ნი იანოვიჩის ვრცელს მოხსენებას და იხელმძღვანელოს იმ სად ზედაგოგოურის მოსაზრებით, რაც კატარბული აქვს მას თავის მოხსენებაში. ეს ერთის მხრით, მასწავლებლებისათვის სავალდებულად არის, როგორც სამოსწავლო მთავრობის ორგანოში დასტამბული მასალა და მეორეს მხრით დამატკიცებელია იმისი, რომ სამოსწავლო მთავრობა იმდენად არ სდეგნის „Русское Слово“-ს სკოლებიდან, როგორც თვითონვე ზოგოერთი უგუნური მასწავლებელი, ან მათი უგუნურივე ხელმძღვანელი.

ქუთაისის გუბერნიის მესამე რაიონის ეოფილი სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი კ. მაჭავარიანი დღეს ყურნალ-გაზეთებში ნიანგის ცრემლებსა ჰდგრის და დასტირის სახალხო სკოლების და მის მასწავლებელთა ბეჩავს მდგომარეობას. უეტველია ეგვლას ახსოვს ბ-ნი მაჭავარიანის საქციელი „ჟამს მას, ოდეს იუო იგი უფლებასა შინა“. ეს იგივე მაჭავარიანია, რომელმაც ერთ დროს, როცა მასწავლებლებმა გამოფხიზლება იგრძინეს, „ოცდა ერთი“ ცნობილი მცნება დაუგზავნა მის რაიონში მეოთხე მასწავლებლებს, რომელთაც მუხჯად ხდიდა, ხელთქეს უბოკავდა და ხალხში გარევის და სახალხო სამიოთხველოში შესვლის ნებასაც კი არ აძლეოდა.

ეს „ოცდა ერთი მცნება“ კარგათ ახსოვთ

მასწავლებლებს და მეტ მათ მუხლებრივ ჩამოთვლას აღარ შეეუდგები. ნუ თუ დაავიწყდა ბ-ნ მასწავარანს, რომ მან გურიის ზოგიერთ სოფლებს ძალათ მოახვია თავზე რუსი მასწავლებელი ქალები, რომელთა მოშორება დღეს საჭირო-ბოროტო კითხვით გარდაქცევა საბრძოლო ხაზს. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ბ-ნი მასწავარანის როლი ს. ჭინკათხევში (ძანსუღში) ქ. შ. წ.-კითხ. გამ. საზ. სკოლის გახსნის საქმეში 1908 წ. უკვლავ ამის შემდეგ მოდი და ნუ წამოიძახებ: „საგვირგვალ არიან უფალო საქმენი შენი“-ა, ვის უნდა აუხვიოს თავლები ბ-მა მასწავარანმა თავისი დღევანდელი წერილებით? თუ კი მას ასე მშვენივრათ ჰქონდა შესწავლილი სახალხო სკოლის და მისი მასწავლებლის უნებკომოდგომარება, თუ კი ის ასეთი სადი ზედა-გოგიური შეხედულებისა ბრძანდებოდა ეროვნულ სკოლაზე, სამშობლო ენაზე და სხვა ასეთ მცნებებზე, სად ბრძანდებოდა ეს დალოცვილი მაშინ, რაღა თვით მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული? რატომ მაშინ ოდნავაც მაინც არ იხენდა ის იმ მამულიშვილობას, რაც დღეს მას წარამარა ენაზე აკერია და სხვებს უკაოინებს მის უქონლობას?

სანამ ბ-ნი მასწავარანის ტყავს საფრთხე მოელოდა, იგი მჭერმეტყველურათ სდუმდა, და დარაჯათ ედგა ბევრს სწორეთ იმ უკუღმართობას სახალხო განათლების საქმეში, რასაც ესლას თავ-გამოდებულათ გომბს იგი. ჩვენის აზრით ესლას ისევე განუშემა სჯობდა, რადგან „ბოლო“ ძლიერ ნათლადა სჩანს და უფალოივე სიტყვა ძალა-უნებურათ გვაგანებს ქართულ ანდაზას: თიცი მწამს, ბოლო მსკვირვებს.

ბ-ნ მასწავარანს არც მისი მოადგილე, ბ-ნი ტერ-გასპარანციც ჩამოეჩება უკუღმართ სასკოლო ზოლიტიკის მეტის მეტ ერთგულე-ბაში; მან, ზირიქით, მეტნი კიდევ გადასჭარბოს ამ მხრით ბ-ნ მასწავარანს და, რომ იტ-

უვიან, „ეკლისა ადგილს ამოსუდა ეკლისა არის წესიო“ სწორეთ ის მოხდა. ბ-ნი მასწავარანი თუ ხან და ხან ზირში მაინც მოეფერებოდა საბრძოლო მასწავლებელს და ტკბილი სიტყვით მაინც გაისტუმრებდა, ეს სამაგიეროთ დეთის რისხვით მოეგვინა ისედაც დამფრთხად და დაბეჯებულ სოფლის მასწავლებლებს და ღამის თავზარი დასცეს უკვლას. თავდაზირველად იგი საქმის კაცს ჰგავდა. ვიდაც „უცნობის“ ზირით მან ბათუმის გაზეთის წასული წლის ფურცლებზე დიდა ამბით გვამცნო მისი სამექმედო ზრეგრამა და ვინ იცის რას არ გვზირდებოდა.

„მე მინდა სახალხო სკოლა ავამალო, ვსცდილობ მასწავლებლების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე... დიდი მომხრე ვარ სკოლებში სამშობლო ენის სწავლებისა... ქართული ენა ვიცი და კიდევაც მოფითხოვ სწავლებას. ამისთვის დაფურივე უკვლავ მასწავლებლის 81 წლის სამოსწავლო ზრეგრამა... და სხვ. და სხვ.

ბ-ნ უცნობს, თითქოს თითონაც არ სჯეროდა გასპარანცის სიტყვები და ბოლოს უმატებდა „თუ რამდენათ გულ-წრფელია ბ-ნი ტერ-გასპარანცის სიტყვები, ამას მომავალი დაგვანახებს“ და სხ. ამ მომავალმა კი სრულებით წინააღმდეგი დაგვანახა. დავიწყეთ იქიდან, რომ ის რეგორც ეს არა ერთხელ იყო აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე, მეტის მეტათ მიუკარებელი და ფორმალისტი კაცია; მასწავლებლებს ისე ექცევა, რეგორც ცუდი „ხაზენი“ თავის მოსამსახურეს. კაცი გული აქვს და ვინმემ გაბედოს უბრძოლო სიტყვის შებრუნება, თავისუფლათ მისთან დადგომა, თუ დაჯდომა და სხ. ასეთები, ის მაშინვე უკმეხ შენიშვანს მისცემს, ან გამოგდებით დაემუქრება, ან და კიდევ რომელიმე უმაღლესი მოხელის სახელით ვინ იცის რას არ დაზვირდება. ეს კიდევ არაფერია; საბრძოლო სოფ-



ღის მასწავლებლები ამისთანებს კაი ხანია დაჩვეულნი არიან; მათ რომ არაფერს აზარაობს არ უწევს, ეს კარგათ იცინან, მაგრამ იმ დროს დაე გრძელდებოდა რომ დროზე ვეღარ დებულბოტენ, ეს კი მათთვის აუტანელია. რა მიზეზია არაფერს იცის და ბ-ნი ინსპექტორი სმიხად რამდენიმე თვეებით ჯამაგირს არ უგზავნის მასწავლებლებს. არიან ისეთებიც, რომელთაც 1911 წ. ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირები ჯერ კიდევ არ მიუღიათ, მაუხუ-დავით იმისა, რომ ეს თულები კაი ხანია წარმოდგენილია სოფლებიდან ხაზინაში. რა ქნას საბრალდო მასწავლებლებს: თუ მოსწიკა რამე და სთხზავს ინსპექტორს, ის ან სულ არ უზახუბებს, ან თავისებურათ მუქარას შე-უთოვლის; თუ ადგა და ზირადთ ეახლა, კიდევ უარესი დღე დაადგება: უხემთ როგორ გაბე-დე წამოსვლა, ამისთვის სამსახურებიდან დაგით-ხზოვ და სხ. ის სსსტიკათ უკრძალავს მას-წავლებლებს მისდა უხებურათ ფეხი გადადვას სკოლიდან, ამავე დროს კი მასთან მისულ მასწავლებლებს, ან ადგილის მთხოვნებს სია-მთხოვნებით ამუშავებს თავის კანცელარიაში; ერთს ამას წინათ თურმე თავისი ნივთებიც კი აზიდვინა ბინიდან ბინაზე. ფრად დამახა-სიათებელია ბ-ნი გასპარანისის სიტყვები ერთი მასწავლებლისადმი; რცა მას მოახსუ-ნეს ეს და ეს მასწავლებლები ამდენი ხანია უჯამაგიროდ სხედან, მან დომშვიდებით უზა-სუს: Пускай голодают-ო და სხ.

ახლა ვხანთ, როგორ ასრულებს ეს ვაუ-ბატონი თავის დანაშირებს უცნობისადმი სამ-შობლო ენის სწავლების „ღიადი მომხრეობის შესახებ“. ამის წინააღმდეგის დასმტკიცებ-ლათ, სხვა ფაქტებიც რომ არა იყოს, სკამა-რისა დაგასახელოთ მის მიერ შედგენილი და დარკიებული „Планъ письменныхъ ра-ботъ по рус. яз. и ариѳметикѣ“. აქ თქვენ ხუდავთ მთელ რიგს სწორ სავარჯი-შობისას რუსული ენიდან, რომელიც სავალ-

დებულათ შესრულებულ აქნას ზირველ განხერ-ფილებაში ე. ი. სწავლის ზირველ წელს, მა-შინ რცა მისგანვე ახლათ დარკიებული 81 წლის ზირგრამა სულაც არ მოითხოვს ზირ-ველ წელს რუსული წერა-კითხვის სწავლებას ერგონულ სკოლებში. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მან წინააღმდეგ მისი მტკიცებისა იმავე „უცნობთან“ ღამარაკის დროს, ქართული ღამარაკი არ უნდა იცოდეს და როგორ შეუქ-ღია შეამოწმოს სკოლაში ამ ენის ცოდნა ბავ-შეების მიერ. როგორც ამბობენ ამასთან მას თითქოს კიდევაც უთქვამს ერთი მასწავლებ-ლისათვის „რუსული წერა-კითხვა ზირველ წელს უნდა დაიწყოთ“, ხლოდ მეორე მას-წავლებელთან ღამარაკის დროს „ქართული ენის ქართულ ენაზე სწავლების შესახებ“, შემდეგი მარგალიტები წარმოუთქვამს: მე ვასწავლიდი სომხურ სკოლაში სომხურს რუ-სულ ენაზე და მშენიერათ მიდიოდა საქმეო. ამის შემდეგ რა გასაკვირი იქნება, რომ მან ერთ მშენიერ დღეს კიდევაც გამოაცხადოს: ქარ-თული ენა რუსულათ ასწავლეთო... უველათე-რი შეიძლება ჩვენს დროში!..

სხანს ბ-ნ გასპარანის ბ-ნ მაჭარარანისავით კარგად შეუთვისებია ის აზრი, რომ მასწავ-ლებელათ ქვეყანა, ის „უდადლო სოფელია“, რომელშიაც თავისუფლათ შეიძლება უჯობთ სიარული და ისე მოიტკეპი, როგორც კსურს. ერთ ხაიკათ ისინი მართლები არიან: ჩვენი სსხლხო მასწავლებლები მართლაც რომ სა-ცარი ხალებია. რამდენიც ცნებასთ შავიწრო-ვეთ. წაართვით უფლებას, ამოკლიჯეთ ენა, შეუღახეთ წმინდათა წმინდა, ის მაინც უვე-ლაფერს ითმენს, ხმას არ იღებს, თითქოს არც კი ფიქრობს თავის მდგომარეობაზეო. მაგრამ ქვეყანაზე უცვლელი არა არის რა და მეც იმედი მაქვს ოდესმე ისინიც დაუფიქ-რებინთ თავიანთ მდგომარეობას და ეცდებიან დირსულათ ატარონ ღიადი სსხელი სსხლხო მასწავლებლისა.

ხეების დარგვის დღესასწაული

მრმოცი წლის წინად ამერიკაში ერთი ფრიად სასარგებლო ჩვეულება შემოიღეს—ხეების დარგვის დღესასწაული. 1872 წლიდან ეს დღესასწაული ყოველ წელიწადს იმართება, ასე რომ ამერიკაში, იგი თითქმის ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ამერიკელები იმ აზრისანი არიან, რომ შთამომავლობაც ისეთის მოკრძალებით უნდა ეპყრობოდეს „მუხას“ და სხვა ხეებს, როგორც მათი წინაპრები ერთ დროს პატივსა სცემდნენ ხეებს.

ყოველ წელიწადს გაზაფხულზე, როცა ხეების დარგვის დრო დადგება, ამერიკულ სახელმწიფოში ჟურნალებში იბეჭდება შემდეგი ტეზისები, ჭეშმარიტი აზრები, რომელიც საზოგადოთ შეესაბამება ამ ყოველ წლიურ დღესასწაულს. ეს ტეზისები უმთავრესად აგონებს მკითხველებს საზოგადოთ ხეების მნიშვნელობას ქვეყნის სიმდიდრისათვის და კერძოდ მის დანიშნულებას მეურნეობაში. მოკლედ ეს ტეზისები ასეთია:

„ტყეს გავლენა აქვს ქვეყნის ჰავაზე. იგი აზომიერებს სიცხე-სიცივეს და ხელს უშლის ანაზღაურებად ამინდის შეცვლას, რაც მოსავალს ავნებს“.

„ტყე ეხმარება მიწის მუშაკს, იგი იფარავს ჭინახულს“.

„ტყეში ყოველ წელს მრავლად გროვდება წვიმის წყალი, ვიდრე გაშლილ მინდორში, ამ დანალექის ერთს მეათედს ფოთლები იჭერს და შემდეგ თან და თან წვეთ-წვეთად დაეცემა მიწაზე. ეს ზედა-

გისათვის უკეთესია, ვიდრე ერთბაშად მორწყვა მიწისა ბევრის წყლითა“.

„ფოთლების ხალიჩა ტყის მიწაზე ღრუბელს მოგვაგონებს, რომელიც გაიჟღინთება წვიმისა და თოვლის წყლითა; იგი შეიკავებს სინოტიეს, რომელიც ნელ-ნელა გაიჟონება ზედადის ღრმა შრეებში. ეს ღრუბლის მაგვარი ჩახურებული ფოთლები იმდენად იცავს მიწას ყინვისაგან, რომ შეუძლია შეიწოვოს სინოტიე“.

„ხმელ ტოტებს, ხეების ტანს და მსხვილ ძირებს, რომელიც მიწის ზემოდ სჩანს, შეუძლიან მალლობიდან მომდინარე წყალის შეჩერება და ამით ხელს უწყობენ წყაროებისა და მდინარეების ნელ-ნელა საზრდობას“.

„როცა ტყესა ჰკაფვენ და მიწას ზედა პირს ცეცხლს უკიდებენ, ღრუბლის მაგვარი ფოთლების ზეწარიც იწვება; დამდნარი თოვლისა და წვიმის წყალი ნიაღვარად დაექანება მთის ფერდობზე და დიდი ზარალი მოაქვს“.

„ხის მსხვილ ძირებს მიწის ქვეშ და კლდეებშიაც გაჰყავთ გზა, აჩენენ ხვრელებს, რომელშიაც გაივლის წყალი და ეს ხელს უწყობს, რომ წყაროები მთელის წლის განმავლობაში არ გაშრეს“.

„თუ ხეებს გააშენებენ ქვიშიანსა და ხრიოკ ადგილებში, იქ თან და თან ზედაგი იცვლება და ნოყიერი ხდება, მაშინ იქ სხვა მცენარეულობაც იხარებს და უდაბური ადგილი მშვენიერ საცხოვრებელ ადგილად შეიქმნება“.

და სხ.

ამერიკელების მიერ შემოღებული და



დღემდის მტკიცედ დაცული ჩვეულება ხეების დარგვისა და მოვლისა სწრაფად გავრცელდა ყველგან სხვა სახელმწიფოებშიაც. იაპონიაში კანონად არის, ვინც ერთს ხეს მოსჭრის, სამაგიეროდ ორი უნდა დარგოს. იტალიაში მთელი სახელმწიფო და საზოგადოება ებრძვის ტყის გაჩეხას. საზოგადოებას მიზნად აქვს დაიცვას ტყეები და მოაშენოს ტყე ტიტველ გორაკებზე, რომელიც ხდება წყალდიდობის, ნიაღვრების, ზვავებისა და სეტყვის მიზეზადაც; ამ უკანასკნელის წინააღმდეგ იტალიაში კერძო საზოგადოებაც არსებობს: „Contra grandinem“ („სეტყვის წინააღმდეგ“). ცხადია, რომ ტყის გაჩეხას დიდი გავლენა აქვს სეტყვის გაჩენაზე, თუმცა ეს ჯერჯერობით მეცნიერულად არ არის დამტკიცებული, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ხეები ძლიერ იფარავს ჭინახულს სეტყვისა და ქარისაგან, რაც ანადგურებს მოსავალს.

ხეების დარგვას აღმზრდელობითი, ეთიური მნიშვნელობაც აქვს და ხელს უწყობს აღმოფხვრას ადამიანში ველური მიდრეკილებანი. ხეების გაცნობა, დარგვაში მონაწილეობის მიღება და მოვლა ყველა კანონზე უძლიერესია, იგი იცავს მცენარეულობას ადამიანის ხელით განადგურებისაგან, რადგან ყველა ეს წარმოშობავს შეგნებას და მოწიწებით მოპყრობას მცენარისას. იმ გრძნობას, რაც ბავშვებში აღიძვრის ხეების დარგვის დღესასწაულში მონაწილეობის დროს, შეუძლია მოუტანოს ხალხს არა მარტო ნივთიერი, არამედ სულიერი სიკეთეც. ეს დღესასწაული არის არა მარტო ხეების დღესასწაული, არამედ თვალისა და წარმოდგენილებისაც, ყველა სიამოვნებით მოიგონებს დაუფიქრებელ ყმაწვილობის

დროს და ჩაინერგავს გულში სიყვარულს მწვანე სამეფოსადმი. იტალიელი პროფესორი ტურტურა ამბობს: „ვისაც ჰუმანიური გრძნობა აქვს და თავისი საშობლო უყვარს, კი არ უნდა სპობდეს, არამედ უნდა აშენებდეს ტყეს“ Non dibosciamo, ma ribosciamo“).

ხეების დარგვის დღესასწაულის საკითხს ყველგან ვრცელი მწერლობა აქვს. ამ ჩვეულების წყალობით ბევრგან წინად უღებური ადგილები, დღეს სამოთხეს დამსგავსებია.

ხუთი წლის წინად ინგლისის პატარა ქალაქი ბლექლი საცოდავს სურათს წარმოადგენდა, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წლივ იმდენი სხვა და სხვა ჯიშის ხეები ჩარგეს, რომ ეს ქალაქი მეტის მეტად გალამაზდა და გამშვენებდა.

ხეების დარგვის ჩვეულებას რომ მოწაფეებზე დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს, ეს ყოველს ექვს გარეშეა. საქმე ის არის, რომ მარტო ხის დარგვით კი არა სრულდება საქმე. სკოლის მოწაფეებს ვალდებულად ჰხდებიან მოუარონ დარგულ ხეებს, თვალყური ადევნონ, ჩასწვრონ ცნობები ყოველი მცენარის შესახებ; ამასთან მუდამ აღიძვრის ასეთი კითხვები: „რომელი ხე იფოთლება უფრო ადრე?“, „აღნიშნეთ დრო ამა თუ იმ ხის გაფოთელისა“. „ამა თუ იმ ლეღვმა რატომ ორი კვირით ადრე გამოიტანა ფოთოლი, იმ ლეღვზე, რომელიც 20 ნაბიჯით მოშორებულია პირველს?“ „ეს ქუჩა მიმართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, მეორე კი—აღმოსავლეთიდან—დასავლეთისკენ; ოა განსხვავებას ამჩნევთ ამ ორი ქუჩის ხეებში?“ „დაუკვირდით ერთგვარ ხეებს ქუჩის მზიანს და ჩრდილოვან მზა-

რეში“. „რომელ ხეს სცვივა ადრე ფოთოლი?“ — „რომელი ხე უფრო დიდხანს ინახავს ფოთლებს?“. „რატომ აცლიან ხან და ხან ხეებს ტოტებსა?“
 ამ სახით გაზაფხულის დღე „ხეების

დარგვისა“ სკოლის აძლევს საინტერესო მასალას ბუნების მეტყველებიდან, იგი უვითარებს ბავშვს საზოგადოებრივს სულის და აკავშირებს სკოლის ინტერესს საზოგადოების ინტერესთან.



ხეების დარგვის დღესასწაული თბილისის ქართულ გიმნაზიაში
 1912 წლის მარტის 8.

როგორც სხვა ბევრ რამეში ჩვენ ქართველები ამ ჩინებულ ჩვეულებაშიაც უკან ჩამორჩენილი ვართ, ამიტომაც არის, რომ ჩვენი ოდესღაც „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი ქვეყანა“, ჩვენის უდიერობით, უმოწყალოდ ტყეების გაჩეხით ლამის უდაბნოდ გადიქცეს და რა მომავალი მოელის ჩვენს სამშობლოს ამ მხრით ძნელი გამოსაცნობი არ არის. ყველა

მასწავლებლის წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს ჩაუნერგონ მოწაფეებს სიყვარული მცენარეულობისადმი და აუხსნას ის დიდი სარგებლობა, რასაც მცენარე იძლევა. საჭიროა ყველა სკოლამ ყოველ წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზედაც წესად შემოიღოს „ხეების დარგვის“ დღესასწაული, რომლის შესახებ უფრო ვრცელს წერილებს შემდგომი დავსტამბავთ.



კუსთი

სახალხო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა

ღაზღვევითი წესის დროს პენსია არა-
სოდეს არ მატულობს იქამდის, რადგანაც
მისი რაოდენობა კასაში მონაწილე პირის
შეტანილი ფულით და სხვა და სხვა

ერობის და დაწესებულებათა მიერ შეტა-
ნილი ფულით განისაზღვრება. მაგრამ
ჩვენ ვიცით, რომ ეს შესატანი ფული
12% არ აღემატება.

სამსახურის დრო	ეკატერინო- სლოვის	მოსკოვის	რაიზანის	ტვერის	სამინისტროს ახალის წეს- დებით
15 წლის შემდეგ	150	90	56	180	70
20 — —	200	?	88	288	120
25 — —	300	307	134	360	180
30 — —	—	558	201	—	260
35 — —	—	?	301	—	400

მაგრამ საზოგადო ნაკლულევანება ამ
პენსიებისა მისი უთანასწორობაა, და ტე-
რიტორიალურად ვიწროდ შემოფარგვ-
ლა: გადვიდა მაგალითად მასწავლებელი
სხვა გუბერნიაში და პენსიასაც ბოლო
ელდება; სხვა გუბერნიაში სხვა პენსიაა.
ამას გარდა წინანდელი სამსახური არ
ეთვლება და ხელახლად უნდა დაიწყოს
იგი.

სამინისტროს საპენსიო კასასაც თავი-
სი ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ იგი

ბოლოს საუკეთესოდ შეიცვალა. სახელ-
მწიფო საბჭოში და სათათბიროში გატა-
რებული იქნა ახალი წესდება სახალხო
სკოლის მასწავლებლის პენსიის შესახებ,
რომელიც 1910 წლის ივნისის 1 უმაღ-
ლესად უკვე დამტკიცებული იქნა შემ-
დეგშიც მოსალოდნელია ეს წესდება
გადაშინჯული და საუკეთესოდ შეცვლი-
ლი იქნება, რადგანაც ახალი წესდებით
დანიშნული პენსია ძლიერ მცირეა და
საკმაოდ ვერ უზრუნველყოფს მასწავლე-

ბელს სიბერის დროს. ამ მხრით ზოგი ერობა წინ უსწრობს სამინისტროს კასას (მაგ. ეკატერინოსლავის, მოსკოვის, ტვერის და სხ.).

საპენსიო კასის წესდება და კასაში ჩაწერა

ახალი წესდების ძალით კასის ყველა მონაწილე გაიყოფება ვალდებულად და ნებაყოფლობითად. ვალდებული მონაწილეები საპენსიო კასისას იხდიან თავის ჯამაგირიდან 6%, დანარჩენი 6% მათ მაგიერ შეაქვთ კასაში ხაზინას, საზოგადოებას, ან კერძო პირებს. მათთვის კასაში მონაწილეობა სავალდებულოა. ნებაყოფლობით მონაწილეებს თვითონ შეაქვთ თავის მხრით 12%. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ან არ მიიღონ კასაში. იმ სკოლის მასწავლებლები, რომელსაც ხაზინა ინახავს ან დანხარებას უწევს, ითვლებიან კასის ვალდებულ მონაწილედ. წესდების ძალით მასწავლებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთსა და იმავე დროს სხვა საპენსიო კასებშიაც (გარდა სახელმწიფოისა) და ამიტომ შეუძლიათ ერთისა და იმავე სამსახურის გამო მიიღონ ორი სამი პენსია. ამას ჩვენ სხვა დროსაც შევხვებით. აქ ვუჩვენებთ საპენსიო კასის უფრო საჭირო მხარეებს: როგორ უნდა ჩაეწერონ კასაში და როგორ უნდა მიიღონ პენსია. რომ ჩაეწერნენ საპენსიო კასაში ნებაყოფილ თუ სავალდებულო წევრად, საჭიროა მოითხოვონ სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან, ან საპენსიო კასის გამგეობისაგან ორი ბლანკი („ЛИЧНЫХЪ КАРТОЧЕКЪ“) და ჩასწერონ შიგ პასუხი ყველა კითხვებზე და რაც ბლანკზე სწერია იმის დასამტკიცებლად წარადგინენ:

მასწავლებლობის მოწმობას, მასწავლებლობის მოწმობას, და თუ მთხოვნელი ცოლმშვილიანი ქორწინების მოწმობას, ცოლისა და შვილების დაბადებანათლობის მოწმობას. ამ საბუთებს—ბლანკებს წარწერას გაუკეთებს სახალხო სკოლების ინსპექტორი და ისევ უბრუნებს კასის მონაწილეს, გარდა იმ საბუთისა, რომლის ძალითაც იგი დანიშნული იქნა მასწავლებლად. ყოველს შემთხვევაში საბუთების ქალაღდებს საპენსიო კასის სამმართველოში არ გზავნიან, თორემ, ეს ძლიერ შეაფერხებდა საქმის წარმოებას.

ერთი ცალი ბლანკისა („ЛИЧНОЙ КАРТОЧКИ“) სხვა ცნობებთან ერთად ინსპექტორის მიერ იგზავნება საპენსიო კასის სამმართველოში, მეორე კი რჩება საქმეებში.

თუ რომელიმე მასწავლებელი გადავა სხვა ინსპექციაში, მაშინ დუბლიკატი (მეორე დარჩენილი ბლანკი) ბლანკისა სხვა საბუთის ქალაღდებთან ერთად ეგზავნება იმ ინსპექტორს, ვის უწყებაშიაც გადავიდა მასწავლებელი. ეს უკანასკნელი ახალს ადგილზე ჩასწერს უწყებაში სამსახურისა და ოჯახობრივის მხრით რაცვლილება მოხდა მისი ახალ ადგილზე გადაყვანის შემდეგ, ხელს მოაწერს და უგზავნის სახალხო სკოლების ინსპექტორს, რომელიც ამცნობებს საპენსიო კასის სამმართველოს აუწყებს, აქ მასწავლებელს წინად უკვე გახსნილი ჰქონდა საკუთარი ანგარიში, იქვე აღნიშნავენ ყველას მის მიერ შეტანილს საპენსიო ფულს. იქვე აღნიშნავენ მის გადაყვანას ერთი ადგილიდან მეორეზე.

ესთქვათ სამსახურის დროს მასწავლებლის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება მოხდა—ოჯახის ან სამსახურის შესახებ (სხვა



სკოლაში გადავიდა, ჯამაგირი შეიცვალა, კოლი შეირთო, ქალი მასწავლებელი გათხოვდა, დაქვრივდა, შვილი ეყოლა, ან მოკვდა) ყველა ამას მასწავლებელი აცნობებს ადგილობრივ სახალხო სკოლების ინსპექტორს და თან წარუდგენს რაიმე ცვლილების დამამტკიცებელს საბუთის ქალაქდებსაც. ყველა ამას ინსპექტორი აგზავნის საპენსიო კასის სამმართველოში, სადაც კასის მონაწილის შესახებ აღნიშნავენ როგორც შეტანილს ფულს, აგრეთვე სხვა და სხვა გვარ ცნობებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პენსიის მიღების დროს.

ვინც ნებაყოფლობით ეწერებიან კასაში, მათ ჩანიშნავენ საკუთარს განცხადების მიხედვით, რომელიც უნდა შეიტანოს საპენსიო კასის სამმართველოში პირადად, ან და სახალხო სკოლების ინსპექტორის საშუალებით კერძო განცხადებასთან ერთად.

ნებაყოფლობითი მონაწილენი იხდიან ყოველ წლივ თავის ჯამაგირიდან 12⁰%, ეს ფული ან თვითონ შეაქვთ ხაზინაში რომ ჩასწერონ სახალხო სკოლების საპენსიო კასის § 14-ის 1 მუხლის მიხედვით, ან ამავე მიზნით გადასცემენ სახალხო სკოლების ინსპექტორს.

ფულის შეტანა ხაზინაში შეიძლება მასწავლებლის სურვილის თანახმად თვითონ, სამ თვეში ერთხელ, ოთხ თვეში ერთხელ, ნახევარ წლივით, ან მთელის წლივით, მაგრამ კასის სამმართველოს ყოველთვის უნდა აცნობონ, როდის და რომელ ხაზინაში, კვიტანციის რომლის ნომრით, რა დროს განმავლობაში და რამდენს შეადგენს კასაში შესატანი 12⁰% გადასახადი.

ნებაყოფლობითი მონაწილეებად ჩაითვლებიან მასწავლებლები, როცა მიიღე-

ბენ კასიდან პირველ ცნობას რომლისმე წლის თავისი ჯამაგირის 12⁰% მიღების შესახებ კასაში.

როგორც ვაღიარებ, ისე ნებაყოფლობითი წევრებიც პირველად კასაში ჩაწერის დროს უნდა წარდგენილნი იქმნენ საჭირო ცნობებით სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ.

საპენსიო კასის ნებაყოფლობითს მონაწილეებს თავისი ჯამაგირის 12⁰% თვითონ შეაქვთ ხაზინაში. ამისთვის ადგილობრივს ხაზინაში უნდა შეიტანონ დაახლოვებით ასეთი განცხადება.

Въ Тифлисское уѣздное Казначейство.

Учителя Диди-Гомаретскаго начального училища, Борчалинскаго уѣзда, Тифлисской губ. Константина Ивановича Сехнишвили.

Заявление:

Имѣю честь при семъ внести въ Казначейство 3 руб. 60 коп. (12⁰% моего мѣсячнаго жалованья) за январь 1912 г. каковыя деньги прошу Казначейство зачислить въ § 14 ст. 1*) капитала пенсіонной кассы народныхъ учителей и учительницъ, выдавъ мнѣ установленную квитанцію.

Учитель К. И. Сехнишвили.

1 мая 1912 г.

ამის შემდეგ საპენსიო კასის მონაწილე აცნობებს საპენსიო კასის სამმართველოს ამდენი ფულის შეტანას ამ და ამ ხაზინაში ამა დი ამ დროს. და შეატყობინებს

*) А для городскихъ приходскихъ по уставу 1828 г. „въ § 14 ст. 3“.

ხაზინის კვიტანციის ნომერსაც. ამ განცხადებას ჩასწერენ და შემდეგ შეამოწმებენ; ნამდვილი კვიტანცია კი კასის მონაწილეს შენახული უნდა ჰქონდეს, რომ ყოველთვის შეეძლოს ფულის შეტანის დამტკიცება.

ვალდებულ მონაწილეებს თვითონ არ მოუხდებათ ფულის შეტანა, იმათ მაგიერ ფული შეაქვთ ერობას, ქალაქს, ხაზინას. 6% ჯამაგირიდან უკლებენ, ჯამაგირი გაიყოფა ძირითად და დამატებითაც. ძირითადად ითვლება ის ჯამაგირი, რომელსაც ხაზინა იხდის ან შემწეობად აღწევს 360 მან. ამხედ მეტი არის დამატებითი. აქედანაც უკლებენ საპენსიოდ გარდა ბინის ფულისა, ხელოსნობის სწავლებისა და ერთ დროულ საჩუქრისა, ან დახმარებისა, საგზაოისა და სხვა. ვინც ნებაყოფლობით მონაწილედ ხდება კასისა, არ შეუძლია შეწყვიტოს ფულის გადახდა, ვიდრე სამსახურს თავს არ დაანებებს, რადგანაც თანახმად კასის კომიტეტის დადგენილებისა გარდასახადის შეწყვეტით უფლება ეკარგებათ ძველი სამსახურის ჩათვლისა ხაზინის ხარჯით.

ნებაყოფლობით მონაწილეებს, რომელთაც შეწყვიტეს ფულის შეტანა სამსახურში ყოფნის დროს, გაუწმენდენ ანგარიშს წესდების ძალით, კასაში ფაქტიურად მონაწილეობის მიხედვით. ესე იგი ვისაც ორი წელიწადი ნაკლები მონაწილეობა მიუძღვის კასაში, ის კასიდან ვერაფერს მიიღებს. ორი წლიდან ათ წლამდის მიიღებს 12 პროცენტთან გადასახადის ნახევარს ოთხი წლის სარგებლიან დამატებით. წესდებით 32 მუხ. და 30 მუხ. თანახმად. მასწავლებლები, რომლებიც ნებაყოფლობით მონაწილედ იყვნენ ჩარიცხული 1911 წლის 1 იანვრამდის და თავის ნებით მიატოვეს კასაში

მონაწილეობა, 1911 წელში, ან შემდეგ წლებში, თუ სამსახურში დარჩნენ, დროს განმავლობაში შეუძლიან აღადგინონ თავიანთი უფლება პენსიის მიღებისა ხაზინის ხარჯით, იმ პირობით თუ შეიტანენ კასაში 12% გადასახადს რაც უნდა შეევისთ სამსახურის თავის დანებებამდის, ან იმ დრომდის, როცა აღძრული იქმნეს შუამდგომლობა სამსახურის ჩათვლის შესახებ.

მესამე ხარისხის კერძო მასწავლებლების მასწავლებლებს, რომლებიც საზოგადო განათლების საგანს ასწავლიან და დასაწყისი მასწავლებლობის მოწმობა აქვსთ, შეუძლიათ ნებაყოფლობით მონაწილენი გახდნენ საპენსიო კასისა.

პენსიის მიღება

პენსიის მიღება საპენსიო კასიდან შეიძლება მხოლოდ 15 წლის სამსახურის შემდეგ. 15 წლამდის სამსახურისათვის შეუძლიათ უკანვე მიიღონ კასიდან სარგებლით შეტანილი ფული. ვისაც ორ წელზე ნაკლები უმსახურნია, ის ვერაფერს მიიღებს, ვერც თავის შეტანილს ფულს.

თუ მასწავლებელი სამსახურში გახდა ავად და ექიმებმაც სცნეს, რომ მასწავლებლობა არ შეუძლიან, ასევე მასწავლებელს უფლება აქვს ხუთი წლის სამსახურის შემდეგ გაძლიერებული პენსია მიიღოს.

1910 წლის ივნისის 1 დამტკიცებული იქმნა კანონი მასწავლებელთა საპენსიო კასისა. ძველ მასწავლებლებს და საზოგადოთ ყველას, ვისაც რამდენიმე ხანი უმსახურნიათ მასწავლებლად, ნება მიეცა და ჩაეთვალოთ ყველა სამსახურის წლები იმ პირობით, რომ ისინი 1911 წლის



იანვრამდის ჩაწერილიყვნენ საპენსიო კა-
საში. თუ ვინმემ ეს ვერ აღასრულა,
მისდა სამწუხაროდ, წინანდელი ნამსახუ-
რი მას არ აქვს ჩათვლილი. თითქმის
ვინც კი ერთი დღით მაინც მოასწრო
ჩაწერა (31 დეკ. 1910 წ.), მთელი სამ-
სახური სრულიად უფასოდ ჩათვალათ.
და თუ ვინმემ ეს ვერ მოახერხა ძველი

ნამსახური არ ჩათვლება და ის სასახ-
ხურს ხელახლად იწყებს. ჩათვლება მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეტანილი
იქნა გადასახადის $\frac{1}{100}$.

იმ პირთათვისაც, რომელთაც ჩაურიც-
ხეს ძველი ნამსახური, ჩნდება ერთნაირი
შეზღუდვა პენსიის მიღებისა.

(შემდეგი იქნება)

სია სარეცენზიოდ გამოკვანილი წიგნებისა

რედაქციამ სარეცენზიოდ მიიღო შემდეგი
გამოცემანი:

1) „ჭრაკერვის თვით მასწავლებელი“
128 სურათით, შედგენილი და გამოცემული
ს. ი. სიმონოვის მიერ. ფ. 3 მან. გავზა-
ნით 3 მ. 50 კ. 2) ა. ახნაზაროვი—სტე-
ნები და ლექსები I წიგნი. ფ. 60 კ.

გარბუნების გამოცემანი: 1) Два года
съ Л. Н. Толстымъ, Н. Н. Гусева, из-
дание „Посредника“ ц. 1 р. 20 к. 2)
Какъ самому устроить маленькій аэро-
планъ. Ф. Коллинсъ. ц. 45 кап. 3) Е.
Соломинъ. Праздничныя занятія и раз-
влеченія ц. 25 кап. 4) С. Т. Семеновъ.
Крестьянскія нѣсы. (для народнаго теат-
ра) ц. 1 р. 5) Безпріютные и другіе
разказы русскихъ авторовъ ц. 85 коп.
6) Савиньи Научныя развлечения, ц.
30 к. 7) С. В. Покровскій I у старого
дуба, II Хоръ ц. 20 к. 8) Ч. Робертсъ.
I Какъ котъ оказался Робинзономъ Кру-
зо, II, ради дѣтей, ц. 18 к. 9) Какъ

привлечь птицъ въ наши сады и лѣса
ц. 20 к. 10) Домой и другіе розказы
изъ жизни дѣтей трудового народа. ц.
85 к. 11) С. Орловскій. Жизнь Дикен-
ся, приложение къ журналу „Маякъ“.
12) Журналь „Маякъ“ за 1912 г. № 1,
2, 3, 4. 13) На водѣ. Сборникъ раз-
сказовъ ц. 50 к. 14) Одиночество и
другіе разказы, переводъ съ француз.
ц. 50 к. 15) Журналь „Свободное воспи-
таніи“ და სს.

საზოგადო „Посредникъ“-ის გამოცემა-
ნი, რაც უარსებელი ვრცელდება მთელს რუ-
სეთში საუკრადდობა, მრავალის მხრით;
თითქმის ყველა გამოცემაში ტრიალებს სული
დ. ნ. ტოლსტოისა. გამოცემანი აკმაყოფი-
ლებს, რეგარც მოზარდ თაობას, აგრეთვე
მდაბიოს და ინტელიგენტ შკითხველებსაც.



რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.





„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „განათლება“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან კასაუქმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ქ. თ ე ლ ა ვ უ ი

ისეილება ზირველად გამოსული ქართულ ენაზე



ჭ რ ა - კ ე რ ვ ი ს

• • • ღ ი ბ ნ ი • • •

თვით-მასწავლებელი, 128 სურათით.

ახალი შეთადი

ექვს ნაწილად; ქართლური, იმერული, ევროპული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი უდით 3 მან., გავზაუნით 3 მ. 50 კ. ვინც სა ცაღს ან მეტს ერთად დაიბარებს, ფასტით გავზაუნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფანდაცობითაც. მისამართი: ВЪ г. Телавъ. Школа вройки и шитья Софiя Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2, собс. домъ.

სოფლის მასწავლებლების საყურადღებოდ

რადგანაც ძლიერ ბევრი მასწავლებელი იბარებს ჩემს „ჭრა-კერვის“ წიგნს, თუ ვინმე მოისურვებს ამ ზაფხულს მე თითონ ვასწავლი მათ ჭრა-კერვას, ყველასათვის შესაძლებ ფასად, რა ენაზედაც სურთ ე. ი. ქართულად თუ რუსულად. თუ თელავში მოსვლას მასწავლებლები უხერხულად დაინახვენ, მაკნობონ წერილით სად ურჩევნიათ შეგროვება და თუ ჩემთვის შესაძლებელი იქნება, თვითონ ვიახლებით. პირობა მაკნობონ წერალით.

ავტორი ქრა-კერვის წიგნისა სოფიო ი. სიმონოვი.

გამოვა 1912 წ. საუმაწვილო შუხნალი

ნაკადული

(წელიწადი მერვე)

ხელის-მოწერა მიიღება შუხნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

გოგლიანის პრესექტზე სუბსაბსედიის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მდარზისში, თაყ. აზნ. ქარავასა)

1912 წლის 1-ლ იანვრიდან 1913 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მან. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—3 მან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძისა.